

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები



B1+

სახელმძღვანელო

2017



ქვენი
სკოლა

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი
2017

**„ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები“ B1+
სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:**

**ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
ნანა შავთვალაძე**

**დარგობრივი ექსპერტი:
დავით სარალიძე**

**ავტორები:
ნანა შავთვალაძე
ნანა ფრუიძე
ნანა ჯირაშვილი**

**რედაქტორები:
გიული შაბაშვილი
გვანცა გოგოლაძე**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფი“



ყაზბეგის 24გ. ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-619-4

სარჩევი:

I თავი ბიუჯეტი

1.1. ოჯახის ბიუჯეტი	5
1.2. ორგანიზაციის ბიუჯეტი	9
1.3. ქვეყნის ბიუჯეტი	13

ბრამატიკა - ახალი გზების - მომავალი დრო

პირობითი წინადადება - კავშირი - თუ; თუ გააკეთებ - მოვალ

წარსული დროის მიმღეობა - ულ; გაკეთებული

თანდებული: გარდა

II თავი ტრანსფერები

2.1. გათანაბრებითი ტრანსფერი	18
2.2. კაპიტალური ტრანსფერი	24
2.3. სპეციალური ტრანსფერი	29

ბრამატიკა - ახალი გზები - I თურმეობითი + ჯერ არ

კავშირი: ანუ

კონსტრუქცია - მინდა შენობის შესყიდვა (მინდა+...+ნათ. ბრ. + სახელგმნა)

თანდებული - (...+ნათ. ბრ. +) მიმართ

სხვათა სიტყვის -ო (მე - 3 პირი)

კონსტრუქცია II კავშირებითის - უნდა გავაკეთო (ვიმეორებთ)

III თავი საბიუჯეტო შემოსულობები

3.1. არაფინანსური აქტივების რეალიზაცია	35
3.2. საერთო - სახელმწიფოებრივი გადასახადი	40
3.3. ადგილობრივი გადასახადი	46

ბრამატიკა - ახალი გზების - მომავალი დრო (ალბათ + მომავალ დროსთან)

და I თურმეობითი (ისევ I ჯგუფის გზები (გარდამავალი...—ავ და -ამ

თემისნიშნინების) + თურმე თანდებული - (... ნათ.ბრ.+) მიხედვით/მიერ

კონსტრუქცია II კავშირებითის - მინდა გავაკეთო; შეიძლება (ვიმეორებთ)

დამოკიდებული წინადადება - კავშირი: რომელიც - მიცემითსა და მოთხოვნილობითში

უარყოფითი მიმღეობა: უ - გაუკეთებელი

შემაჯამებელი თავი I	53
---------------------------	----

ტექსტი I	61
----------------	----

IV თავი სახელმწიფო შესყიდვები

4.1. სახელმწიფო შესყიდვები	67
4.2. შესყიდვების დაგეგმვა, შესყიდვების წლიური გეგმა e-plan	73
4.3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა.....	80

ბრამატიკა - ახალი ზმნების - **მომავალი დრო** (კეთდება-გაკეთდება)(**ვნებითი გვარის ზმნები**)

დამოკიდებული წინადადება - კავშირი: **სადაც**

უარყოფითი ზმნიზება - **არსად, ნურსად, ვერსად...**

მომავალი დროის მიმდევობა: **სა** - **გასაკეთებელი**

კავშირები: **თან...თან...**

თანდებული - (...+ნათ. ბრ. +) **გარშემო, ირგვლივ**

ჩართულის მნიშვნელობით - **მართლაც, ამრიგად**

V თავი სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები

5.1. სატენდერო დოკუმენტაცია	86
5.2. მიმწოდებლები	92
5.3. შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი	97

ბრამატიკა - ახალი ზმნების - **I თურმეობითი** ვნებითი გვარი (კეთდება-გაკეთებულა);

თანდებული - (...+ნათ. ბრ. +) **მაგივრად, ნაცვლად**

მაქვემდებარებელი კავშირი - **რადგან**

პროცესის გამომხატველი -**შეხვედრის განმავლობაში** (...+ნათ. ბრ. +)/

დროის გამომხატველი - **ხუთისთვის...** (სიტყვა+ნათ. ბრ. +თვის)

სხვათა სიტყვის -**მეთქი/-თქო**

კონსტრუქცია II კავშირებითის - **მოდი** გავაკეთოთ

VI თავი შესყიდვების ფორმები

6.1. გამარტივებული შესყიდვა	103
6.2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	107
6.3. ელექტრონული ტენდერი	113

ბრამატიკა- ახალი ზმნების - **I თურმეობითი** - **გამიკეთებია**

მოქმედებების განცალკევება - კავშირები: **არა მართლ** ეს, **არამედ...**


კავშირები - **ისეთი როგორც**

კონსტრუქცია II კავშირებითის - **იქნებ** გავაკეთოთ

შემაჯამებელი თავი II	119
ტესტი II	127
მოსასმენი დიალოგები	133
დანართი	141

I ტაპი ბიუჯეტი

წაიკითხეთ; ისაუბრეთ; უპასუხეთ კითხვებს:



1. რა არის ბიუჯეტი?
2. როგორია თქვენი ოჯახის ბიუჯეტი?
3. როგორია თქვენი ორგანიზაციის ბიუჯეტი?
4. როგორია თქვენი ქვეყნის ბიუჯეტი?

1. ოჯახის ბიუჯეტი



1.1. წაიკითხეთ ტექსტი:

ნიკა ეკონომისტია. ის ერთ-ერთ უმსხვილეს კერძო კომპანიაში მუშაობს. ნიკა სერიოზული ახალგაზრდაა. მას ხელმძღვანელი ძალიან აფასებს. ნიკას ორშაბათიდან პარასკევამდე ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს. ზოგჯერ შაბათობითაც მიდის სამსახურში, თუმცა კვირაში მინიმუმ ერთხელ მაინც ახერხებს საცუროლ აუზზე სიარულს.

ლიკა ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. ის კარგად სწავლობს და ამიტომ სტიპენდიასაც იღებს. ლიკას ლექციების შემდეგ მეგობრებთან ერთად უყვარს ყოფნა.

ნიკას და ლიკას ორი თვის წინ ჰქონდათ ქორწილი. მათ გადაწყვიტეს, ყველა საკითხზე ყოველთვის წინასწარ მოილაპარაკონ.

-ვინ შეადგენს ოჯახის ბიუჯეტს?

პირველად ბიუჯეტი ლიკამ შეადგინა. მან ყველა **ხარჯი გაითვალისწინა**, რაც **გაიხსენა**. გოგონამ ხარჯების **გარდა, შემოსავლებიც ჩამოწერა** ფურცელზე, რადგან ფიქრობს, რომ ესეც მნიშვნელოვანია. ლიკას შედგენილი ბიუჯეტი ნიკას ძალიან მოეწონა. მისთვის ეს სასიამოვნო **სიურპრიზი** იყო. მან შეაქო მეუღლე: „ყოჩაღ! ნამდვილი **ფინანსთა მინისტრით** ადგენ ბიუჯეტს!“ ნიკამ უკვე იცის, რომ ლიკა ოჯახის ბიუჯეტს მომავალშიც შესანიშნავად შეადგენს. ახალგაზრდების აზრით, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ერთად უნდა მიიღონ. ამას დადებითი გავლენა ექნება ოჯახის ბიუჯეტზე.



დაიმახსოვრეთ!

ლიკა ბიუჯეტს ადგენს.
ლიკამ ბიუჯეტი შეადგინა.
ლიკა ბიუჯეტს შეადგენს.

ახალი სიტყვები:

ბიუჯეტი
ხარჯი
შემოსავალი
სიურპრიზი
მინისტრი
ფინანსთა მინისტრი
წინასწარ
გონივრული

---- ის გარდა / ხარჯების გარდა

1.2. ა) ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა პრინციპით შეადგინა ლიკამ ოჯახის ბიუჯეტი?
2. რატომ შეაქო ნიკამ მეუღლე?
3. რა გადაწყვიტეს ახალგაზრდებმა და რატომ?

ბ) ტექსტის მიხედვით შეადგინეთ წინადადებები და გამოიყენეთ სიტყვა „გარდა“.

ნიმუში: გოგონამ ხარჯების **გარდა** შემოსავლებიც ჩამოწერა ფურცელზე.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____

1.3. ისაუბრეთ:

თქვენ როგორ ადგენთ ოჯახის ბიუჯეტს? გამოიყენეთ ახალი სიტყვები და ფრაზები:

ბიუჯეტი შემოსავალი ხარჯი სიურპრიზი ყიდვა გაყიდვა...

ფრაზები

ხარჯებს ითვალისწინებს
სასიამოვნო სიურპრიზი
წინასწარ შეადგენს ბიუჯეტს
ძალიან დააზარალებს?
არა მგონია
თუ გონივრულად დავხარჯავთ
ბიუჯეტს ისევ შევავსებთ

**დაიმახსოვრეთ!**

გუშინ	დღეს	ხვალ
იყიდა	ყიდულობს	იყიდის
გაიხსენა	იხსენებს	გაიხსენებს
გაითვალისწინა	ითვალისწინებს	გაითვალისწინებს
შეადგინა	ადგენს	შეადგენს
შეაქო	აქებს	შეაქებს
შეავსო	ავსებს	შეავსებს
შეარჩია	არჩევს	შეარჩევს
მოახერხა	ახერხებს	მოახერხებს
დააზარალა	აზარალებს	დააზარალებს
დააფასა	აფასებს	დააფასებს
დახარჯა	ხარჯავს	დახარჯავს
გადაწყვიტა	წყვეტს	გადაწყვეტს
ჩამოწერა	წერს	ჩამოწერს

1.4. შეუცვალეთ ზმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მუშაობს --- ი-მუშავებს

მუშაობს	
ფიქრობს	
ლაპარაკობს	
მოქმედებს	



1.5. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) დიალოგის მიხედვით დაეთანხმეთ ან უარყავით ინფორმაცია:

ნიმუში: საჩუქრების თანხა გათვალისწინებული უნდა გვქონდეს. ✓

1. ახლობლების დაბადების დღეები ყოველთვის შეგვიძლია გავითვალისწინოთ.
2. ბიუჯეტის შედგენას აზრი არ აქვს - წინასწარ არ იცი, რა იქნება.
3. ოჯახის ბიუჯეტს მხოლოდ შემოსავლის რაოდენობა განსაზღვრავს.
4. ოჯახის ბიუჯეტს მხოლოდ ხარჯების რაოდენობა განსაზღვრავს.
4. ბიუჯეტის შედგენისას შემოსავალიც და ხარჯიც თანაბრად მნიშვნელოვანია.
5. ნიკა და ლიკა ოჯახის ბიუჯეტს ერთი თვით ადგენენ.

... თუ + მომავალი + მომავალი
თუ გონივრულად დავხარჯავთ, ფული
ყველაფრისთვის საკმარისი იქნება.

1.6. შეუცვალეთ ზმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: წყვეტს --- გადა-წყვეტს

აესებს	
აქებს	
არჩევს	
ადგენს	
აზარალებს	
აფასებს	
ხარჯავს	

2. ორგანიზაციის ბიუჯეტი



2.1. წაიკითხეთ ტექსტი:

არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი **გეგმავს** მომავალი წლის ბიუჯეტს. კაბინეტში მასთან ერთად არის **ბუღალტერი**, რომელიც ეხმარება **ფინანსური ანგარიშების** შემოწმებაში.

დირექტორი კმაყოფილია, რადგან ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციიდან **გრანტი** მიიღო. ამ თანხას შემოსავალს დაუმატებს. ბიუჯეტის შემოსავალში შედის ის გადასახადი, რომელიც უნდა გადაიხადონ მოქალაქეებმა მომსახურებისთვის. ორგანიზაცია მოქალაქეებისთვის ჩაატარებს ტრენინგებსა და კონსულტაციებს იურიდიულ და ფინანსურ საკითხებზე. დირექტორი ფიქრობს, რომ გრანტის დაფინანსების **გარდა**, სხვა შემოსავალსაც **თუ მიიღებს, მომსახურების გადასახადის შემცირებას შეძლებს**. შემცირებული გადასახადი კი ორგანიზაციას ფულის დაზოგვაში დაეხმარება.

თანამშრომლების ხელფასის **გარდა**, ორგანიზაციის ბიუჯეტის **გასავალს** შეადგენს საჭირო ნივთების ღირებულება, ტრანსპორტის ხარჯები და გადასახადები. ეს ხარჯი ცოტა არ არის, მაგრამ მისი შემცირება და ფულის დაზოგვა მომსახურების ხარისხზე უარყოფითად იმოქმედებს. დაზოგილი ფული კარგია, მაგრამ შედეგი?!

დირექტორის აზრით, **ფინანსური რისკების** აცილებისთვის კიდევ არის საჭირო **დამატებითი** შემოსავლების მოზიდვა. ხარჯები აუცილებლად ნაკლები უნდა იყოს შემოსავალზე. თუ ყველაფერს სწორად დაგეგმავენ, **საბიუჯეტო დეფიციტის** საფრთხე აღარ იარსებებს.

ახალი სიტყვები:

ბუღალტერი
გრანტი
გასავალი
ფინანსური ანგარიში
ფინანსური რისკები
საბიუჯეტო დეფიციტი
საბრანტო პროექტი
დამატებითი
დაზოგვა
შემცირება

თუ - ... // თუ - მაშინ

...თუ მიიღებს, მომსახურების გადასახადის
შემცირებას შეძლებს.

ფრაზები
გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს
ფინანსური ანგარიშების შემოწმება
ბიუჯეტის გასავალს შეადგენს საჭირო ნივთების ღირებულება
ფულის დაზოგვა; დაზოგილი ფული
ფინანსური რისკების აცილება
დამატებითი შემოსავლების მოზიდვა
საბიუჯეტო დეფიციტის საფრთხე
ხელფასებს მოვუმატებთ
თუ ყველაფერი კარგად იქნება
ფინანსური დოკუმენტების ანალიზი
ამ ეტაპზე
შემოსავლისა და გასავლის ზუსტი აღრიცხვა

ხარჯების ნაწილი =
ხარჯვითი ნაწილი

2.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ არის კმაყოფილი ორგანიზაციის დირექტორი?
2. რით შეიძლება გრანტის გარდა, ორგანიზაციის ბიუჯეტის შევსება?
3. რა შეადგენს ორგანიზაციის ბიუჯეტის გასავალს?
4. რატომ არ შეიძლება თანხის დაზოგვა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში?
5. რისთვის არის საჭირო დამატებითი შემოსავლების მოზიდვა?



დაიმახსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ
დაგეგმა	გეგმავს	დაგეგმავს
დაზოგა	ზოგავს	დაზოგავს
დაუმატა	უმატებს	დაუმატებს
მოუმატა	უმატებს	მოუმატებს
მოიზიდა	იზიდავს	მოიზიდავს
შეამცირა	ამცირებს	შეამცირებს
ჩაატარა	ატარებს	ჩაატარებს
გაზარდა	ზრდის	გაზრდის
გადაიხდა	იხდის	გადაიხდის
წარადგინა	ადგენს	წარადგენს

2.3. ა) ტექსტის მიხედვით დაუსვით ერთმანეთს კითხვები:

ნიმუში: რა მომსახურებას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია მოქალაქეებს?

1. _____
2. _____
3. _____
4. _____

ბ) ტექსტის მიხედვით შეადგინეთ წინადადებები და გამოიყენეთ სიტყვა „გარდა“:

ნიმუში: ბიუჯეტში ხარჯის გარდა, შემოსავალიც უნდა გავითვალისწინოთ.

1. _____
2. _____
3. _____
4. _____

2.4. შეავსეთ ცხრილი მოცემული ნიმუშის მიხედვით

გუშინ	დღეს	ხვალ
შეადგინა	ადგენს	შეადგენს
	უწევს	
	იღებს	
	ზრდის	
	ამცირებს	
	ატარებს	
	ზოგავს	

2.5. ა) წაიკითხეთ დიალოგი:

- ბატონო დავით, როდის მივიღებთ გრანტის თანხას?
- ალბათ, ორი თვის შემდეგ.
- შეიძლება მისი გათვალისწინება მომავალი წლის ბიუჯეტში?
- რა თქმა უნდა, ამ თანხის დახმარებით ბევრი რამის გაკეთებას შევძლებთ.
- ხელფასებს მოვუმატებთ?

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

- სამწუხაროდ, კომპანიის ყველა თანამშრომელს ვერ მოვუმატებთ ხელფასს, ფული არ გვაქვს, მაგრამ ვინც პროექტში მონაწილეობს - აუცილებლად.
- ახლა, ამ ეტაპზე რა გავაკეთო?
- მინდა შემოსავლისა და გასავლის ზუსტი **აღრიცხვა**.
- რამდენ ხანში გინდათ ნახოთ დოკუმენტები?
- უკვე გაკეთებული გაქვს ფინანსური დოკუმენტების ანალიზი?
- დიახ, ერთი კვირის წინ გავაკეთე.
- თუ უკვე გაკეთებული გაქვს, მაშინ ახლავე მინდა ვნახო.
- მომავალში გვეგმავთ რამეს?
- კი, რა თქმა უნდა. კიდევ ერთი საგრანტო პროექტის ბიუჯეტიც მინდა გვექონდეს მზად. **თუ ყველაფერი კარგად იქნება, გაზაფხულზე ყველა თანამშრომელს მოვუმატებთ ხელფასს.**

ბ) დიალოგის ტექსტის მიხედვით სიტყვები დააკავშირეთ ერთმანეთთან:

ნიმუში: ხელფასების მომატება

ხელფასების	ანალიზი
რისკების	მომზადება
პროექტის	მოზიდვა
თანხების	მომატება
დოკუმენტების	შემცირება

2.6. წაიკითხეთ წინადადებები და მოცემული სიტყვები ჩასვით ნიმუშის მიხედვით:

გამოიყენეთ კონსტრუქცია:

თუ + მომავალი დრო;
თუ ... , მაშინ + მომავალი დრო:

ნიმუში: დამატებით თანხებს **თუ (მოზიდვა) მოვიზიდავთ**, ფინანსურ რისკებს შევამცირებთ.

1. გრანტის თანხას რამდენიმე თვეში თუ (მიღება) _____, ხელფასს გავზრდით.
2. ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზს თუ (გაკეთება) _____, მაშინ ბიუჯეტის შედგენას (დაწყება) _____.
3. დამატებითი ხარჯი ბევრი თუ იქნება, ამით ისინი ფინანსურ რისკს (გაზრდა)_____.
4. ბიუჯეტს სწორად თუ (შედგენა) _____, მაშინ შემოსავალი გასავალზე მეტი იქნება.



დაიმახსოვრეთ!

...ულ... - ...ილ...

პატიება - გაპატიებული; გადახდა - გადახდილი

2.7. შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ა) ნიმუში: აკეთებს - გაკეთებ-ულ-ი

1.	ავსებს	
2.	ატარებს	
3.	იწყებს	
4.	ამცირებს	
5.	ითვალისწინებს	
6.	უმატებს	

ბ) ნიმუში: იხდის - გადახდ-ილ-ი

1.	ზრდის	
2.	ზოგავს	
3.	ადგენს	
4.	გეგმავს	
5.	წყვეტს	
6.	წერს	

3. ქვეყნის ბიუჯეტი



3.1 წაიკითხეთ ტექსტი:

ბიუჯეტი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი **ფინანსური დოკუმენტია**, რომელსაც **პარლამენტი ამტკიცებს**. ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტს **ადგენენ** ერთი წლით. პარლამენტი ქვეყნის **მართვას** ბიუჯეტის შექმნით იწყებს. ბიუჯეტი **შემოსავლისა და გასაღების ერთობლიობაა**.

ქვეყნის მთელი ფული **ხაზინაშია**. ხაზინაში მუდმივად შედის და გამოდის თანხა. სპეციალური **კომისია** გეგმავს ხარჯებს. წარმატებულ ქვეყნებში შემოსავალი ხარჯებზე მეტია. ამას საბიუჯეტო **პროფიციტი** ჰქვია. **თუ** სახელმწიფო არ არის ფინანსურად ძლიერი, **მაშინ** გასავალი შემოსავალზე მეტია. ეს უკვე საბიუჯეტო დეფიციტია. ასეთ დროს ამცირებენ დაგეგმილ ხარჯებს. ამას **სეკვესტრი** ჰქვია.

გასავალი = ხარჯი
სეკვესტრი = შემცირება

პროფიციტი ↔ დეფიციტი
გასავალი ↔ შემოსავალი

ახალი სიტყვები:

პარლამენტი
ეროვნული
კომისია
ხაზინა
მართვა
პროფიციტი
სეკვესტრი
ფინანსური დოკუმენტი
ქვეყნის მართვა

ფრაზები

პარლამენტი ამტკიცებს
ბიუჯეტს ადგენენ ერთი წლით
კომისია გეგმავს ხარჯებს
მართლაც ასეა
ხარჯებს ზრდიან
დეფიციტი გვაქვს

დაიმახსოვრეთ!

შემოსავლებმა შეავსო ბიუჯეტი
შემოსავლები ავსებს ბიუჯეტს
შემოსავლები შეავსებს ბიუჯეტს



დაიმახსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ
იმსჯელა	მსჯელობს	იმსჯელებს
დაამტკიცა	ამტკიცებს	დაამტკიცებს
გაზარდა	ზრდის	გაზრდის
გამოვიდა	გამოდის	გამოვა

3.2. ა) წაიკითხეთ კითხვები და შეურიეთ პასუხები:

ნიმუში: ბიუჯეტი ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტია.

1. რა არის „ბიუჯეტი“?
2. რამდენი ხნით განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტი?
3. რა ინახება ხაზინაში?
4. რას ჰქვია საბიუჯეტო პროფიციტი?
5. რას ჰქვია საბიუჯეტო დეფიციტი?
6. რა არის სეკვესტრი?

- ა. ეს დაგეგმილი ხარჯების შემცირებას ნიშნავს.
 ბ. როცა შემოსავალი მეტია გასავალზე.
 გ. როცა გასავალი მეტია შემოსავალზე.
 დ. ერთი წლით.

ე. ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი.

- ვ. ქვეყნის მთელი ფული.

1	2	3	4	5	6
ე					

ბ) ისაუბრეთ წყვილებში:

1. საბიუჯეტო პროფიციტის წარმოქმნა
2. სეკვესტრი
3. დეფიციტი

3.3. ა) ცხრილში მოცემულ განმარტებებს ტექსტის დახმარებით შეურჩიეთ მნიშვნელობა:

ნიმუში: ქვეყნის (რეგიონის, ქალაქის და ა.შ.) მატერიალური რესურსი, ფული – **ხაზინა**.

1.	ქვეყნის (რეგიონის, ქალაქის და ა.შ.) მატერიალური რესურსი, ფული	ხაზინა
2.	დაგეგმილი საბიუჯეტო ხარჯების შემცირება	
3.	გასავალი მეტია შემოსავალზე	
4.	ხაზინიდან გასული ხარჯი	
5.	შემოსავალი მეტია გასავალზე	
6.	ხაზინაში შესული თანხა	

ბ) დააკვირდით ცხრილში მოცემულ ზმნებს და შეადგინეთ წინადადებები წყვილებში:

გუშინ	დღეს	ხვალ
შეადგინა	ადგენს	შეადგენს
შეამცირა	ამცირებს	შეამცირებს
დაგეგმა	გეგმავს	დაგეგმავს
დაზოგა	ზოგავს	დაზოგავს
გაუწია	უწევს	გაუწევს
გაზარდა	ზრდის	გაზრდის
წავიდა	მიდის	წავა
წაიკითხა	კითხულობს	წაიკითხავს

3.4. დააწყოვეთ სიტყვები:

ნიმუში: ქვეყნის მართვა

- | | |
|-----------------|-------------------|
| 1. ქვეყნის | ა. გაზრდა |
| 2. ბიუჯეტის | ბ. ეკონომიკა |
| 3. შემოსავლების | გ. მართვა |
| 4. ხარჯების | დ. გათვალისწინება |
| 5. ქვეყნის | ე. შექმნა |

3.5. წაიკითხეთ განმარტებები; შეურჩიეთ მნიშვნელობა ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ფული (3) = თანხა

1.	დოკუმენტი, რომელშიც შედის ყველა ტიპის შემოსავალი და ხარჯი	თანხა	3
2.	ქვეყნის (რეგიონის, ქალაქის და ა.შ.) მატერიალური რესურსების საცავი	დეფიციტი	
3.	ფული	გასავალი	
4.	თანხის ის ნაწილი, რომელიც უნდა დაიხარჯოს სხვადასხვა მიზნით	სეკვესტრი	
5.	ხაზინაში შესული თანხა	წარმატებული	
6.	ხაზინიდან გასული ხარჯი	ბიუჯეტი	
7.	ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია	ხაზინა	
8.	განვითარებული, წინ წასული	პროფიციტი	
9.	შემოსავალი მეტია გასავალზე	შემოსავალი	
10.	გასავალი მეტია შემოსავალზე	ფინანსური დოკუმენტი	
11.	დაგეგმილი საბიუჯეტო ხარჯების შემცირება	ხარჯი	



დაიმახსოვრეთ!

დიალოგის ფრაზები

მართლაც ასეა

ხარჯებს ზრდიან

დეფიციტი გვაქვს



3.6. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) წაიკითხეთ წინადადებები და ჩასვით დიალოგში გამოყენებული სიტყვები:

ნიმუში: პარლამენტში იმსჯელეს ბიუჯეტის (სეკვესტრი) სეკვესტრის შესახებ.

1. თუ ხაზინას საკმაო რაოდენობის (თანხა) _____ შევავსებთ, ყველა პროგრამას დავაფინანსებთ.
2. საბიუჯეტო დეფიციტს არ შევქმნით, თუ (ხარჯები) _____ შევამცირებთ.
3. ცვლილებები (სოციალური პროგრამები) _____ არ დააზარალებს.
4. რა არის (შემოსავლების შემცირება) _____ მიზეზი?

3.7. წაიკითხეთ წინადადებები. შეარჩიეთ ზმნა და ჩასვით წინადადებებში ნიმუშის მიხედვით: იმსჯელებენ, შეავსებს, გაზრდის, შეამცირებს, დააზარალებს, დაგეგმავს.

ნიმუში: დირექტორი და ბუღალტერი ერთად იმსჯელებენ არასამთავრობო ორგანიზაციის ბიუჯეტზე.

1. ფულის გონივრული ხარჯვა ოჯახის ბიუჯეტს არ _____.
2. გრანტი ჩვენს შემოსავალს _____.
3. ბუღალტერი _____ ახალი საგრანტო პროექტის ბიუჯეტს.
4. გადასახადები ხაზინას _____.
5. თანამშრომლებს საკანცელარიო ნივთებს თუ არ ვუყიდით, ეს ხარჯებს _____.

3.8. წაკითხული ტექსტების მიხედვით ისაუბრეთ შემდეგ თემაზე:

- სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა, რომელი ბიუჯეტი იცით?
- ილაპარაკეთ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე.



II ტავი

ტრანსფერები

1. გათანაბრებითი ტრანსფერი



1.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

მაკა პროფესიით ჟურნალისტი. იგი **ადგილობრივ** ტელევიზიაში მუშაობს. მისი ყოველი სამუშაო დღე დატვირთულია. ზოგჯერ მაკამ წინასწარ არც ის იცის, სად დასჭირდება წასვლა და არც ის, რა ტიპის მასალის მოძიებას მოსთხოვენ. **განრიგის მიხედვით**, პირველად ის **საინფორმაციო სამსახურის** მთავარ რედაქტორს უნდა შეხვდეს. სწორედ მასთან საუბრის შემდეგ გაიგებს, თუ როგორ უნდა დაგეგმოს დღე.


რედაქტორთან შეხვედრაზე მაკასთან ერთად კიდევ ორი ჟურნალისტი იქნება. საინფორმაციო სამსახური საბიუჯეტო **სახსრების მიზნობრივ** ხარჯვაზე აპირებს **სკანდალური** გადაცემის მომზადებას. ამ პროექტზე მუშაობა მაკასა და მის **კოლეგებს** სთხოვს.

ჟურნალისტებს **უმსჯელიათ** და გადაუწყვეტიათ, რომ საქმე **გაანაწილონ**. მაკამ უნდა ჩაწეროს **ინტერვიუ** ადგილობრივი **ხელისუფლების საფინანსო სამსახურის** უფროსთან. ინტერვიუს **ჩაწერა** მაკასთვის არ არის ახალი საქმე. მან გადაწყვიტა, შეხვედრამდე დამატებით მიიღოს ინფორმაცია, რომ ინტერვიუ საინტერესო იყოს. მაკას სამუშაო დღე კარგად **გაუნაწილებია**. მაკას და მისი კოლეგების მომზადებული სამუშაოს **მიმართ** ყოველთვის დიდი ნდობაა.

მაკამ გაიგო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ცენტრალური ბიუჯეტიდან ხელფასებისთვის, სხვადასხვა **ა(ა)იპ**-ის ფუნქციონირებისათვის, გზების რემონტისათვის, ქუჩების **დასუფთავებისა** და კიდევ სხვა მრავალი საჭიროებისათვის **გათანაბრებით ტრანსფერს** იღებს. **ა(ა)იპ**-ი იგივეა, რაც აიპ-ი.

თვითმმართველობები ამ თანხას დამოუკიდებლად, **საკუთარი უფლებამოსილებით** ანაწილებენ. საზოგადოებისთვის ხშირად უცნობია, რამდენად გონივრულად ხარჯავენ ისინი ფულს. მაკას უთხრეს, რომ გათანაბრებით ტრანსფერს სპეციალური ფორმულით ითვლიან – $T = (E - R)$, რომელშიც R ბიუჯეტის შემოსავლებია, E კი – ხარჯები, რისი კორექტირებაც **კოეფიციენტის გამოყენებით** ხდება. მაკამ ისიც გაიგო, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობისთვის გასაგები ენით წერენ ბიუჯეტს, რათა სახელმწიფო სახსრების ხარჯვის **მონიტორინგი** ადვილი იყოს.

მაკა ფიქრობს, რომ საკმარისი ინფორმაცია მიიღო გათანაბრებითი ტრანსფერის შესახებ. მართალია, ინტერვიუ ჯერ **არ ჩაუწერია**, მაგრამ, მისი აზრით, უკვე შეძლებს ჩაწეროს ინტერვიუ, რომელიც ყველასთვის საინტერესო იქნება.




ახალი სიტყვები:	
რა? ინტერვიუ უფლებამოსილება სახსრები მონიტორინგი დასუფთავება ტრანსფერი ხელისუფლება კოეფიციენტი ნდობა	ვინ? რედაქტორი კოლეგა როგორი? გათანაბრებითი (ტრანსფერი) ადგილობრივი მიზნობრივი სპანდალური იბივე
ზმნები: ანაწილებს მსჯელობს თვლის	

ფრაზები
წინასწარ არც ის იცის... და არც ის...
რა კარგი ნათქვამია
რით შემძღია გემსახურო?
ხომ არავის იცნობ
კორექტირება ხდება
საინფორმაციო სამსახური
თემასთან დაკავშირებით
უნდა ჩაწეროს ინტერვიუ
რამდენი ხანია არ გამოჩენილხარ!
შენ წარმოიდგინე
დახმარებისთვის მოვედი
რით შემძღია დაგეხმარო?
ხომ არავის იცნობ
როგორ არა
ნამდვილად ასეა; მართლაც ასეა
სტატიის დაწერა
კონსულტაციის გაწევა

დააკვირდით!

თვითმმართველობა **ანაწილებს** გათანაბრებით ტრანსფერს
 თვითმმართველობამ **გაანაწილა** გათანაბრებითი ტრანსფერი
 თვითმმართველობას **ჯერ არ გაუნაწილებია** გათანაბრებითი ტრანსფერი

ჯერ არ / არ / აქამდე არ
 მე **გაგინაწილებია** ჩვენ **გაგვინაწილებია**
 შენ **გაგინაწილებია** თქვენ **გაგინაწილებიათ**
 მას **გაუნაწილებია** მათ **გაუნაწილებიათ**



ჯერ არ დაუწერია ... ; ჯერ არ გაუნაწილებია ...



დაიმახსოვრეთ!

ჟურნალისტების მიმართ

დაიმახსოვრეთ!



გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
განაწილა	ანაწილებს	განაწილებს	გაუნაწილებია
გამოთვალა	თვლის	გამოთვლის	გამოუთვლია
იმსჯელა	მსჯელობს	იმსჯელებს	უმსჯელია

1.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. განრიგის მიხედვით, რა უნდა გააკეთოს მაკამ პირველად?
2. რა ტიპის გადაცემა უნდა მოამზადონ მაკამ და მისმა კოლეგებმა?
3. რისთვის სჭირდება მაკას დამატებითი ინფორმაცია გათანაბრებითი ტრანსფერის შესახებ?
4. რა მიზნით აძლევენ ადგილობრივ თვითმმართველობებს გათანაბრებით ტრანსფერს?
5. რას აკეთებენ განვითარებულ ქვეყნებში საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის გასამართივებლად?

1.3 დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: გათანაბრებითი ტრანსფერის მიღება

1. გათანაბრებითი ტრანსფერის	გამოთვლა
2. რედაქტორის	ჩაწერა
3. ინტერვიუს	ინფორმაცია
4. ფორმულით	მიღება
5. დამატებითი	კაბინეტი
6. ინფორმაციის	მიღება

1.4. ა) გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: ახალ პროექტზე მუშაობას ჟურნალისტი დღეს **იწყებს**.
ახალ პროექტზე მუშაობას ჟურნალისტი დღეს **დაიწყებს**.

1. მაკა ადგილობრივ ტელევიზიაში მუშაობს.
2. განვითარებულ ქვეყნებში ბიუჯეტს მოსახლეობისათვის გასაგები ენით წერენ.
3. ბიუჯეტის თანხას გონივრულად ხარჯავენ.
4. რედაქტორთან შეხვედრაზე რამდენიმე ჟურნალისტი იქნება.
5. ჟურნალისტს მიმოხილვითი გადაცემის მომზადებას სთხოვენ.

ბ) შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: სტატიას ტრანსფერების შესახებ მაკა კვირას **დაწერს**.
სტატია ტრანსფერების შესახებ მაკას ჯერ არ **დაუწერია**.

1. ადგილობრივი თვითმმართველობა გათანაბრებით ტრანსფერს გაანაწილებს.
2. თვითმმართველობა საბიუჯეტო ხარჯების მონიტორინგს დაიწყებს.
3. სტატიის დაწერამდე ჟურნალისტი დამატებით ინფორმაციას მიიღებს.
4. რეპორტიორი გამოძიებას საკუთარი უფლებამოსილებით ჩაატარებს.
5. სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ ტელევიზია გადაცემას მოამზადებს.

1.5. შეაერთეთ წინადადებები მოცემული კავშირებით (რომელიც, სადაც, რადგან, იმიტომ რომ, რათა) და შექმენით რთული წინადადებები:

ნიმუში: ჯგუფის წევრები საქმეს ყოველთვის ანაწილებენ. ასე ადვილია შედეგზე გასვლა.
ჯგუფის წევრები საქმეს ყოველთვის ანაწილებენ, **რადგან** ასე ადვილია შედეგზე გასვლა.

1. ბიუჯეტის მონიტორინგი ადვილია განვითარებულ ქვეყნებში. აქ ბიუჯეტს ხალხისთვის გასაგები ენით წერენ.
2. საქართველოში 2013 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლის ახალი ფორმულა მოქმედებს. ის ბევრად მარტივია.
3. დამტკიცების შემდეგ ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს. ეს საჯარო ინფორმაციაა.
4. ინტერვიუსთვის სერიოზული მომზადებაა საჭირო. ის ყველასთვის საინტერესო უნდა იყოს.
5. ინფორმაცია ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგების შესახებ ხელმისაწვდომია. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რაში და როგორ ხარჯავენ მათ ფულს.

.....+ის სტატია - სტატიის დაწერა
კონსულტაცია - კონსულტაციის გაწევა



1.6. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა საკითხებზე მუშაობა არ უყვარს კოტეს?
2. რატომ შეიძლება იყოს საბიუჯეტო პოლიტიკა სკანდალური?
3. რა სარგებლობას აძლევს მოსახლეობას მაღალმთიანობის კოეფიციენტი?
4. რისთვის სჭირდება კონსულტაცია თამაზს?
5. როგორ აფასებს რეპორტიორი ამერიკელი ჟურნალისტის გამონათქვამს?

გ) დიალოგის მიხედვით დაეთანხმეთ ან უარყავით ინფორმაცია:

ნიმუში: ბიუჯეტი ითვალისწინებს მაღალმთიანი რეგიონების დახმარებას. ✓

1	გაზეთებში არ იბეჭდება საბიუჯეტო პოლიტიკასთან დაკავშირებული სტატიები	
2	ჟურნალისტებს უმეტესად სკანდალური ისტორიები აინტერესებთ	
3	რაც უფრო მნიშვნელოვანია პროექტი, მით მეტია დაფინანსება	
4	გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა იგივეა	
5	კონსულტაციის გარეშე ძალიან ძნელი იქნება უცნობ თემაზე მსჯელობა	
6	ადამიანს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მეგობრის დახმარების იმედი	

1.7. ჩასვით შესაბამისი სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

ტრანსფერი	რეგიონი	სკანდალური
ბიუჯეტი	დახმარება	მიზანი

1. მაღალმთიანი _____ უკვე შესაძლებელია დახმარების გამოყოფა.
2. ჟურნალისტები ადვილად ეძებენ _____ ინფორმაციას.
3. ხელისუფლების საბიუჯეტო პოლიტიკის _____ მოსახლეობის კეთილდღეობაა.
4. მხოლოდ მინისტრს შეუძლია _____ გამოთვლის ფორმულის შეცვლა.
5. სამინისტროში ახალი _____ პროექტზე მუშაობენ.
6. მაკამ მეგობრების _____ საქმე დროულად და ხარისხიანად შეაფასა.

1.8. წაიკითხეთ წინადადებები და მოცემული სიტყვები ჩასვით ნიმუშის მიხედვით: გამოიყენეთ კონსტრუქცია: მინდა /უნდა + ... ნათ. ბრ. + სახელმძნა.

ნიმუში: მინდა სტატიის დაწერა საბიუჯეტო პოლიტიკის შესახებ.

1. მაღალმთიანი რეგიონის შესახებ _____ (გადაცემა) მომზადება.
2. სამინისტროში _____ (კონსულტაცია) მიღება.
3. მინისტრს _____ (გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა) შეცვლა.
4. მაგას _____ (საკითხი) შესახებ მსჯელობა კოლეგებთან.
5. საფინანსო სამსახურის უფროსს _____ (ტრანსფერი) თანხის გამოყენება ქუჩების დასუფთავებისათვის.

1.9. ჩასვით გზნები გამოთვებულ ადგილას:

დაუწყიათ	შეავსებს	გამოთვლის
ჩამოწერეთ	ანაწილებს	იმსჯელეს

1. ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლა ჯერ არ _____.
2. ჯერ განრიგი _____ და შემდეგ დაგეგმეთ სამუშაო დღე.
3. საფინანსო სამსახურის უფროსი _____ თანხას სხვადასხვა საქმიანობისათვის.
4. გათანაბრებით ტრანსფერს წელს ახალი ფორმულით _____ მინისტრი.
5. ადგილობრივ თვითმმართველობაში _____ ხელფასების მომატების თაობაზე.
6. გაზეთის ბიუჯეტს რედაქტორი საგრანტო პროექტით _____.

2. კაპიტალური ტრანსფერი



2.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

ბიუჯეტის გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, თელავის მუნიციპალიტეტის **აღმასრულებელმა** ხელისუფლებამ გადაწყვიტა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა მოსახლეობასთან ერთად. საფინანსო სამსახურის თანამშრომლის თქმით, ბიუჯეტის **პრიორიტეტი** კვლავ სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების **დაფინანსება** იქნება.

მოსახლეობამ ბიუჯეტის ამ პროექტზე განსხვავებული აზრი გამოთქვა. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ხელფასებისა და **პრემიების** ბიუჯეტია. ფაქტობრივად, ეს ასეა.

ზაური ავტობუსის მძღოლია. **დანგრეული** სასოფლო გზების გამო, ხშირად უწევს შემოვლითი **საავტომობილო გზით** სიარული. მისი აზრით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ცენტრალური, არამედ სოფლის შიდა გზების **რეაბილიტაციის** ხარჯებიც. მას თელავის **მიმდებარე** ყველა სოფლის მკვიდრი დაეთანხმა.

საფინანსო სამსახურის თანამშრომელმა განმარტა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას მხოლოდ **რაიონულ ცენტრთან** დაკავშირებული **დაზიანებული** გზების **შეკეთების** ხარჯების გათვალისწინება შეუძლია; შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის **უფლება** მათ არ აქვთ. აღნიშნული პრობლემის მოგვარება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შედის და თუ ხელისუფლება ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფს **კაპიტალურ ტრანსფერს**, სასოფლო გზებს აუცილებლად შეაკეთებენ.

ახალი სიტყვები:	
რა? აღმასრულებელი ხელისუფლება რაიონული ცენტრი საავტომობილო გზა პრიორიტეტი დაფინანსება პრემია უფლება გამჭვირვალობა რეაბილიტაცია კომპეტენცია	როგორი? კაპიტალური (ტრანსფერი) მიმდებარე შემოვლითი დაზიანებული დანგრეული
გზნები: (შე)აკეთებს	

ფრაზები
გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე
საფინანსო სამსახურის თანამშრომლის თქმით
საფინანსო სამსახურის თანამშრომლის განმარტებით
ბიუჯეტის პრიორიტეტი იქნება
(ამის) გამო უწევს
უფლება არ აქვთ
(ეს) ხელისუფლების კომპეტენციაა
აზრი გამოთქვა
კომპეტენციაში შედის
ფაქტობრივად, ეს ასეა



დაიმახსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
შეაკეთა	აკეთებს	შეაკეთებს	შეუკეთებია

2.2. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ გადაწყვიტა ადგილობრივმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბიუჯეტის განხილვა მოსახლეობასთან ერთად?
2. საფინანსო სამსახურის თანამშრომლის თქმით, რა იქნება საბიუჯეტო პრიორიტეტი?
3. რატომ არ მოეწონა მოსახლეობას მომავალი წლის ბიუჯეტი?
4. როგორ გესმით გამოთქმა: „ეს ხელფასებისა და პრემიების ბიუჯეტია“?
5. რა მოითხოვა სოფლის მოსახლეობამ?
6. რატომ ვერ ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობა ხალხის მოთხოვნას?

2.3. დააკავშირეთ შესაბამისი სიტყვები:

ნიმუში: საფინანსო სამსახური	
მიმდებარე	სამსახური
შემოვლითი	ცენტრი
რაიონული	ხარჯები
საფინანსო	გზა
შეკეთების	სოფლები

ბ) წაიკითხეთ სიტყვები და მიუწერეთ სინონიმები:

შეკეთებული -

დაზიანებული -

მიმდებარე -

რეაბილიტაცია -

ხელისუფლება -

დანგრეული -

2.4. წაიკითხეთ ტექსტი და შეადგინეთ დიალოგი. იმუშავეთ წყვილებში:

- რეალური სიტუაცია
- პრობლემა
- საკითხი
- გზა

სოფელ როდინაულის მკვიდრნი უკვე რამდენიმე ათეული წელია ქალაქ ზესტაფონში შემოვლითი გზით ჩადიან. შიდა სასოფლო გზა, რომელიც სოფელს პირდაპირ აკავშირებს რაიონულ ცენტრთან, ფაქტობრივად, დაზიანებული და დანგრეულია.

დაზიანებული ადგილის მთლიანი სიგრძე 15 კმ.-ია. მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა გზის რეაბილიტაცია. პროექტი ითვალისწინებს მდინარე ყვირილაზე არსებული ხიდის შეკეთებას.

პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. გზის აღდგენისთვის გათვალისწინებულია 4 500 000 ლარი, მშენებლობაზე კი 40 ადამიანი იმუშავებს.

გზის რეაბილიტაციის შედეგად, არა მარტო სოფელ როდინაულის მოსახლეობისთვის იქნება სოფლის ტერიტორიაზე გადაადგილება მარტივი, არამედ მათ გაცილებით ცოტა, ნაკლები დრო დასჭირდებათ ზესტაფონის ადმინისტრაციულ ცენტრთან დასაკავშირებლად.

2.5. გადააკეთეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: განვითარების ფონდი **აფინანსებს** გზის აღდგენას. განვითარების ფონდმა **უნდა დააფინანსოს** გზის აღდგენა.

1. მოსახლეობა ზესტაფონში შემოვლითი გზით ჩადის.
2. პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობაზე 40 ადამიანი იმუშავებს.
3. თვითმმართველობა კაპიტალური ტრანსფერის თანხას გზების რეაბილიტაციისთვის იყენებს.
4. საფინანსო სამსახურის თანამშრომელი განმარტავს ბიუჯეტის შედგენის პრინციპს.
5. ყველაზე რთულ პრობლემებს ცენტრალური ხელისუფლება აგვარებს.

2.6. წაიკითხეთ წინადადებები. ხაზგასმულ სიტყვებს დაუსვით კითხვა ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა გზის რეაბილიტაცია. რა დააფინანსა მუნიციპალური განვითარების ფონდმა?

1. როდინაულის შიდა სასოფლო გზა, ფაქტობრივად, დანგრეულია.
2. საავტომობილო გზის დაზიანებული ადგილის მთლიანი სიგრძე 15 კმ.-ია.
3. გზის აღდგენისთვის გათვალისწინებულია 4 500 000 ლარი.
4. პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება.
5. მოსახლეობას მხოლოდ 20 წუთი დასჭირდება ზესტაფონის ადმინისტრაციულ ცენტრთან დასაკავშირებლად.

2.7. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას შესაბამისი ფორმით:

აღმასრულებელი ხელისუფლება	ხელფასი
ბიუჯეტი	საავტომობილო გზა
დაფინანსება	გამჭვირვალობის პრინციპი
რეაბილიტაცია	

1. ფინანსური სირთულეების აცილებისთვის აუცილებელია _____ მიღება.
2. შიდა სასოფლო გზების _____ ძალიან მნიშვნელოვანია ტრანსპორტის ნორ-
მალური გადაადგილებისთვის.
3. ამ საკითხის მოგვარება _____ კომპეტენციაში არ შედის.
4. შემოვლითი _____ გრძელი არ არის, რაიონულ ცენტრში
მალე მივაღწე.
5. როგორც საფინანსო სამსახურის უფროსი ამბობს, ოჯახის _____ განსაზღვრავს
_____ რაოდენობა.

2.8. ისაუბრეთ:

თქვენი აზრით, რამიზნით უნდა გამოიყენოს თვითმმართველობამ კაპიტალური ტრანსფერი? გამოიყენეთ ახალი სიტყვები:

დანგრეული გზები	რეაბილიტაცია	მიზნობრივი
პრიორიტეტი	ცენტრალური ხელისუფლება	მონიტორინგი.
დაფინანსება		



დაიმახსოვრეთ!

მძლოლმა თქვა:
ათ წუთში წავალთო!

2.9. წაიკითხეთ დიალოგები. დააკვირდით სხვათა სიტყვის – ო ნაწილაკის გამოყენებას:

დიალოგი I:

- გამარჯობა, ჯემალ!
- გაგიმარჯოს.
- თუ იცი, ავტობუსი მალე წავა? ბაზარში ხილი მინდა ვიყიდო.
- მძღოლმა თქვა, 10 წუთში **წავალთო**. მე მგონი, მალე წავა.

დიალოგი II:

- ქალბატონო ნინო, არ გინდათ ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე დასწრება?
- როგორ არა, ძალიან მაინტერესებს. როდის იქნება?
- საფინასო სამსახურის უფროსმა თქვა, ხვალ **დილითო**.
- რა სამწუხაროა! ხვალ დილით სასწრაფო საქმე მაქვს.

დიალოგი III:

- როგორ ხარ, კოტე? მუშაობა დაიწყე?
- ჯერ არა, მაგრამ მალე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციას იწყებს ხელისუფლება და მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა თქვა, მშენებლობაზე მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას **ვამუშავებთო**.
- რას ამბობ?! ეს კარგი ამბავი მითხარი!
- ნამდვილად კარგი ამბავია. დამატებითი შემოსავალი ყველას სჭირდება.

3. სპეციალური ტრანსფერი



3.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

ყვარლის მუნიციპალიტეტი ულამაზესი და მრავალფეროვანი ბუნებით გამოირჩევა. მშვენიერია მდინარე ალაზანი, რომელიც სათავეს კავკასიონის მაღალ მთებში იღებს. ეს წყალუხვი მდინარე განსაკუთრებით საშიში გაზაფხულზეა. **წყალდიდობის** დროს იგი სერიოზულად აზიანებს მოსახლეობის კუთვნილ ვენახებს, რაც ამ რეგიონში შემოსავლის მთავარი წყაროა.

ამ გაზაფხულზეც დააზიანა **მოვარდნილმა** წყალმა ვენახები. გამგეობის თანამშრომლები დილიდანვე მივიდნენ ადგილზე მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მათ ყურადღებით მოუსმინეს მოსახლეობას. ისინი ადგილობრივი თვითმმართველობისაგან თანხის გამოყოფას და ეკონომიკური ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა გურამ ბაალიშვილი. მან ბანკის კრედიტით ვაზის იშვიათი ჯიშით მოაშენა და წელს ღვინის ფესტივალზე პრიზის მიღებასაც გეგმავდა.

გამგეობის თანამშრომლებმა განუმარტეს ბატონ გურამსა და მის თანასოფლელებს, რომ **დაუყოვნებლივ** შექმნიან სპეციალურ კომისიას. მის შემადგენლობაში **შევლენ** ინჟინრები, იურისტები, ეკონომისტები და სხვა კომპეტენტური პირები, რომლებიც აღწერენ **სტიქიით მიყენებულ** ზარალს. კომისიის დასკვნის საფუძველზე კი ცენტრალური ხელისუფლება სარეზერვო ფონდიდან გამოყოფს **სპეციალურ ტრანსფერს** მოსახლეობის დასახმარებლად. ამგვარი ტრანსფერი სწორედ სტიქიური მოვლენების შედეგების **ლიკვიდაციისათვის** არის **განკუთვნილი**.

სპეციალური ტრანსფერი -

თანხა, რომელსაც გამოყოფს ადგილობრივი თვითმმართველობა სტიქიური მოვლენების გამო.

სარეზერვო ფონდი -

იქმნება იმ ღონისძიებების ჩასატარებლად, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტში.

ახალი სიტყვები:		
რა? თვითმმართველობა წყალდიდობა ვენახი სტიქია ლიკვიდაცია ზარალი	როგორი? სპეციალური (ტრანსფერი) მოვარდნილი კომპეტენტური სარეზერვო მრავალფეროვანი წყალუხვი	როგორ? დაუყოვნებლივ
ზმნები: შედის		

ფრაზები
სტიქიით მიყენებული ზარალი
მოვარდნილმა წყალმა დააზიანა
შემოსავლის მთავარი წყაროა
დაუყოვნებლივ შექმნიან კომისიას
ლიკვიდაციისთვის არის განკუთვნილი
ითხოვენ ზარალის ანაზღაურებას
მდგომარეობის შესწავლის მიზნით
გადაუღებლად წვიმს
ძნელია დაკავშირება
ვაზის იშვიათი ჯიშია
ინფრასტრუქტურის მოშლის გამო

მოსახლეობას უნდა ზარალის ანაზღაურება.
ჩვენ გვინდა კომისიის შექმნა.



დაიმახსოვრეთ!

შედის - შესული - შესვლა
იღებს - აღებული - აღება
აყენებს - მიყენებული - მიყენება
განმარტავს - განმარტებული - განმარტება
ანაზღაურებს - ანაზღაურებული - ანაზღაურება
ისმენს - მოსმენილი - მოსმენა
გამოყოფს - გამოყოფილი - გამოყოფა
ქმნის - შექმნილი - შექმნა
აღწერს - აღწერილი - აღწერა

3.2. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ არის საშიში გაზაფხულზე ალაზანი?
2. რატომ ითხოვდა მოსახლეობა ადგილობრივი თვითმმართველობისაგან თანხის გამოყოფას?
3. რატომ არის შეწუხებული ყველაზე მეტად ბატონი გურამ ზაალიშვილი?
4. რის გაკეთებას გეგმავენ გამგეობის თნამშრომლები მოსახლეობის დასახმარებლად?
5. რა მიზნით შეიძლება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფა?

3.3. დააკავშირეთ ერთმანეთთან სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: წყალუხვი მდინარე განსაკუთრებით საშიშია გაზაფხულზე.

სტიქიური	ფონდი	კავშირი ანუ იურისტი, ანუ სამართალმცოდნე
წყალუხვი	პირი	
კომპეტენტური	კრედიტი	
სარეზერვო	მდინარე	
საბანკო	მოვლენა	

ფინანსურ დახმარებას, **ანუ** ტრანსფერის გამოყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

3.4. წაიკითხეთ და დაწერეთ შესატყვისი სიტყვა:

- თანხა, **ანუ** _____
- დაუყოვნებლივ, **ანუ** _____
- მიმდებარე ტერიტორია, **ანუ** _____
- მონიტორინგი, **ანუ** _____
- რეაბილიტაცია, **ანუ** _____

3.5. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

მონიტორინგი პრემია ვენახები შედეგების ლიკვიდაცია კომისია

1. გამგეობის ხელმძღვანელმა თქვა, _____ ამ თვის ბოლომდე აუცილებლად შეიქმნებაო.
2. სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე _____ პროცესი ყველასთვის ხელმისაწვდომია.

3. სტიქიამ ყვარლის რაიონში _____ დააზიანა, რითაც რაიონის ეკონომიკას დიდი ზარალი მიაყენა.
4. სტიქიასთან ეფექტური ბრძოლისთვის რამდენიმე მოქალაქემ _____ მიიღო.
5. წყალდიდობის _____ საჭიროა ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის გამოყოფა.

3.6. წიაკითხეთ საგაზეთო სტატია და განიხილეთ შემდეგი საკითხები:

გურჯაანელთა გასაჭირი

ერთი კვირაა კახეთში **გადაუღებლად** წვიმს. წყალდიდობამ რამდენიმე სოფელი დააზარალა. ამის შესახებ ინფორმაცია „ნეტგაზეთს“ ადგილობრივმა მოსახლეობამ მიაწოდა. როგორც გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის ერთ—ერთი მცხოვრები აცხადებს, უეცრად მოვარდნილმა წყალმა გაანადგურა მისი ხეხილის ბაღი, ბოსტანი და ვენახი. მან ფეისბუქზე სტიქიის ამსახველი ვიდეოც ატვირთა.

როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ჰამლეტ მაზიაშვილმა გვაცნობა, ხეხილისა და ვენახის მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია აღნიშნული მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში: ბაკურციხეში, ვეჯინში, კარდენახსა და კოლაგში. მისივე ინფორმაციით, დაზიანებულია გზები, საცხოვრებელი სახლების პირველი სართული, გართულებულია გადაადგილება სოფლებს შორის.

ჰამლეტ მაზიაშვილის განმარტებით, ჯერჯერობით არ არის ცნობილი სტიქიის სრული მასშტაბი, რადგან ზოგიერთ სოფელთან ძნელია დაკავშირება ინფრასტრუქტურის მოშლის გამო. სავარაუდოდ, ზარალი დიდი იქნება. გამგებელი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება სპეციალურ ტრანსფერს გამოყოფს მათ დასახმარებლად.

„ნეტგაზეთის“ სპეციალური კორესპონდენტი
გიორგი გიგაური

ა) რაზეა საუბარი წერილში? იმსჯელეთ პრობლემის შესახებ.

ბ) რომელი გზნური ფორმებია გამოყენებული ტექსტში და რა მიზნით?

გ) იპოვეთ ტექსტში თქვენთვის უცნობი სიტყვა და იმსჯელეთ, რას უნდა ნიშნავდეს ის და რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს მას?

3.7. დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: დღეს სპეციალურ კომისიას შევექმნით.
დღეს გვინდა სპეციალური კომისიის შექმნა.

1. წლის ბოლოს მე და ჩემი მეგობრები ბანკის კრედიტს ავიღებთ.
2. „ნეტგაზეთის“ კორესპონდენტი სკანდალურ სტატიას დაწერს ტრანსფერების განაწილებაზე.
3. სოფელ ბაკურციხის მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს წყალდიდობით დაზიანებული გზის მოწესრიგებაში.

4. კოტე ფეისბუქზე სტიქიის ამსახველ ვიდეოს ატვირთავს.
5. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები დაადგენენ სტიქიით მიყენებული ზარალის სრულ მასშტაბს.

3.8. განმარტეთ შემდეგი ფრაზების მნიშვნელობა:

- ლიკვიდაციისთვისაა განკუთვნილი
- ბიუჯეტის პრიორიტეტი იქნება
- ხელისუფლების კომპეტენციაში შედის

3.9. ა) დააკვირდით სურათებს:



ბ) აღწერეთ სურათებზე ნაჩვენები ვითარება. გამოიყენეთ სიტყვები:

ვენახი	სტიქიით მიყენებული ზიანი
სპეციალური ტრანსფერი	კახეთი
შემოსავლის წყარო	ზარალი
მოსახლეობა	ლიკვიდაცია.
ცენტრალური ბიუჯეტი	

III თავი საბიუჯეტო შემოსულობები

1. არაფინანსური აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი



1.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

მოსე თოიძის სახელობის **სამხატვრო-პროფესიული სწავლების ცენტრი** 1965 წლიდან მუშაობს. აქ წლების განმავლობაში ასწავლიდნენ სტუდენტებს არა მარტო ხალხური **რეწვის** ისეთ ტრადიციულ სახეობებს, როგორებიცაა **თექის** დამზადება, **ხალიჩის ქსოვა**, **კერამიკა**, არამედ **ხისა** და **ლითონის** მხატვრულ დამუშავებას, **მინანქარს** და ა. შ. სახელმწიფო ქონების ეროვნულმა **სააგენტომ, რომელმაც** ბევრი იმუშავა, ცენტრის **ავარიული** შენობა გასაყიდად აუქციონზე გაიტანა. სამინისტროში ფიქრობენ, რომ შენობის საფასურმა სახელმწიფო ბიუჯეტი მინიმუმ 8.2 მილიონით **უნდა შეავსოს**. სამინისტროში ყველაფერი დეტალურად **აღურიცხავთ** და დაუდგენიათ, რომ სწორედ ეს თანხა არის შენობის საწყისი ღირებულება.

აუქციონს ელექტრონულად ჩაატარებენ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე: **eauction.ge**. აღნიშნულ ვებგვერდზე ყველა დაინტერესებულ პირს **შეუძლია**, რომ **გაიაროს** რეგისტრაცია და მიიღოს აუქციონში მონაწილეობა. გამარჯვებულია ის, ვისი საბოლოო ფასიც იქნება მაქსიმალური და ვინც ამ თანხას აუქციონის პირობით დადგენილ ვადაში გადაიხდის.

გასაყიდი შენობის ფართი 3.8 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო მიმდებარე მიწის **ნაკვეთის** მოცულობა - 4.5 ათასი კვადრატული მეტრია. როდესაც შემოსავალს და გასავალს ზუსტად **აღურიცხავს**, ახალმა პატრონმა ძველი შენობის ნაცვლად **შეიძლება** სხვა ობიექტი **ააშენოს**.

ეკონომიკის სამინისტროში **განმარტავენ**, რომ შენობის მდებარეობა **ხელსაყრელია** ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის. კერძოდ, **სასტუმროს** ასაშენებლად, **რომელსაც** აუცილებლად ბევრი სტუმარი ეყოლება. ობიექტიდან სულ მცირე მანძილია ქალაქის ცენტრამდე; დაახლოებით ნახევარ კილომეტრშია თავისუფლების მოედანი და საქართველოს პარლამენტის **ყოფილი** შენობა.

ახალი სიტყვები:	
რა? რეწვა თემა ხალიჩა მინანქარი ქონება კერამიკა ხე ლითონი ნაკვეთი ქსოვა საჯარო რეესტრი ამონაწერი	როგორი? საერთო ავარიული ხელსაყრელი ყოფილი დაზუსტებული საბოლოო
ზმნები: განმარტავს აღრიცხავს	



დაიმეხსოვრეთ!

სააგენტოში, რომელმაც
სასტუმროს, რომელსაც

ფრაზები

ხალხური რეწვის ტრადიციულ სახეობებს
აუქციონზე გაიტანა
საწყისი ღირებულება
აუქციონის პირობით დადგენილ ვადაში
შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს
ხელსაყრელია ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის
ჯიბის ფულიც გექნება
საბოლოო ფასი
ახალი შენობის ნაცვლად
მოსე თოიძის სახელობის
წარმატებას გისურვებ!

პატრონმა უნდა ააშენოს ახალი ობიექტი
პატრონმა შეიძლება ააშენოს ახალი ობიექტი
პატრონს უნდა, რომ ააშენოს ახალი ობიექტი
პატრონს შეუძლია ააშენოს ახალი ობიექტი

–ამ; –ავ → –ამ; –ავ



დაიმეხსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
განმარტა	განმარტავს	განმარტავს	განუმარტავს
აღრიცხა	აღრიცხავს	აღრიცხავს	აღურიცხავს

1.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. ხალხური რეწვის კიდევ რომელ ტრადიციულ სახეობებს იცნობთ?
2. რატომაა სამინისტროსთვის ხელსაყრელი შენობის აუქციონზე გაყიდვა?
3. როგორ შეიძლება მონაწილეობის მიღება აუქციონში?
4. რა არის საჭირო აუქციონზე გამარჯვებისთვის?
5. რატომ არის პროფესიული ცენტრის ყოფილი შენობის მდებარეობა კარგი ბიზნესის განვითარებისთვის?

ჯერ არ / თურმე / არასდროს არ / აქამდე არ

ახალ პატრონს ყველა ხარჯი **ჯერ არ** აღურიცხავს;
ახალ პატრონს **თურმე** ყველა ხარჯი აღურიცხავს;
ახალ პატრონს ყველა ხარჯი **არასდროს** აღურიცხავს;
ახალ პატრონს ყველა ხარჯი **აქამდე არ** აღურიცხავს.

მე აღმირიცხავს	ჩვენ აღგვირიცხავს
შენ აღგირიცხავს	თქვენ აღგირიცხავთ
მას აღურიცხავს	მათ აღურიცხავთ

1.3. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ახალი პატრონი სასტუმროს **აშენებს**.
ახალმა პატრონმა **შეიძლება** სასტუმრო **ააშენოს**.

1. თამარი პროფესიულ სასწავლებელში ხალიჩის ქსოვას სწავლობს.
2. ლითონის მხატვრული დამუშავების დროს ბევრი სირთულე აღურიცხავთ.
3. აუქციონზე მიღებული თანხა ბიუჯეტს ავსებს.
4. ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი განმარტავს აუქციონში მონაწილეობის წესებს.
5. ქართულ მინანქარს სიამოვნებით ყიდულობენ ტურისტები.

1.4. წაკითხეთ eauction.ge-ზე განთავსებული განცხადება და იმსჯელეთ:

აღწერილობა

აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლი (საკარმიდამო), რომელიც მარნეულის რაიონში, სოფელ აზიშენში მდებარეობს. მიწის ნაკვეთზე არსებული საცხოვრებელი სახლი აშენებულია ქვით და წვრილი ბლოკით. სახლს აქვს ფართო აივანი.

სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე განლაგებულია კონსტრუქცია, რომელსაც ხეხილ-სთვის იყენებენ. ობიექტის კომუნიკაციებით უზრუნველყოფის საკითხი ჯერ დადგენილი არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს **დამუსტებული** ფართობით: 1470.00 კვ.მ. და მასზე განლაგებულ საცხოვრებელ სახლს.

- ამ აღწერილობის წაკითხვის შემდეგ რით შეიძლება დაინტერესდეს მყიდველი?
- თქვენ მიიღებთ მონაწილეობას აუქციონში? რატომ?
- რა თანხას გადაიხდიდით ამ ობიექტში (მაქსიმალური შეფასება)

... + ნათ. ბრ. + მიხედვით / მიერ

სამინისტროს გადაწყვეტილების **მიხედვით**, შენობა აუქციონზე გაიტანეს.
შენობის აუქციონზე გატანის გადაწყვეტილება მიღებულია **მინისტრის მიერ**.



დაიმასხოვრეთ!

განრიგის მიხედვით
ჟურნალისტების მიერ



1.5. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

1. აკადემიაში ძალიან მინდა ჩაბარება, მაგრამ _____.
2. როგორც ამბობენ, აკადემიის შენობა _____.
3. პროფესიის შეძენაც მინდა და _____.
4. სამკაულების შექმნას _____.
5. სწავლის თანხასაც შეაგროვებ და _____.

გ) დიალოგის მიხედვით დაეთანხმეთ ან უარყავით ინფორმაცია:

ნიმუში: აკადემიის შენობა ქალაქის ცენტრთან ძალიან ახლოსაა ✓

1	თეონა კარგად ხატავს და აკადემიაში უნდა სწავლა	
2	სამხატვრო-პროფესიულ სასწავლებელში სამკაულების შექმნასაც ასწავლიან	
3	ვინც სწავლობს, ის ოჯახს ვერაფრით დაეხმარება	
4	სამხატვრო სასწავლებელი ცენტრიდან შორს იყო, ამიტომ ის აკადემიას შეუერთეს	
5	სამხატვრო სასწავლებლის შენობა ავარიული იყო, ამიტომ აუქციონზე გაიტანეს	

1.6. ა) ჩასვით სახელები სათანადო ბრუნვაში:

ნიმუში: აუქციონზე რეგისტრაცია ჯერ (არავინ) არავის გაუვლია.

1. (სამხატვრო სასწავლებელი) _____ შენობა თურმე აქამდე ცენტრში ყოფილა.
2. ახალი (ობიექტი) _____ პროექტზე მუშაობა აქამდე არ დაწყებულა.
3. (ახალი პატრონი) _____ აუქციონის მოთხოვნები ჯერ არ დაკმაყოფილებულა.
4. სამხატვრო აკადემიის ულამაზესი ავარიული შენობა (მუშები) _____ არ გაურემონტებიათ.
5. (ხალხური რეწვა) _____ სახეობებს არასდროს არ დაჰკლებიათ ხელისუფლების ყურადღება.

ბ) ჩასვით კავშირი სათანადო ბრუნვაში:

ნიმუში: აუქციონზე რეგისტრაცია ჯერ (არავინ) არავის გაუვლია.

1.7 დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: შემოსავლის აღრიცხვა

შემოსავლის	დამუშავება
ხალიჩის	გატანა
ლითონის	აღრიცხვა
აუქციონზე	ქსოვა
ობიექტის	აშენება

1.8.

ა) გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში: აუქციონზე რეგისტრაციის გავლას დღეს ვიწყებთ.
 აუქციონზე რეგისტრაციის გავლას დღეს დავიწყებთ.

1. თეონა სამხატვრო სასწავლებელში სწავლობს.
2. ბიუჯეტი არაფინანსური აქტივების რეალიზაციით ივსება.
3. აუქციონზე შეძენილი ნივთის საფასურს ყველა დადგენილ ვადაში იხდის.
4. აუქციონზე ყველა დაინტერესებული პირი მოდის.
5. ტურისტები ხალხური რეწვის ნიმუშებს ითხოვენ.

1.9. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ანზორი განცხადებას აუქციონში მონაწილეობის შესახებ ხვალ დაწერს.
 ანზორს განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ აქამდე არ დაუწერია.

1. დირექტორი ორშაბათს განმარტავს სამხატვრო სასწავლებლის შენობის შეცვლის მიზეზს.
2. ხვალ დილით ბუღალტერი შემოსავალთან ერთად გასავალსაც აღრიცხავს.
3. სამინისტროს თანამშრომლები აუქციონისთვის დიდ თანხას ამზადებენ.
4. ბანკის მენეჯერები კლიენტის ფულს მაქსიმალურად ზოგავენ სესხის პირობებზე მსჯელობის დროს.
5. გიორგი, ალბათ, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ყიდვას გეგმავს.

2. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადი



2.1. წიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:


შპს „თბილისი მედის“ ქალაქში რამდენიმე მაღაზია აქვს. კომპანიის ბუღალტერი ადგენს **საშემოსავლო გადასახადის** წლიურ დეკლარაციას, რომელიც ყოველი წლის 1 აპრილამდე უნდა წარადგინოს საგადასახადო ინსპექციაში. მან პერიოდულად უნდა გააკეთოს ფინანსური აღრიცხვა.

ბუღალტერმა წლიურ დეკლარაციაში უნდა ასახოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადები (მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი). ასევე, თანხა, რომელსაც ორგანიზაცია იხდის სხვადასხვა მომსახურებასა და საქონელში.

შპს „თბილისი მედის“ დამფუძნებლებისთვის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი წლიური მოგების 15 %-ია. საგადასახადო კოდექსით, გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა;


ორგანიზაცია თანხას კომუნალურ გადასახადებში ხარჯავს, ეს თანხა შედის სხვა კერძო კომპანიების ბიუჯეტში. ეს არის მოწოდებული საქონლის ან მომსახურების ნაცვლად გადახდილი თანხა.

კერძო ბიზნესის განვითარება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ძალიან კარგია. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების მიხედვით, კომპანიამ შეიძლება არ გადაიხადოს მოგების გადასახადი; მას გაათავისუფლებენ, თუ ამ თანხას ორგანიზაციის, კომპანიის რეინვესტირებაში დახარჯავს.



სახელმწიფოს ეს ინიციატივა კერძო კომპანიების დამფუძნებლებმა დადებითად შეაფასეს. მათ კმაყოფილება არ **დაუფარავთ** და **აღუნიშნავთ**, რომ ბიზნესის განვითარებისთვის ეს შესანიშნავი სიახლეა. შპს „თბილისი მედის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გურამ ჯიოევმა, თქვა: „მართალია, ბიუჯეტში ნაკლები რაოდენობის თანხას შევითვალთ, მაგრამ უფრო დიდი იქნება **კაპიტალდაბანდება**, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია“.

ახალი სიტყვები:		
რა? საგადასახადო კოდექსი საშემოსავლო გადასახადი ინსპექცია საქონელი დეკლარაცია წლიური მოგება კაპიტალდაბანდება კმაყოფილება	როგორი? შეზღუდული მოწოდებული მოხარული კომუნალური გადახდილი შესული	როგორ? პერიოდულად შესანიშნავად ნაცვლად
ვის? დამფუძნებელი		
ზმნები: აღგენს შემოაქვს ათავისუფლებს ასახავს ხარჯავს ფარავს მალავს		



ფრაზები
საშემოსავლო გადასახადი
კომუნალური გადასახადი
მოგების გადასახადი
საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო კოდექსი
წლიური დეკლარაცია
ფინანსური აღრიცხვა
წლიური მოგება
ერთ-ერთი ძირითადი წყაროა
თანხა შედის ბიუჯეტში
შესული ცვლილების მიხედვით
შესანიშნავი სიახლეა
დამხმარე არავინ მყავდა
შემოსავლებს მალავს



დაიმახსოვრეთ!

შემოსავალი - საშემოსავლო
გადასახადი - საგადასახადო

დაიმახსოვრეთ!



გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
დაადგინა	ადგენს	დაადგენს	დაუდგენია
შემოიტანა	შემაქვს	შემოიტანს	შემოუტანია
გაათავისუფლა	ათავისუფლებს	გაათავისუფლებს	გაუთავისუფლებია
ასახა	ასახავს	ასახავს	აუსახავს
დაფარა	ფარავს	დაფარავს	დაუფარავს
დამალა	მალავს	დამალავს	დაუმალავს
დახარჯა	ხარჯავს	დახარჯავს	დაუხარჯავს

2.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რატომ უნდა მოამზადონ ორგანიზაციებმა წლიური დეკლარაცია?
2. რა არის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო?
3. კომუნალური გადასახადებიც ბიუჯეტს ავსებს? რატომ?
4. რა ცვლილება შეიტანა მინისტრმა საგადასახადო კოდექსში?
5. როგორ შეაფასეს შპს „თბილისი მედის“ დამფუძნებლებმა მინისტრის გადაწყვეტილება?



დააკვირდით!

თურმე ხარჯავს – მე არ ვიცოდი, ეს ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

თურმე ხარჯავდა – მე არ ვიცოდი, ეს ინფორმაცია ჩემთვის უცნობია.

თურმე დაუხარჯავს – მე არ ვიცოდი, არ მინახავს, სხვისგან გავიგე.

შპს „თბილისი მედი“ **თურმე** ქალაქში კიდევ რამდენიმე მაღაზიას **ამცირებს**.
კომპანიის ბუღალტერი **თურმე** მთელი თვე **ადგენდა** წლიურ დეკლარაციას.
მომსახურების ხარჯები **თურმე** ქალბატონ ნინოს მთლიანად **გადაუხდია**.

სურვილი (☺)	აუცილებლობა (!)	შესაძლებლობა (?)
მე მინდა დავფარო ხარჯები	მე უნდა დავფარო ხარჯები	მე შემიძლია დავფარო ხარჯები
შენ გინდა დაფარო ხარჯები	შენ უნდა დაფარო ხარჯები	შენ შეგიძლია დაფარო ხარჯები
მას უნდა დაფაროს ხარჯები	მან უნდა დაფაროს ხარჯები	მას შეუძლია დაფაროს ხარჯები



დაიმახსოვრეთ!

კომპანიას უნდა დაფაროს ხარჯები ☺

კომპანიამ უნდა დაფაროს ხარჯები !

კომპანიას შეუძლია დაფაროს ხარჯები (?)

2.3. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ ნაწილაკი „თურმე“:

ნიმუში: ბუღალტერმა **შეადგინა** წლიური დეკლარაცია, მაგრამ მე არ შემიძლია.
ბუღალტერს **თურმე შეუდგენია** წლიური დეკლარაცია, მაგრამ მე არ შემიძლია.

1. კომპანიის ბუღალტერი ავად **იყო**, ამიტომ ფინანსური დეკლარაცია დირექტორმა **მოამზადა**.
2. გიორგიმ მოგების დიდი ნაწილი ორგანიზაციის რეინვესტირებაში **დახარჯა**.
3. გიორგიმ ბინაში რემონტი ახალ წლამდე **დაამთავრა**.
4. ხელშეკრულების პირობები გავითვალისწინეთ და ყველა ხარჯი წლის ბოლომდე **დავფარეთ**.
5. კომპანიების დამფუძნებლებმა ინვესტიციების რაოდენობა **დაფარეს**.

2.4. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ლიკას უნდა ფინანსური აღრიცხვის გაკეთება;
ლიკას უნდა ზეგ გააკეთოს
ფინანსური აღრიცხვა;
ლიკამ ზეგ უნდა გააკეთოს ფინანსური აღრიცხვა (!)

1. გურამს უნდა, ჯერ ჩამოწეროს საშემოსავლო ხარჯი.
2. მენეჯერები და ბუღალტერი ითვალისწინებენ კომპანიის ყველა ხარჯს.
3. ბიზნესის დამფუძნებლებს უნდათ დაგეგმონ რეინვესტირების პოლიტიკა.
4. ბანკის დირექტორს სწრაფად უნდა ახალი თანამშრომლების შერჩევა.
5. შპს „თბილისი მედის“ დამფუძნებელს უნდა ინვესტიციების მოზიდვა.

2.5. ა) მოისმინეთ დიალოგები:

1. და 2.

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ წინადადებებში გამოტოვებული ადგილები:

1.

- ქალბატონო ნანა, წლიური დეკლარაციისთვის _____
ხომ არ მოგიმზადებიათ?
- _____, ჯერ არ შემიდგენია. ძალიან
რთული გრაფიკით ვმუშაობდი, მაგრამ მაინც ვერ გავაკეთე. თინიკო ავად გახდა.
დამხმარე არავინ მყავდა.
- ყურადღებით, არაფერი იყოს მერე პრობლემა. არ თქვან, _____
_____. კიდევ ბევრი დრო დაგჭირდებათ?
- სხვადასხვა მომსახურების _____
საჭირო საბუთებიც _____ არაფერი.
- ძალიან კარგი. გმადლობთ.

2.

- ავთო, როგორაა ჩვენი _____ საქმე?
- კარგად. გუშინ ვნახე _____ და საერთო-
სახელმწიფოებრივი _____ შეტანის შემდეგ საკმარისი _____
_____ ფინანსური აქტივებისთვის.
- წაიკითხე _____ ახალი ბრძანება?
- რომელი?

- მოგების _____ კომპანიის _____ შესახებ.
- არა, არ მინახავს. კომპანიებს გადასახადისაგან _____?
- კი, თუ ამ თანხას ორგანიზაციის _____ გამოვიყენებთ.
- რა თქმა უნდა, რეინვესტირებისთვის _____ ეს ყველასთვის _____ ! როდიდან იმუშავებს კანონი?
- იანვრიდან.
- შესანიშნავია!

2.6. დააკავშირეთ ანტონიმები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: თავისუფალი – შეზღუდული

ხელსაყრელი	მარტივი
გონივრული	მსუბუქი
გაბრდილი	შეზღუდული
მძიმე	სუსტი
თავისუფალი	საზარალო
ძლიერი	მაგარი
რთული	გიჟური
რბილი	შემცირებული

2.7. შეაერთეთ წინადადებები მოცემული კავშირებით (რომელიც, სადაც, რადგან, იმიტომ რომ, რათა) და შექმენით რთული წინადადებები:

ნიმუში: კომპანიის დამფუძნებლები ყველაფერს ერთად გეგმავენ. ასე ადვილია რისკების გათვალისწინება.
კომპანიის დამფუძნებლები ყველაფერს ერთად გეგმავენ, **რადგან** ასე ადვილია რისკების გათვალისწინება.

1. მენეჯერმა ძველი ბუღალტერი გაათავისუფლა. ის საგრანტო პროექტებს ვერ მართავდა.
2. კოტემ ყველა ხარჯი სასწრაფოდ უნდა დაფაროს. ასე ჯარიმის გადახდა არ იქნება საჭირო.
3. ქალბატონმა ნანამ წლიური დეკლარაცია ვერ მოამზადა. მას დამხმარე არ ჰყავდა.
4. გიორგი შპს „თბილისი მედის“ ოფისში უნდა მივიდეს. იქ ნახავს, რომელ პოზიციაზეა ვაკანსია.

2.8. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

საგადასახადო კოდექსი	ინსპექცია	წლიური მოგება
საშემოსავლო გადასახადი	საქონელი	მომსახურება

1. ფინანსური დეკლარაციის შეტანა საჭიროა საგადასახადო _____.
2. _____ გაზრდა ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიის ნორმალური განვითარებისთვის.
3. _____ მოთხოვნების გათვალისწინება ბუღალტრის კომპეტენციაში შედის.
4. _____ ღირებულება და _____ ხარჯები სასწრაფოდ უნდა დავფაროთ.
5. როგორც საფინანსო სამსახურის უფროსი ამბობს, _____ რაოდენობა არ დააზარალებს კომპანიას.

2.9. ისაუბრეთ:

თქვენი აზრით, რა მიზნით შეიტანა ცვლილება მინისტრმა საგადასახადო კოდექსში? როგორი იქნება ამ ცვლილების შედეგი? გამოიყენეთ ახალი სიტყვები და ფრაზები:

მოგების გადასახადი	ძირითადი წყარო
საგადასახადო კოდექსი	შესული ცვლილება
წლიური მოგება	კაპიტალდაბანდება
ფინანსური აღრიცხვა	წლიური დეკლარაცია

3. ადგილობრივი გადასახადი



შრომის ანაზღაურება	2014წ.	2015წ.	ზრდის ტემპი 2014-2015წწ.
„შრომის ანაზღაურების“ მუხლი	1,296,186,185	1,376,776,941	6,29%
თანამდებობრივი სარგო	902,560,027	803,187,327	-11,0%
წოდებრივი სარგო	95,670,332	260,743,583	172,5%
პრემია	103,185,769	71,672,031	30,5%
დანამატი	182,007,635	230,043,208	26,4%
პონორარი	342,792	561,409	63,8%
კომპენსაცია	12,419,631	10,569,383	-14,9%
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	127,609,151	149,844,901	17,4%
სულ	1,423,795,337	1,526,621,843	7,2%

ცხრილი 23. „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯები კომპონენტების დონეზე და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 2014-2015წწ. (ლარი)

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

ნინო ადგილობრივ **არასამთავრობო** ორგანიზაციაში შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირებთან მუშაობს. ეს რთული სამუშაოა და მისთვის აუცილებელია **სრულფასოვანი** დასვენება. ნინომ და მისმა ქმარმა, გიორგიმ, საბანკო კრედიტის დახმარებით **ახლახან** ბინა იყიდეს ბათუმში. ნინოს

ყოველთვის უნდოდა აგარაკი ზღვაზე. გიორგიმ იცის, რომ აგარაკი **გაუფორმებელი** არ შეიძლება იყოს. მან გადაწყვიტა, **უძრავი ქონება** ცოლის სახელზე **გააფორმოს** საჯარო რეესტრში.

ერთი მხრივ, ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ, რომ ზაფხულში დასვენებისთვის კარგი პირობები ექნებათ, მაგრამ, **მეორე მხრივ**, ეს კომფორტი „**ჯიბეს არტყამს**“. გიორგი საფინანსო ორგანიზაციის მენეჯერია და კარგი ხელფასი აქვს. ცოლ-ქმრის **საერთო** შემოსავალი ცოტა არ არის, მაგრამ ბათუმის ბინისთვის **მნიშვნელოვნად** ბევრი ხარჯი იქნება საჭირო. მათ უკვე **დააკისრეს** ქონების გადასახადი. გარდა ამისა, ყოველ თვეში უნდა დაფარონ საბანკო კრედიტიც.

შემოსავლების სამსახურში გიორგისთვის **უთქვამთ, მესაკუთრემ** უძრავი ქონების გადასახადი პირველ აპრილამდე უნდა გადაიხადოს, **მოსაკრებლის** ოდენობას კი თვითმმართველობაში ადგენენო.


გიორგიმ იცის, რომ ბანკის ვალი **გადაუხდელი** არ დარჩება. მას იმედი აქვს, რომ გადასახდელი თანხა არც ისე დიდი იქნება და ახალი ბინის **კეთილმოწყობისთვისაც დაზოგავს** ფულს. პროექტს ნინოს ძმა, თენგიზი **დახაზავს**, ინტერიერის დიზაინს კი ერთად მოიფიქრებენ. ნინოს უნდა, კედლები ნათელ ფერებში **შეღებოს**, რბილი ავეჯი კი ონლაინაუქციონზე შეარჩიოს. ინტერნეტმაღაზიაში ბევრი საჭირო, ლამაზი, **ხარისხიანი** ნივთი შეიძლება იყიდოს ადამიანმა იაფად. ნინოსა და გიორგის **მსგავსად** დაკავებული როცა ხარ, მაშინ ინტერნეტით საქონლის ყიდვა ძალიან ხელსაყრელია.

ერთი მხრივ,

მეორე მხრივ,

ბ) ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ ჯგუფებში, არის თუ არა უკეთესი აგარაკის ყიდვა. რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

გ) ჩამოწერეთ, როგორი უნდა იყოს ბინა ზღვაზე:





დაიმახსოვრეთ!

შშმ

შეზღუდული	შესაძლებლობის	მქონე
-----------	---------------	-------

ახალი სიტყვები:			
რა? აგარაკი ქონება მოსაკრებელი ინტერიერი საბაზრო ფასი დახმარება კეთილმოწყობა	როგორი? არასამთავრობო სრულფასოვანი უძრავი ხარისხიანი	როგორ? მნიშვნელოვნად გადმეტად მსგავსად	როდის? ახლახან
ვინ? მესაკუთრე			
ზმნები: აფორმებს აკისრებს ეუბნება არტყამს ზოგავს ხაზავს ღებავს			

ფრაზები
აუცილებელია სრულფასოვანი დასვენება
უძრავი ქონება
ცოლის სახელზე გააფორმოს
ჯიბეს არტყამს
დააკისრეს ... გადასახადი
მოსაკრებლის ოდენობა
ბინის კეთილმოწყობა
უნდა დაფარონ საბანკო კრედიტი
ინტერნეტით საქონლის ყიდვა
ხარისხიანი ნივთი
მსგავსად დაკავებული
ჩემგან მოკითხვა გადაეცე



დაიმახსოვრეთ!

გაკეთებული - გაუკეთებელი
გაფორმებული - გაუფორმებელი



დაიმახსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
გააფორმა	აფორმებს	გააფორმებს	გაუფორმებია
დააკისრა	აკისრებს	დააკისრებს	დაუკისრებია
უთხრა	უებნება	ეტყვის	უთქვამს
დაარტყა	ურტყამს	დაარტყამს	დაურტყამს
დაფარა	ფარავს	დაფარავს	დაუფარავს
დაზოგა	ზოგავს	დაზოგავს	დაუზოგავს
დახაზა	ხაზავს	დახაზავს	დაუხაზავს
შელება	ღებავს	შეღებავს	შეუღებავს

3.2. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო თანდებული:

ნიმუში:

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადების **მიხედვით**, შშმ პირებისთვის უკვე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი.

მიხედვით	გამო	მიერ	შესახებ	მიმართ	გარეშე
----------	------	------	---------	--------	--------

1. საბანკო კრედიტის _____, ნინო და გიორგი აგარაკს ვერ იყიდინენ.
2. არასამთავრობო ორგანიზაციის _____ შშმ პირებს დიდი ნდობა აქვთ.
3. მოსაკრებლის რაოდენობის _____ გიორგის ადგილობრივ მუნიციპალიტეტში გაესაუბრებინ.
4. ამინდის _____ გიორგის ჯერ რემონტი არ დაუწყია.
5. ნინოს მშობლების _____ დაზოგილი ფულით ახალგაზრდებმა ახალი ავეჯი იყიდეს.

3.3. ა) დაუკავშირეთ ერთმანეთს ფორმები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: გადასახადის დაკისრება	
კედლების	გაფორმება
შემოსავლების	დაზოგვა
ინტერიერის	შეღებვა
ფულის	დაკისრება
პროექტის	დაფარვა
გადასახადის	დახაზვა

ბ) მიუწერეთ დადებითი მნიშვნელობის სიტყვებს უარყოფითი მნიშვნელობის ფორმები:

დადებითი მნიშვნელობა +	უარყოფითი მნიშვნელობა -
მომზადებული შეღებილი დასრულებული დახაზული დამთავრებული შეზღუდული	მოუმზადებელი

3.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი ზმნები:

გამოიწერონ	დააკისრეს	ზოგავენ
უთქვამთ	აფორმებს	გამარდა

1. ნინო და გიორგი დიდი ხანია ფულს _____, რათა აგარაკისთვის ახალი ავეჯი და ტექნიკა იყიდონ.
2. გიორგის დედა, ქალბატონი ლეილა ფიქრობს, რომ ახალგაზრდებმა საჭირო ნივთები ინტერნეტით უნდა _____.
3. საბანკო კრედიტმა ახალგაზრდების ხარჯები _____. მათ ქონების გადასახადის გადახდაც _____.
4. შშმ პირთა საბუთებს ნინო ყოველთვის დროულად _____.
5. გიორგისთვის ბევრჯერ _____, რომ ნინო შშმ პირებს ეფექტურად ეხმარება.



3.5. ა) მოისმინეთ დიალოგი და სწორი პასუხი აღნიშნეთ:

გიორგის ძალიან უნდა, ცოლს სრული კომფორტი შეუქმნას	✓
გიორგის და ნინოს არ აქვთ აგარაკი	
გიორგიმ ყველა საბუთი დროულად გააფორმა	
ნინო ხშირად არის სტრესულ სიტუაციაში. მას რთული სამუშაო აქვს	
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დახმარება არ სჭირდებათ	
ახალგაზრდებს იმედი აქვთ, რომ შვებულებას საკუთარ აგარაკზე გაატარებენ	
ბინა რომ იყიდოს, გიორგის ნინოს დახმარება სჭირდება	

3.6. დაწერეთ მოცემული შემოკლებები სრული სახით ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: სდრ – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

უშმ –

უპს –

ა(ა)იპ –

3.7. ა) დააკვირდით სურათებს და წაიკითხეთ განცხადებები.



ვიწყებთ საგაზაფხულო აქციას! ბათუმში, ოლიმპიურ ქალაქში ახლავე იყიდეთ ბინები და მიიღეთ საჩუქრად რემონტი!

პროექტი დაზღვეულია კომპანია „ალდაგში“.

გაყიდვების მენეჯერი – დათო. საკონტაქტო ტელეფონი: 777 99 21 99.



ბათუმიდან 6 კილომეტრში სასწრაფოდ იყიდება 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთი. ის შესანიშნავია აგარაკის ან საცხოვრებელი კერძო სახლისთვის. 1 კვ. მ.-ის ფასი 20 \$. საკონტაქტო პირი ანზორი. ტელ: 333 55 66 33.

ბ) შეაფასეთ ორივე შემთავაზება. იმსჯელეთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე. როგორი იქნებოდა თქვენი არჩევანი?

3.8. განმარტეთ შემდეგი ფრაზების მნიშვნელობა:

- კომფორტი „ჯიბეს არტყამს“
- კრედიტი უნდა დაფარონ
- სრულფასოვანი დასვენება
- სტრესული სიტუაცია
- ჩემგან მოკითხვა გადაეცი



3.9. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

- რაზე საუბრობენ საფინანსო სამსახურის მენეჯერი და უძრავი ქონების მესაკუთრე?
- რა უნდა გააკეთოს ქონების მესაკუთრემ?
- რატომ უნდა მივიღეს მესაკუთრე ადგილობრივ მუნიციპალიტეტში?

შემაჯავებელი თავი I

**ა) წაიკითხეთ ტექსტი:**

(1) გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტმა სახელმწიფო ობიექტების შესახებ სკანდალური დასკვნა დაწერა: თურმე სახელმწიფოში ბევრი ისეთი ობიექტია, რომლებიც ბიუჯეტს აზარალებენ. რა თქმა უნდა, ქონების მართვის სააგენტოში ფიქრობენ ამ პრობლემაზე. მათი აზრით, უკეთესი იქნება, გაყიდონ ეს ობიექტები.

(2) ერთ-ერთი ასეთი ობიექტი, რომელიც მთავრობამ უკვე გაყიდა, არის თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი. ახალმა პატრონმა, „მეიდან ჯგუფმა“, შენობის დაზიანებული ნაწილები უნდა შეაკეთოს; ასევე, ობიექტის განვითარების მიზნით პატარა სასტუმროც ააშენოს; ამისათვის ჯგუფი დაახლოებით 8 000 000 ლარის ინვესტიციას გეგმავს.

(3) „მეიდან ჯგუფმა“ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ თბილისის ბალნეოლოგიურმა კურორტმა ამავე შენობაში იმუშაოს. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი ისევ ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე იქნება და თანამშრომლებსაც არ გაათავისუფლებენ სამსახურიდან.

(4) „ვერსიის“ ჟურნალისტის ინფორმაციით, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ყიდვა ადრე უცხოელებს უნდოდათ. თურმე მათ თბილისის ისტორიულ უბანში, გორგასლის ქუჩაზე ბალნეოლოგიური კურორტის ნაცვლად კაზინოს გაკეთება სურდათ. ეს აზრი სახელმწიფოსთვის არ იყო მისაღები. ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, „ახლა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის პატრონი ქართული კომპანიაა, რომელიც არ დააზარალებს მოქალაქეთა ინტერესებს. ადამიანები ისევ შეძლებენ აქ მკურნალობას“.

(5) „მეიდან ჯგუფის“ დირექტორი ფიქრობს, რომ ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის, ამიტომ მისი კომპანია შექმნის თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე კომფორტულ პირობებს წლის ოთხივე სეზონზე.

ბ) შეარჩიეთ სათაური, თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:

1. თბილისის სიყვარულის ქალაქია
2. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ხვალისდელი დღე
3. რატომ ყიდნიან ობიექტებს
4. ქონების მართვის სააგენტოს გეგმები

გ) მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორია, არ არის სწორი თუ არ არის მოცემული ტექსტში:

	სწორია	არ არის სწორი	არ არის მოცემული ტექსტში
სახელმწიფოს ჯერ არ გაუყიდა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი		✓	
სახელმწიფო ყიდის ისეთ ობიექტებს, რომლებიც ბიუჯეტს აზარალებენ			
„მეიდან ჯგუფმა“ ძველ თბილისში რამდენიმე ობიექტი ნახა და იყიდა			
გაზეთ „ვერსიაში“ ჟურნალისტებმა სკანდალური ინფორმაციის შესახებ დაწერეს: თურმე თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი უცხოელებმა იყიდეს			
„მეიდან ჯგუფის“ დირექტორი თვლის, რომ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარებას			
თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის თანამშრომლებს გაათავისუფლებენ სამსახურიდან			

დ) შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

(1)

1. გაზეთებში სახელმწიფო ობიექტების შესახებ წერენ ინფორმაციას.
2. ქონების მართვის სააგენტოში ფიქრობენ პრობლემის მოგვარებაზე.
3. უნდა გაყიდონ ისეთი საწარმოები, რომლებიც ბიუჯეტს აზარალებენ.

(2)

1. მთავრობამ უკვე გაყიდა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი.
2. „მეიდან ჯგუფმა“ შენობის დაზიანებული ნაწილები უნდა შეაკეთოს.
3. „მეიდან ჯგუფმა“ ორთაჭალაში პატარა სასტუმრო უნდა ააშენოს.

(3)

1. „მეიდან ჯგუფმა“ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ იმუშაოს თბილისის ბალნეოლოგიურმა კურორტმა.
2. „მეიდან ჯგუფმა“ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ ამავე შენობაში იმუშაოს თბილისის ბალნეოლოგიურმა კურორტმა.
3. ბალნეოლოგიური კურორტი ისევ გორგასლის ქუჩაზე იქნება და თანამშრომლებსაც არ გაათავისუფლებენ სამსახურიდან.

(4)

1. რა გაარკვია „ვერსიის“ ჟურნალისტმა.
2. უცხოელებს კურორტის ნაცვლად კაზინოს გაკეთება სურდათ.
3. ქართული კომპანია არ დააზარალებს მოქალაქეთა ინტერესებს.

(5)

1. „მეიდან ჯგუფის“ დირექტორი ფიქრობს ობიექტის განვითარებაზე.
2. „მეიდან ჯგუფის“ დირექტორი ფიქრობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე.
3. „მეიდან ჯგუფის“ დირექტორი ფიქრობს კომფორტული პირობების შექმნაზე.



2. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

- მოგესალმებით, ბატონო ელდარ, გმადლობთ, რომ დღეს გაზეთ „ვერსიის“ სტუმარი ბრძანდებით.
- გამარჯობა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენთან სტუმრობა.
- ბატონო ელდარ, წინა კვირას ყველამ გავიგეთ ინფორმაცია, რომ თქვენს რაიონში ძლიერმა ქარმა _____ სახლის _____.
- დიახ, სამწუხაროდ, სიმართლეა, ეს ყველაფერი მართალია.
- როგორც ჩვენთვის ცნობილია, შემოდგომაზე ყოველთვის _____ ნივთების _____.
- დიახ, ასეა. თვის ბოლოს ხალხური რეწვის ტრადიციული სახეობების გამოფენა-გაყიდვა უნდა მოგვეწყო, მაგრამ ახლა _____ შეუძლებელია ამ ღონისძიების _____.
- ბატონო ელდარ, რის გაკეთებას გეგმავთ? რას ეტყვით _____ ?
- მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ _____ რომლის შემადგენლობაშიც არიან ინჟინრები, იურისტები, ეკონომისტები და სხვა _____. კომისიის დასკვნის საფუძველზე კი _____ ფონდიდან გამოყოფს სპეციალურ _____. ეს თანხა სტიქიის _____ იქნება საჭირო.
- როგორ ფიქრობთ, ამ თანხას მალე _____?
- _____, კომისია უკვე მუშაობს, _____ მოამზადებენ, _____ დროულად დაგვეხმარება.
- გამოფენა-გაყიდვასაც ჩაატარებთ?
- აუცილებლად ჩავატარებთ, მაგრამ თვის ბოლოს არა. _____ თარიღი მალე იქნება _____.
- დიდი მადლობა.
- ნახვამდის!

3. დალაგეთ დიალოგი ლოგიკური თანმიმდევრობით:

- რა თქმა უნდა, დეტალური დასკვნის დაწერა სწორედ ამისთვის გვჭირდება.
- როგორ ფიქრობთ, სპეციალური ტრანსფერის რაოდენობა საკმარისი იქნება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის?
- რატომ არის აუცილებელი მათი ჩამოსვლა?
- გასაგებია. მანამდე იქნებ ნაწილობრივ მაინც აღრიცხონ სპეციალური ტრანსფერი?
- დილა მშვიდობისა. როგორც იცით, კომისია დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. ჯერ არ დაგვისრულებია მუშაობა, რადგან ველოდებით რამდენიმე კომპეტენტურ სპეციალისტს.
- არაფრის. კარგად ბრძანდებოდეთ.
- მოგესალმებით, ქალბატონო ნატა! როდის უნდა დაასრულოს კომისიამ მუშაობა? თქვენს დასკვნას დიდი ხანია ელოდებიან მოქალაქეები.
- ეს შეუძლებელია. დასკვნის საფუძველზე უნდა განმარტონ ტრანსფერის რაოდენობა. ამიტომ, ჯერ ბარალი უნდა დავითვალოთ და შემდეგ დასკვნა დავწეროთ.
- დიდი მადლობა ინფორმაციისათვის.
- მათი დახმარების გარეშე ბარალის ზუსტი რაოდენობის დადგენა არ შეგვიძლია.

№7; №5; №3; №10; №4; №8; №2; №1; №9; №6.



4. მოისმინეთ დიალოგები და გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

დაუყოვნებლივ	პატრონებთან
ფინანსური ანგარიშები	ხელსაყრელი
რისკების	საგრანტო პროექტების
დააზარალა	გავითვალისწინოთ.

1)

- გამარჯობა, კოტე. შპს „თბილისის“ _____ არის საჭირო შეხვედრა. მათთვის _____ იდეა გვაქვს.
- კარგი, ბატონო დავით. _____ დავუკავშირდები.
- სტიქიამ ისინი ძალიან _____. როცა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს დავასრულებთ, დოკუმენტაციას გავაფორმებთ.
- კეთილი.

2)

- თამარ, ბუღალტერმა _____ დღესვე უნდა ნახოს. _____ გამო ყველა ხარჯი წინასწარ უნდა _____.
- თამარს ჯერ კონსულტაციები აქვს, შემდეგ კი ფინანსურ ანგარიშებს ნახავს.

- _____ შედგენაზეც ახლავე უნდა დავიწყეთ ფიქრი.
- იცით, ოთარს აქვს საინტერესო წინადადება ამ საკითხთან დაკავშირებით.
- უთხარი, შემოვიდეს ჩემთან.
- კარგი.

იმსჯელონ	საბიუჯეტო პროფიციტი	აღრიცხავენ
ბიუჯეტი	თურმე	გამოყოფენ
ხაზინაში	ტრანსფერს	კომპეტენციაში

3)

- პარლამენტმა უკვე დაამტკიცა მომავალი წლის _____?
- არა. ახლა უნდა _____.
- მგონი, _____ საკმაო რაოდენობის თანხაა და ბევრ სოციალურ პროგრამას დააფინანსებენ.
- დიახ, ექსპერტები ამბობენ, რომ წელს _____ იქნებაო.
- ამას არაფერი სჯობს.

4)

- ხომ არ იცით, მანქანები რატომ დადიან შემოვლითი გზით?
- თურმე ხიდია დაზიანებული.
- მერე?
- რაიონულ ცენტრში ვიყავით ჩასულები და გვითხრეს, ეს ცენტრალური ხელისუფლების _____ შედისო.
- იცით, ვის უნდა გავაგებინოთ ამ პრობლემის შესახებ?
- უკვე იციან, გავაგებინეთ. ჯერ ზარალს _____, შემდეგ _____ და ხიდს შეაკეთებენ.
- ძალიან კარგი.

5. ჩასვით ჩარჩოში მოცემული სიტყვები შესაბამისი ფორმით საჭირო ადგილას:

ელექტრონული დეტალური საოფისე დაინტერესებული ცენტრალური

_____ ხელისუფლებას ოპერის მოპირდაპირე მხარეს არსებული შენობის მეოთხე სართულის _____ აუქციონზე გაყიდვა უნდა. უძრავი ქონების შიდა ფართი 729 კვადრატული მეტრია და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც _____, ასევე სხვა მიზნით. აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ _____ პირს შეუძლია. _____ ინფორმაციას ნახავთ ვებგვერდზე: eauction.ge.

6. წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; ისაუბრეთ სიტუაციებზე, გაააქტიურეთ თითოეული სიტყვა; შექმენით ტექსტი და დაასათაურეთ:

1. _____ გონივრული, ფინანსური რისკები, გასავალი, დამატებითი, ბიუჯეტი, ხარჯი, ფინანსური დოკუმენტი, შემოსავალი, ხაზინა.	2. _____ ბიზნესის მართვა, მონიტორინგი, მიზნობრივი, რაიონული ცენტრი, აღმასრულებელი ხელისუფლება, რეაბილიტაცია, დაფინანსება, კაპიტალური.
3. _____ კაპიტალური ტრანსფერი, ლიკვიდაცია, პერიოდულად, სრულფასოვანი, გარალი, პატრონი, კომპეტენტური, მიყენებული გარალი, სპეციალისტი, სტიქია.	4. _____ სკანდალური ინფორმაცია, უფლებამოსილება, ხელისუფლება, პრიორიტეტი, გაზეთის რედაქტორი, პრემია, ფინანსთა მინისტრი, საბიუჯეტო დეფიციტი, სიურპრიზი.

7. მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები; ან ახსენით სიტყვის მნიშვნელობა:

ნიმუში: ავარიული = დაზიანებული ≠ გარემონტებული

სინონიმი =	სიტყვა	ანტონიმი ≠
	გონივრული	
	სკანდალური	
	უარყოფითი	
	მიზნობრივი	
	დაზიანებული	
	კომპეტენტური	
	სრულფასოვანი	
	ხარისხიანი	
	დაზუსტებული	
	ხელსაყრელი	

8. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: 1 – გ

1. სპეციალური	ა. გადასახადი
2. საბაზრო	ბ. ხელისუფლება
3. ჟურნალისტის	გ. ტრანსფერი
4. სტიქიის შედეგების	დ. ფასი
5. ხელისუფლების	ე. მოგება
6. საშემოსავლო	ვ. რეწვა
7. საავტომობილო	ზ. ლიკვიდაცია
8. საგრანტო	თ. ანგარიში
9. წლიური	ი. პროექტი
10. აღმასრულებელი	კ. გზა
11. ხალხური	ლ. პრიორიტეტი
12. ფინანსური	მ. მოვალეობა

1. რაიონს სპეციალური ტრანსფერი ჯერ არ მიუღია.

2. კიდევ ერთი _____ მიღება მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური წარმატებისთვის.

3. ხელისუფლებამ მხარი უნდა დაუჭიროს _____ განვითარებას. ტურისტები ხშირად ყიდულობენ ხალხურ ნაწარმს.

4. ბუღალტერმა მოამზადა _____, თუმცა მასში გრანტის თანხა არ გაუთვალისწინებია.

5. წელიწადში ერთხელ ყველა ორგანიზაციამ უნდა შეავსოს _____ დეკლარაცია.

6. ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს _____, რომ მოსახლეობამ ისევ შეძლოს ცენტრალური გზით სარგებლობა.

7. ხალხური რეწვის პროდუქტების _____ საკმაოდ მაღალია, მაგრამ ტურისტები სიამოვნებით ყიდულობენ.

8. _____ ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

9. გურჯაანში ახალი _____ გააკეთეს, რადგან სტიქიამ ძველი გზა ძალიან დააზიანა.

10. ტურისტული ბიზნესის განვითარება _____.
11. _____ გადაწყვიტა, რეგიონის განვითარების გეგმა მოსახლეობასთან ერთად განიხილოს.
12. ფიქრობენ, რომ _____ არის ინფორმაციის სამართლიანად შერჩევა და გამოქვეყნება.

9. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ ნაწილაკი „თურმე“:

ნიმუში: ბუღალტერმა შეადგინა წლიური დეკლარაცია.
ბუღალტერს თურმე შეუდგენია წლიური დეკლარაცია.

1. გუშინ პარლამენტში **იმსჯელეს** მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ.
2. დირექტორმა ბუღალტრის თანამდებობაზე ქალბატონი თამარ გიორგობიანი **დაამტკიცა**.
3. ნიკამ და ლიკამ ყოველდღიური ხარჯები **შეამცირეს**, რადგან აგარაკის შეძენას გეგმავენ.
4. გიორგიმ და კოტემ გრანტის თანხა **სამუშაოს** ეტაპების მიხედვით **გაანაწილეს**.
5. გარდაბანში დაზიანებული გზა უკვე **შეაკეთეს**, ამიტომ შემოვლითი გზით წასვლა არ არის საჭირო.
6. ბუღალტერმა დაწესებულების ფინანსურ დოკუმენტაციაში ყველა შემოსავალი და ყველა ხარჯი **ასახა**.
7. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა მოსახლეობასთან საუბარში **განმარტეს**, თუ რატომ არის აუცილებელი კომისიის შექმნა.
8. დირექტორმა ჯერ არცერთი თანამშრომელი არ **გაათავისუფლა**, რადგან გრანტის მიღების იმედი აქვს.
9. საგრანტო პროექტის მომზადება დირექტორმა ახალ თანამშრომელს **დააკისრა**.
10. ხელშეკრულება უკვე **გააფორმეს** ყველა უწყებასთან და სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია მალე დაიწყება.

10. დაწერეთ ელექტრონული განხილვა უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე გასატანად:

განცხადებაში უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ, რომლის გამოყენება სხვადასხვა მიზნით არის შესაძლებელი.

ტესტი I

შუალედური ტესტი B1+ (ფინანსები)

სახელი, გვარი _____ თარიღი _____

1. მოისმინეთ ტექსტი „Check in Georgia“ და შეასრულეთ დავალება:

ა) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

(10 ქულა)

	სწორია	არ არის სწორი
პროექტი „Check in Georgia“ ხელსაყრელია როგორც კულტურის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის		
პროექტი აღარ დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან		
პროექტს „Check in Georgia“ კარგი მოგება არ აქვს, რადგან ფინანსებს გონივრულად არ ანაწილებენ		
ეკონომიკის მინისტრის თქმით, „Check in Georgia“-ს ბიუჯეტი მომავალ წელს შეიძლება შემცირდეს		
პროექტის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო ისევ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა იქნება		

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. რა დადებითი გავლენა აქვს პროექტს „Check in Georgia“ ?

2. დასახელეთ, რომელი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებას გეგმავენ პროექტის ფარგლებში:

3. როგორია ამ ეტაპზე პროექტის დაფინანსება?

4. როგორ უნდა გაანაწილონ დამატებით გამოყოფილი 5.5 მილიონი ლარი?

5. პროექტის ბიუჯეტს როგორ შეავსებენ მომავალ წელს?

2. ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით:

(10 ქულა)

შემცირება ჩატარება დაზოგვა განაწილება ხარჯვა განმარტება

ნიმუში: პროექტის მენეჯერი ყოველთვის ზოგავს ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფულს.

1. თანხის ძირითად ნაწილს, ალბათ, _____ არტისტების ანაზღაურებაში.

2. საქართველოში „Check in Georgia“ - ს მსგავსი პროექტი ჯერ არ _____ .

3. მენეჯერს უნდა, რომ თანაბრად _____ პროექტისთვის გამოყოფილი ფული.

4. ფინანსთა მინისტრმა უნდა _____, რატომ შემცირდება მომავალ წელს პროექტის ბიუჯეტი.

5. მართალია, _____ სახელმწიფო დაფინანსებას, მაგრამ უფრო ეფექტიანად დაგეგმავენ ღონისძიებებს.

3. უპასუხეთ კითხვებს ანტონიმების გამოყენებით:

(5 ქულა)

ნიმუში: - ეს საავტომობილო გზა უკვე შეაკეთეს? - არა, სამწუხაროდ, ისევ დაზიანებულია.

1. - რაიონული ცენტრის გზა პირდაპირია? - არა, _____.

2. - კონცერტის ხარჯებს ადგილობრივი ბიუჯეტი ანაზღაურებს? - არა, _____.

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

3. - თქვენ **იმეფიად** აფინანსებთ სპორტულ ღონისძიებებს? - არა, _____.
4. - ეს შენობა **კეთილმოწყობილია**? - არა, _____.
5. - საბუჯეტო ხარჯებს **ზრდის**? - არა, _____.

4. შეავსეთ ტექსტი:

(10 ქულა)

უეფას სუპერთასის მატჩისთვის დინამო არენას სარეაბილიტაციო სამუშაოები თბილისის _____ 14 მილიონამდე ლარით ფინანსდება. თბილისის მერიის _____, პროექტი „ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა“ მოამზადა, დინამო არენას _____ ზაფხულში დასრულდება. სუპერთასის ფინალამდე, რომელიც თბილისში 11 აგვისტოს გაიმართება, სტადიონის ეზოში _____ სამუშაოები. ხვალინდელი თამაშისთვის უკვე _____ ეზოს კეთილმოწყობა. როცა თანხას _____ ხარჯავენ, შედეგი ყოველთვის კარგია. სტადიონი უკვე _____. 29 მარტის შემდეგ _____ რეაბილიტაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის _____ ძველი სკამების დემონტაჟი და _____ სკამებით შეცვლა.

5. აწარმოეთ ახალი სიტყვები -ულ / მ-ულ / სა-ო / უ-ელ / -იან აფიქსების გამოყენებით:

(2.5 ქულა)

ნიმუში: ბიუჯეტის პროექტი უკვე **მომზადებულია**.

1. _____ პროფიტი ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო (ბიუჯეტი).
2. თუ თანხას _____ დავხარჯავთ, ფული აუცილებლად გვეყოფა (გონიერება).
3. ამ პროექტის _____ კერძო კომპანიაში მუშაობს (შექმნა).
4. ჩემი განცხადება _____ დარჩა (დაკმაყოფილება).
5. როცა პროდუქტი _____, მისი საბაზრო ფასიც მაღალია (ხარისხი).

6. ჩასვით სათანადო ფორმით:

(5 ქულა)

ნიმუში: მერიასთან ახალ **ხელშეკრულებას** თვის ბოლოს **გააფორმებენ** (ხელშეკრულების გაფორმება).

1. მოსახლეობა წყალდიდობით მიყენებული _____ ითხოვს (ზარალის ანაზღაურება).
2. შემოვლითი გზის გასაკეთებლად გამგეობა ბევრ _____ (ფულის დახარჯვა).
3. პროექტის მენეჯერის აზრით, მონაწილეებმა მომავალ წელს _____ (რეგისტრაციის გავლა).
4. ზოგი ორგანიზაცია _____ (შემოსავლების დამალვა)
5. ხალხური რეჟის ნიმუშები გუშინ _____ (აუქციონზე გატანა).

7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო სიტყვები და დაწვრილეთ შესაბამისი ბრუნვის ფორმასთან:

(2.5 ქულა)

~~შესახებ~~ მიერ მიხედვით გარდა გარეშე მიმართ

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მსჯელობენ სტიქიით მიყენებული (ზარალი) _____.
გურჯაანის მუნიციპალიტეტში მსჯელობენ სტიქიით მიყენებული ზარალის შესახებ.

1. ფულის (დაზოგვა) _____ სხვა ღონისძიებების გატარებაც საჭიროა ფინანსური რისკების თავიდან ასაცილებლად.
2. შემოვლითი (გზა) _____ მოსახლეობას გაუჭირდება რაიონულ ცენტრთან დაკავშირება.

3. არასამთავრობო (ორგანიზაციები) _____ მოსახლეობას დიდი ნდობა აქვს.
4. (პროექტი) _____ სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია მალე დასრულდება .
5. (მინისტრის) _____ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ავარიულ შენობას აუქციონზე გაიტანენ.

8. მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ სინონიმები:

(2.5 ქულა)

ნიმუში: ავარიული - დაზიანებული

- სრულფასოვანი -
- ხელსაყრელი -
- მნიშვნელოვანი -
- კეთილმოწყობილი -
- მიზნობრივი -

9. დაასრულეთ წინადადებები:

(10 ქულა)

1. კომპანიის დირექტორი ყველა _____ ვერ მოუმატებს ხელფასს.
2. ბიუჯეტი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური _____.
3. თუ _____ შევავსებთ, ყველა სოციალურ პროგრამას დავაფინანსებთ.
4. პროექტის _____ სტიქიით განადგურებული ხიდის რემონტი წლის ბოლოსთვის დასრულდება.
5. გურამს თავის _____ ვაზის იშვიათი ჯიშები აქვს .
6. სპეციალურ ტრანსფერს გამოყოფენ _____ ფონდიდან.
7. მდინარე ალაზანი _____ დროს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მოსახლეობას.
8. სახლის _____ მიწის ნაკვეთს სასოფლო-სამეურნეო მიზნებით იყენებენ.
9. სასტუმროს შენობის მდებარეობა _____ ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის.
10. ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე ყველას შეუძლია გაიაროს _____.

10. იპოვეთ შეცდომა და ჩაასწორეთ წინადადებებში:

(5 ქულა)

1. დირექტორი უთხრა ნიკას, რომ შაბათსაც უნდა მივიდეს სამსახურში.

2. როცა ოჯახის ბიუჯეტი ადგენ, შემოსავალიც და ხარჯებიც უნდა გაითვალისწინო.

3. ბუღალტერი ამოწმებს ფინანსური დოკუმენტაციას.

4. აუქციონზე გატანილი შენობა ფასი ხელმისაწვდომია.

5. ლიკა და ნიკა მაქსიმალური ზოგადი ფულს, რომ აგარაკი იყიდონ.

11. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას:

(5 ქულა)

ნიმუში: ბიუჯეტი პროფიციტი მოსახლეობა

ა) ფული	ხაზინა	პარლამენტი
ბ) შემოსავალი	წყალდიდობა	გრანტი
გ) ბარალი	სტიქია	პრემია
დ) აგარაკი	თექა	მინანქარი
ე) ხე	ლითონი	ნაკვეთი

12. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს:

(5 ქულა)

წელს თბილისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 ახალი სკოლის მშენებლობას დააფინანსებენ. ამისათვის 3 მილიონი ლარი (1) გამოყვეს და კერძო კომპანიებიდანაც მოიზიდავენ სახსრებს. თბილისის მერის განმარტებით, სკოლებს იმ უბნებში (2) ააშენებენ, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა. სპეციალური ჯგუფი ჩაატარებს წინასწარ მონიტორინგს და სკოლებისთვის ადგილს შეარჩევს (3).

გათვალისწინებულია ახალი სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ხარჯებიც (4). ასევე, ბავშვებისათვის უნდა მოაწიონ სპორტული მოედნებიც (5).

ნიმუში: რას დააფინანსებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

- (1) _____
- (2) _____
- (3) _____
- (4) _____
- (5) _____

13. გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში:

(10 ქულა)

ნინოს და გიორგის უკვე ორი შვილი ჰყავთ, ამიტომ მათ დიდი ბინა სჭირდებათ. ახალგაზრდები თავიანთ შემოსავალს გონივრულად ხარჯავენ და ფულს ზოგავენ. ბინისთვის საკმარისი თანხა ჯერ არ აქვთ, მაგრამ გიორგიმ ეს პრობლემა საბანკო კრედიტის დახმარებით მოაგვარა. მას კარგი ხელფასი აქვს და სესხიც ადვილად დაუმტკიცეს.

14. აარჩიეთ სწორი პასუხი და გახაზეთ:

(2.5 ქულა)

თანხების მოზიდვა, ანუ ბიუჯეტის ...	შეცხება	შემცირება	დამტკიცება
მის კომპეტენციაში შედის, ანუ	მას სჭირდება	მას სთხოვეს	მისი მოვალეობაა
ლიკვიდაციისთვისაა განკუთვნილი, ანუ ...	ხარისხიანია	დასანგრევია	შესაკუთრებულია
ჯიბის ფული, ანუ ...	ხურდა ფული	გადასახადი	სახარჯო ფული
გადაუღებლად წვიმს, ანუ ...	ზოგჯერ წვიმს	სულ წვიმს	ხანდახან წვიმს
მოქმედებს უფლებამოსილების ფარგლებში, ანუ ...	კანონს იცავს	კანონს არღვევს	კანონს ადგენს

დაწერეთ თემა „ჩვენი ქვეყნის (ქალაქის/რაიონის) ბიუჯეტი“

(15 ქულა)

აღწერეთ:

როგორია თქვენი ქვეყნის (ქალაქის/რაიონის) ბიუჯეტის პრიორიტეტები?

როგორი პროექტები უნდა დააფინანსონ სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

როგორ შეაფასებდით თქვენი ქვეყნის (ქალაქის/რაიონის) ბიუჯეტს?

რას გააკეთებდით, პარლამენტარი რომ იყოთ?

[illegible]

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

შეფასება - თემა 15.0 ქულა:

2.0 ქულა — თემის ორგანიზება;

2.0 ქულა — თემის მოცულობა (100-120 სიტყვა)

3.0 ქულა — მსჯელობა

3.0 ქულა — არგუმენტაცია, ფაქტების მართებულობა

2.0 ქულა — მორფოლოგია-ორთოგრაფია

1.0 ქულა — სინტაქსი

1.0 ქულა — პუნქტუაცია

1.0 ქულა — ლექსიკა, სტილი.

პასუხები:

3. უეფას სუპერთასის მატჩისთვის დინამო არენას სარეაბილიტაციო სამუშაოები თბილისის **ბიუჯეტიდან** 14 მილიონამდე ლარით ფინანსდება. თბილისის მერიის **ინფორმაციით**, პროექტი „ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა“ მოამზადა, დინამო არენას **განახლება** ზაფხულში დასრულდება. სუპერთასის ფინალამდე, რომელიც თბილისში 11 აგვისტოს გაიმართება, სტადიონის ეზოში **გაგრძელდება** სამუშაოები. ხვალინდელი თამაშისთვის უკვე **დასრულდა** ეზოს კეთილმოწყობა. როცა თანხას **მიზნობრივად** ხარჯავენ, შედეგი ყოველთვის კარგია. სტადიონი უკვე **ფუნქციონირებს**. 29 მარტის შემდეგ **დაიწყება** სტადიონის რეაბილიტაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის **განხორციელება** — ძველი სკამების დემონტაჟი და მათი **ახალი** სკამებით შეცვლა.

1. სახელმწიფო შესყიდვები



1.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

ა) ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებას ნორმალური ფუნქციონირებისათვის მრავალი რამ სჭირდება: საჭირო **ხდება** შენობის შეკეთება, ინტერიერის დიზაინის შეცვლა, საოფისე ავეჯის, ტექნიკისა თუ საკანცელარიო ნივთების შეძენა და ა. შ. რა თქმა უნდა, ბიუჯეტში მომსახურებისა თუ **საქონლის შესყიდვისთვის** საჭირო ყველა ხარჯი გათვალისწინებულია.

დაწესებულებების მიერ ბიუჯეტის სახსრებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურების ან **სამშენებლო სამუშაოს** შესყიდვას „სახელმწიფო შესყიდვებს“ უწოდებენ. ეს პროცესი კანონით **რეგულირდება**. სახსრების **მიზნობრივად** დახარჯვას კონტროლი სჭირდება. სახსრების ხარჯვა კი დარეგულირდება **იქ, სადაც** კარგი კონტროლია.

სახელმწიფო შესყიდვების **სააგენტო დამოუკიდებელი** სსიპ-ია. სწორედ ის უწევს კოორდინაციასა და მონიტორინგს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

შესყიდვების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა **ტენდერის გამოცხადებაა**. სახელმწიფოს მიერ **გამოცხადდება** ტენდერი. სახელმწიფო ტენდერის საშუალებით ირჩევს საუკეთესო **შეთავაზებას**. სახელმწიფოსთვის საუკეთესოა ის, ვისაც ყველაზე დაბალი ფასი აქვს. შემდეგ **მიმწოდებელსა** და სახელმწიფოს შორის **დამყარდება ბიზნესურთიერთობა**.

ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს **სტაბილური** და **ძვირადღირებული** შეკვეთები. მაგრამ ასე აღარ **მოხდება**, თუ არ შეასრულებს ტენდერის პირობებს.

მართლაც, თუ პროდუქტი **უხარისხოა** ან მიმწოდებლის მიერ არ **შესრულება ნაკისრი ვალდებულება** დროულად, მაშინ საჭირო გახდება მისი „შავ სიაში“ ჩაწერა. იმ მიმწოდებელს, რომელიც „შავ სიაშია“, ტენდერში **მონაწილეობის** მიღება ერთი წლით აკრძალული აქვს. **ამრიგად**, ის ველარაფერს გააკეთებს და ერთი წელი ექნება დრო ახალი სამუშაოს მომზადებისთვის.



დაიმახსოვრეთ!

სსიპ - საპარო
სამართლის
იურიდიული
პირი

ახალი სიტყვები:	
რა? შესყიდვა სააგენტო კოორდინაცია მონიტორინგი ტენდერის გამოცხადება შეთავაზება ბიზნესურთიერთობა ვალდებულება განხორციელება სია სიახლე მონაწილეობა	როგორი? სამშენებლო დამოუკიდებელი სტაბილური ძვირადღირებული უხარისხო ნაკისრი აქტუალური აპრძალული საკანონმდებლო შენწყვეტილი
ვინ? მიმწოდებელი	როგორ? მიზნობრივად თანმიმდევრულად
ზმნები: ხდება რეგულირდება მყარდება ცხადდება სრულდება იმართება	



დაიმახსოვრეთ!

იქ, სადაც
დარეგულირდება იქ, სადაც
კარგი კონტროლია.

ფრაზები
საჭირო ხდება...
საქონლის შესყიდვა
ხარჯი გათვალისწინებულია...
პროცესი კანონით რეგულირდება...
სახსრების მიზნობრივად დახარჯვა
იქ, სადაც კარგი კონტროლია
დახარჯვას კონტროლი სჭირდება
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
სააგენტო დამოუკიდებელი სსიპ-ია
მონიტორინგს უწევს...
ტენდერის გამოცხადება
შესყიდვების განხორციელება

საუკეთესო შეთავაზება
მიმწოდებელსა და სახელმწიფოს შორის
მყარდება ბიზნესურთიერთობა
აპრძალული აქვს
მონაწილეობის მიღება ...+ში
დროულად არ სრულდება
ნაკისრი ვალდებულება
ვერსად მიდის
თავისი კომპეტენციის ფარგლებში ...
ღონისძიება იმართება USAID-ის მხარდაჭერით ...



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოხდენა	მოხდა	ხდება	მოხდება	მომხდარა
რეგულირება	დარეგულირდა	რეგულირდება	დარეგულირდება	დარეგულირებულია
დამყარება	დამყარდა	მყარდება	დამყარდება	დამყარებულია
გამოცხადება	გამოცხადდა	ცხადდება	გამოცხადდება	გამოცხადებულია
შესრულება	შესრულდა	სრულდება	შესრულდება	შესრულებულია
გამართვა	გაიმართა	იმართება	გაიმართება	გამართულია

1.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა შეიძლება დასჭირდეს დაწესებულებას ნორმალური ფუნქციონირებისათვის?
2. დაწესებულება საიდან იღებს თანხას აუცილებელი ხარჯებისთვის?
3. რისთვის სჭირდება სახელმწიფოს ტენდერის გამოცხადება?
4. რატომაა მიმწოდებლისთვის ხელსაყრელი ტენდერში გამარჯვება?
5. რა არის მიმწოდებლისთვის „შავ სიაში“ ჩაწერა?

1.3. ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ სახელმწიფო ტენდერების შესახებ და გამოიყენეთ ახალი სიტყვები და ფრაზები:

სახელმწიფო შესყიდვები, „შავი სია“, ბიუჯეტი, ცხადდება ტენდერი, გამარჯვებული, ნაკისრი ვალდებულება, შეთავაზება ბიზნესურთიერთობა



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოხდენა	მოახდინა	ახდენს	მოახდენს	მოუხდენია
რეგულირება	დაარეგულირა	არეგულირებს	დაარეგულირებს	დაურეგულირებია
გამყარება	გაამყარა	ამყარებს	გაამყარებს	გაუმყარებია
გამოცხადება	გამოაცხადა	აცხადებს	გამოაცხადებს	გამოუცხადებია
შესრულება	შეასრულა	ასრულებს	შეასრულებს	შეუსრულებია
გამართვა	გამართა	მართავს	გამართავს	გაუმართავს

- სახელმწიფო შესყიდვების პროცესს კანონით **არეგულირებს**.
- სახელმწიფო ტენდერს მალე **ასრულებს**.
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესი კანონით რეგულირდება.
- ტენდერი მალე დასრულდება.

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
არეგულირებს	რეგულირება	რეგულირდება
ამყარებს	გამყარება	მყარდება
აცხადებს	გამოცხადება	ცხადდება
ასრულებს	დასრულება	სრულდება

პასიური ზმნები
რეგულირდება ის სრულდება ის



დააკვირდით!

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა

არეგულირებს ის მას – რეგულირდება ის
ამყარებს ის მას – მყარდება ის
აცხადებს ის მას – ცხადდება ის
ასრულებს ის მას – სრულდება ის

1.4. გადააკეთეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გუშინ შეხვედრა **გამართა** ოფისში, სადაც ისაუბრეს მომავალ გეგმებზე.
გუშინ შეხვედრა **გაიმართა** ოფისში, სადაც ისაუბრეს მომავალ გეგმებზე.

1. მიმწოდებელი სატენდერო ხელშეკრულების ყველა პირობას **ასრულებს**.
2. სახელმწიფო არეგულირებს საბიუჯეტო თანხების განაწილებას.
3. ტენდერის დახმარებით მიმწოდებელი სახელმწიფოსთან ბიზნესურთიერთობას **ამყარებს**.
4. ტენდერის პირობებს სამინისტრო ყოველთვის წინასწარ **აცხადებს**.

ა) წაიკითხეთ განცხადება:

ხვალ, 2 თებერვალს, 11:00 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ **გაიმართება** სმ სააგენტოს ხელმძღვანელის საჯარო შეხვედრა ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას როგორც **საკანონმდებლო** სიხლეებზე, ასევე სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ სხვა **აქტუალურ** საკითხებზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო **თანმიმდევრულად** აგრძელებს რეფორმების განხორციელებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ღონისძიება იმართება USAID Project Governing for Growth (G4G) in Georgia-ს მხარდაჭერით.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის შეხვედრის მიზანი?
2. როგორ ფიქრობთ, ვისთვისაა ეს შეხვედრა საინტერესო?
3. რომელი ორგანიზაციის მხარდაჭერით იმართება ეს შეხვედრა?
4. მოიძიეთ ინტერნეტში ინფორმაცია ამ ორგანიზაციის შესახებ და გააცანით ჯგუფელებს.

1.6. დააკავშირეთ ზმნები შესაბამის სიტყვებთან:

ნიმუში: იმართება შეხვედრა

სრულდება	კონკურსი
ცხადდება	პროცესი
საჭირო ხდება	ურთიერთობა
რეგულირდება	შეხვედრა
მყარდება	განაწილება
იმართება	ვალდებულება

1.7. ჩასვით გამოთოვებულ ადგილას საჭირო ზმნები (გაითვალისწინეთ, ერთი ზედმეტია!):

ნიმუში:

ამ თვის ბოლოს ტენდერი **იმართება**.

სახელმწიფო შეყიდვების სააგენტო ხშირად **მართავს** შეხვედრებს.

მართავს	იმართება	გამოაცხადებს	გამოცხადდება
არეგულირებს	რეგულირდება	ასრულებს	სრულდება.
ამყარებს	მყარდება		

1. შპს „თოლია“ ტენდერით ნაკისრ ვალდებულებებს _____.
2. სანამ ტენდერი _____, ორგანიზაციამ ყველა საჭირო საბუთი უნდა მოამზადოს.
3. თუ ხელშეკრულების ყველა პირობა არ _____, ორგანიზაციას „შავ სიაში“ წერენ.
4. როცა ადამიანები კანონს იცავენ, წერივი _____.
5. სახელმწიფო სახსრების მიზნობრივ ხარჯვას კანონი _____.
6. მოსაკრებლის რაოდენობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში _____.
7. შეხვედრის ჩატარების დროს მინისტრი ტელევიზიით _____.

1.8. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა - ბ

სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა	ა) სამშენებლო მასალის ყიდვა ბ) სამუშაოს შესრულებისთვის ფულის გადახდა გ) მშენებლების აღრიცხვა
კანონით რეგულირდება	ა) კანონში ამ საკითხზე არაფერი წერია ბ) კანონში ამ საკითხზე ცოტა რამ წერია გ) კანონში ამ საკითხზე ყველაფერი წერია
საუკეთესო შეთავაზება	ა) არ ჰგავს სხვებს ბ) ყველაზე კარგი შეთავაზება გ) ისეთია, როგორც სხვა მსგავსი ნივთი
სახსრების მიზნობრივად დახარჯვა	ა) ფულის გადახდა ბ) ფულის გადახდა მხოლოდ საჭირო შემთხვევაში გ) ფულის გადახდა განსაკუთრებულ შემთხვევაში
მონიტორინგს უწევს	ა) აკონტროლებს ბ) არ აკონტროლებს გ) დახმარებას უწევს



1.9. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ოთარ, ტენდერის შედეგები _____?
- კი, როგორ არა, გუშინ _____.
- მერე?
- _____! ახლა _____ გაფორმება დარჩა და დასრულდა საქმე.
- ძალიან კარგი! ხომ იცი, თუ კარგად იქნება აწყობილი _____, _____ მივიღებთ _____ შეკვეთებს.
- ბატონო გიორგი, ყველაფერს გავაკეთებთ!

ბ)

- ანზორ, ჩვენი კომპანია _____ გამარჯვებული?
- დიახ, რა იყო?
- ხელშეკრულებაც _____?

- ჯერ არ _____ დაკავებული ვიყავი. იმ კვირაში _____.
- უი, სამწუხაროდ, დაგვიანება არ შეიძლება! სააგენტოს _____
_____, რომ ტენდერი შეწყვეტილია და ჩვენი
კომპანია _____.
- ეს რას ნიშნავს?
- იმას, რომ ერთი წლით აკრძალული გვაქვს ტენდერში _____ მიღება.

2. შესყიდვების დაგეგმვა, შესყიდვების წლიური გეგმა



2.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

სახელმწიფო შესყიდვების **ერთიანი** ელექტრონული სისტემა ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო სიახლეა. იგი **შემსყიდველებს** და მიმწოდებლებს **სამომავლო** საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვის საშუალებას აძლევს.

საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შესყიდვების **წლიური გეგმა** სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა **ატვირთონ არაუგვიანეს 20 ნოემბრისა**. წლიურ გეგმას როცა **განათავსებენ** ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია უკვე **საჯაროა** და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

სისტემის ფუნქციონირება უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ. მათ აქვთ ოფიციალური ვებგვერდი, **სადაც მონაცემებს განათავსებენ** - www.procurement.gov.ge.

სისტემით მხოლოდ შემსყიდველები და მიმწოდებლები არ სარგებლობენ; ყველას შეუძლია სტუმრის **სტატუსით** შესვლა **სისტემაში** და საჭირო მონაცემების ნახვა. სისტემას აქვს **ძეხვის** ფუნქცია, რომლის დახმარებით მოქალაქე სწრაფად და მარტივად მიიღებს ტენდერებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. **არსად** არ ხდება ასე კომფორტულად მონაცემების შეკრება: **თან** დრო იზოგება, **თან** საინტერესო ბიზნესპროექტები იგეგმება.

ამრიგად, მიმწოდებლები ყურადღებით **განიხილავენ** საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ატვირთულ წლიურ გეგმებს, **ინტერესდებიან** მიმდინარე და დასრულებული ტენდერებით. შემდეგ კიდევ ერთხელ **იხილება** მონაცემები და იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა სახის საქონელი და მომსახურება უნდა შესთავაზონ შემსყიდველებს.



დაიმახსოვრეთ!

მომავალი - **სამომავლო**
 აგენტი - **სააგენტო**
 სამართალი - **სასამართლო**
 ჯარი - **საჯარო**
 ტენდერი - **სატენდერო**
 ბიუჯეტი - **საბიუჯეტო**

ახალი სიტყვები:

რა?

განთავსება
 სტატუსი
 ძებნა
 ასორტიმენტი
 მინის ნაწარმი
 რეალიზაცია
 ბიზნესპარტნიორი
 თანამშრომლობა
 გადაწყვეტილება
 მონაცემი
 პარტია
 საწყობი
 იმპორტი

როგორი?

საბიუჯეტო
 ერთიანი
 საჯარო
 განთავსებული
 უზრუნველყოფილი
 საბითუმო
 საცალო
 შემოტანილი
 სავაჭრო
 არეული

ვინ?

შემსყიდველი

ზმნები:

ტვირთავს - იტვირთება
 იხილავს - იხილება
 კრებს - იკრიბება
 ათავსებს - თავსდება
 აინტერესებს - ინტერესდება

ფრაზები

ერთიანი ელექტრონული სისტემა
 სამომავლო საქმიანობის
 ეფექტურად დაგეგმვის საშუალება
 შესყიდვების წლიური გეგმა
 უნდა ატვირთოს
 არაუგვიანეს ოცი ნოემბრისა
 ინფორმაცია საჯაროა
 ყველასათვის ხელმისაწვდომი
 სისტემის ფუნქციონირება
 უზრუნველყოფილია სააგენტოს მიერ
 არსად არ ხდება ასე
 სტუმრის სტატუსით შესვლა
 ბიზნესპარტნიორების შეძენა
 შესყიდვების სახით



დაიმახსოვრეთ!

არსად; ვერსად; ნურსად

ბიუჯეტი განიხილება და ამიტომ

არსად მივდივარ.

დღეს **ვერსად** მივდივარ, იმიტომ რომ
 ბიუჯეტი განიხილება.

ნიკო, **ნურსად** წახვალ ოფისიდან,
 რადგან დღეს ბიუჯეტი განიხილება.



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
ატვირთვა	ატვირთა	ტვირთავს	ატვირთავს	აუტვირთავს
განხილვა	განხილა	განხილავს	განხილავს	განუხილავს
განთავსება	განათავსა	განათავსებს	განათავსებს	განუთავსებია
დაინტერესება	დააინტერესა	აინტერესებს	დააინტერესებს	დაუინტერესებია
შეკრება	შეკრიბა	კრებს	შეკრებს	შეუკრებია

- სახელმწიფო ყურადღებით **განხილავს** საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ატვირთულ წლიურ გეგმებს.
- ატვირთული წლიური გეგმები **განხილება**.

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
ტვირთავს	ატვირთვა	იტვირთება
განხილავს	განხილვა	იხილება
კრებს	შეკრება	იკრიბება
განათავსებს	განათავსება	თავსდება
აინტერესებს	დაინტერესება	ინტერესდება



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
ატვირთვა	აიტვირთა	იტვირთება	აიტვირთება	ატვირთულა
განხილვა	განხილა	იხილება	განხილვება	განხილულა
შეკრება	შეიკრიბა	იკრიბება	შეიკრიბება	შეკრებილა
განთავსება	განთავსდა	თავსდება	განთავსდება	განთავსებულა
დაინტერესება	დაინტერესდა	ინტერესდება	დაინტერესდება	დაინტერესებულა



დააკვირდით!

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა

ტვირთავს ის მას – იტვირთება ის

იხილავს ის მას – იხილება ის

კრებს ის მას – იკრიბება ის

ათავსებს ის მას – თავსდება ის

აინტერესებს ის მას – ინტერესდება ის

2.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. რისთვისაა საჭირო სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა?
2. ელექტრონულ სისტემაში მონაცემების ატვირთვის დრო შეზღუდულია?
3. როგორ შეიძლება ისარგებლოს ელექტრონული სისტემით ჩვეულებრივმა მოქალაქემ?
4. რისთვისაა „ძეხნის ფუნქცია“?
5. კონკრეტულად რით ეხმარება ელექტრონული სისტემა მიმწოდებლებს?



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
ატვირთვა	აიტვირთა	იტვირთება	აიტვირთება	ატვირთულა
განთავსება	განთავსდა	განთავსდება	განთავსდება	განთავსებულა
განხილვა	განხილდა	განხილდება	განხილდება	განხილულა
დაინტერესება	დაინტერესდა	ინტერესდება	დაინტერესდება	დაინტერესებულა
შეკრება	შეიკრიბა	იკრიბება	შეიკრიბება	შეკრებილა

2.3. დაუკავშირეთ ერთმანეთს სინონიმები:

ნიმუში: მიზნობრივი – კონკრეტული დანიშნულების მქონე

მიზნობრივი	იაფი
სტაბილური	დაზიანებული
მიმდებარე	მცოდნე
კომპეტენტური	კონკრეტული დანიშნულების მქონე
ხარისხიანი	მუდმივი
ავარიული	მნიშვნელოვანი
ხელმისაწვდომი	ახლოს მყოფი
აქტუალური	კარგი

2.4. გადაიყვანეთ ზმნები მომავალ დროში:

ნიმუში: ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია დღეს **იწყება**.
ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია დღეს **დაიწყება**.

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მონაცემები აუცილებლად იტვირთება.
2. სამომავლო საქმიანობის დასაგეგმად შპს „მინას“ ყველა მესაკუთრე იკრიბება.
3. სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე ოფისის დამფუძნებლების მიერ თანამშრომლების პრობლემები განიხილება.
4. საქონლის იმპორტზე ბევრი თანხა იხარჯება.
5. გამოცხადებული ტენდერებით ყველა მიმწოდებელი ინტერესდება.

2.5. სიტყვებს შეურჩიეთ სწორი სინონიმური მნიშვნელობის ფორმები:

რეალიზაცია	ა) შენახვა ბ) გაყიდვა გ) მოტანა
იმპორტი	ა) საქონლის უცხოეთში გატანა ბ) საქონლის სხვა ქალაქში გატანა გ) საქონლის უცხოეთიდან შემოტანა
საწყობი	ა) დირექტორის კაბინეტი ბ) საქონლის დასაწყობი ოთახი გ) საქონლის გასაყიდი ოთახი
საჯარო ინფორმაცია	ა) ინფორმაცია ჯარისკაცებისთვის ბ) ინფორმაცია კონკრეტული ჯგუფისთვის გ) არეული ინფორმაცია ყველასთვის

2.6. სიტყვები საჭირო ფორმით ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

საჯარო	მარტივი	შემოტანილი	არეული
საბითუმო	საცალო	განთავსებული	ვერსად

1. ჩვენი უბნის ახალ სუპერმარკეტში შპს „მინას“ მიერ _____ საქონელიც იყიდება.
2. ყველაფერი, რაც ერთიან ელექტრონულ სისტემაში იტვირთება, _____ ინფორმაციაა.
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე _____ დარეგისტრირება.

4. შპს „მინას“ საქონელზე _____ ფასი უფრო მეტია, ვიდრე _____.
5. მაღაზიაში მინის ნაწარმი უსაფრთხოდ უნდა იყოს _____.
6. ეს საწყობი დიდია, მაგრამ საქონელი სულ _____.
7. ვებგვერდზე ინფორმაცია _____ ვნახე.



2.7. მოისმინეთ დიალოგები და უპასუხეთ შეკითხვებს:



1. ა. დიალოგი

1. ბ. უპასუხეთ კითხვებს:

- რაზე საუბრობენ შპს „მინას“ წარმომადგენელი და სავაჭრო ცენტრის მენეჯერი?
- რატომ ვერ ითანამშრომლებენ შპს „მინა“ და სავაჭრო ცენტრი „საბა“?

2. ა. დიალოგი

2. ბ. უპასუხეთ შეკითხვებს:

- რა არის შპს-ს ძირითადი საქმიანობა?
- რატომ იკრიბებიან შპს-ს მესაკუთრები?
- რატომ ვერ ახერხებს ბადრი 23 ნომბერს შეხვედრას?

2.8 განმარტეთ შემდეგი ფრაზების მნიშვნელობა:

- უნდა ატვირთონ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა
- სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სააგენტო
- სხვადასხვა ასორტიმენტის ნაწარმს ვყიდით
- საქონლის დიდი პარტია ჩამოდის
- საქმეს აზარალებს

2.9. წაიკითხეთ სატენდერო განცხადება. იმსჯელეთ, რამდენად ხელსაყრელია მასში გამარჯვება. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ:

შესყიდვის ტიპი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე
განცხადების ნომერი	-----
შესყიდვის სტატუსი	მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება
შემსყიდველი	ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	-----
წინადადებების მიღება იწყება	-----
წინადადებების მიღება მთავრდება	-----
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1'900.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
შესყიდვის კატეგორია	22800000-ქალაქის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები
კლასიფიკატორის კოდები	22800000 – ქალაქის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები
დამატებითი ინფორმაცია	
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	25.00 GEL
გარანტიის ოდენობა	19 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	120 დღე

- განცხადების ჩაწერა:
- ბოლო შესწორება:

3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

3.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების ატვირთვის შემდეგ ყოველთვის იმართება შპს „მინას“ მესაკუთრეების საერთო კრება. კრებაზე **დეტალურად** განიხილება სხვა **პოტენციური** მიმწოდებლების შესაძლებლობები და **ფასდება** მათი **საკვალიფიკაციო** მონაცემები. ამის შედეგად კონკურენტების სია ხან **ვიწროვდება**, ხან კი **ფართოვდება**.

- მეგობრებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, ახლახან დასრულდა სისტემაში მონაცემების შეტანა. გადაწყვეტილების მიღებამდე e-plan **მოდული** ყურადღებით უნდა შევისწავლოთ. ამ **საკითხის ირგვლივ** ყველა მნიშვნელოვანი იდეა კიდევ ერთხელ განვიხილოთ.
- უკვე შევედით სისტემაში სტუმრის სტატუსით და ყველაფერი ვნახეთ. **გასაკეთებელი** გვაქვს კიდევ ერთი რამ: უნდა შევადგინოთ „რჩეული შესყიდვების“ სია.
- რას იტყვით, არის ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა?
- როგორ არა! რეალიზება ადვილი იქნება!
- იმედია, თუმცა არსებობს ერთი სირთულე: ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი მუდმივად **ფართოვდება**. ეს, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, პრობლემასაც გვიქმნის.
- მართალია. ყველაფერს ერთად ვინ იყიდის?
- არავინ. ამიტომ საქონლის სახეობების მიხედვით უნდა შევარჩიოთ **სამიზნე სუბიექტები**. მთავარი ჩვენი **მომხმარებელია**.
- სწორია, სხვა გზა არც გვაქვს. სანამ შეთავაზებას გავაფორმებთ, ამ საკითხის **გარშემო** კიდევ უნდა ვიმსჯელოთ.
- აუცილებლად. რა პრობლემაა?!
- არანაირი!

....+ის ირგვლივ/...+ის გარშემო
საკითხის ირგვლივ
სურვილის გარშემო

კვალიფიკაცია - საკვალიფიკაციო
ბარანდია - საბარანდო
კონტაქტი - საკონტაქტო

---ულ--- → სა---ელ
გაპატიებული - გასაპატიებელი
გაფართოებული - გასაფართოებელი
დაფასებული - დასაფასებელი
დავიწროებული - დასავიწროებელი

ახალი სიტყვები:			
რა? სუბიექტი პაროლი აღგენა პროფილი მოდული გარანტია ველი მოთხოვნა რეალიზება სურვილი	ვინ? საკონტაქტო პირი მომხმარებელი	როგორი? კოტენციური საკვალიფიკაციო სამიზნე საგარანტიო რჩეული არანაირი	როგორ? დეტალურად
ზმნები: ფასდება ვინროვდება ფართოვდება			

ფრაზები
მონაცემების ატვირთვის შემდეგ
პოტენციური მიმწოდებლების შესაძლებლობები
ფასდება მათი საკვალიფიკაციო მონაცემები
კონკურენტების სია ხან ვიწროვდება, ხან კი ფართოვდება
ინფორმაციის ზოგი ველი დავიწროვდება
როგორც თქვენთვის ცნობილია
არის ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა?
ასორტიმენტი მუდმივად ფართოვდება
პრობლემას გვიქმნის
შევარჩიოთ სამიზნე სუბიექტები
ყველაფერს ერთად ვინ იყიდის?
სხვა გამოსავალი არ გვაქვს



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
შეფასება	შეფასდა	ფასდება	შეფასდება	შეფასებულა
გაფართოება	გაფართოვდა	ფართოვდება	გაფართოვდება	გაფართოებულა
დავიწროება	დავიწროვდა	ვიწროვდება	დავიწროვდება	დავიწროებულა

- ჩვენი პროდუქციის ასორტიმენტი მუდმივად ფართოვდება.
- დამფუძნებლები პროდუქციის ასორტიმენტს მუდმივად აფართოვებენ.

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
აფასებს	შეფასება	ფასდება
აფართოვებს	გაფართოება	ფართოვდება
ავიწროებს	დავიწროება	ვიწროვდება




დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
შეფასება	შეაფასა	აფასებს	შეაფასებს	შეუფასებია
გაფართოება	გააფართოვა	აფართოვებს	გააფართოვებს	გაუფართოვებია
დავიწროება	დაავიწროვა	ავიწროვებს	დაავიწროვებს	დაუვიწროვებია

3.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. როდის არის აუცილებელი მესაკუთრეების შეკრება?
2. ძირითადად რა საკითხები განიხილება მესაკუთრეების საერთო კრებაზე?
3. რა შემთხვევაში არის ადვილი საქონლის რეალიზება?
4. რა სირთულეს ქმნის საქონლის ასორტიმენტის გაფართოება?
5. რა გამოსავალი არსებობს ამ შემთხვევაში?

3.3. შეარჩიეთ შესიტყვება და ესაუბრეთ მეწყვილეს ამ თემაზე:



3.4. მონიშნეთ სწორი ვარიანტი ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

საკონტაქტო პირი	ა) ის, ვისაც უნდა სთხოვოთ ინფორმაცია ბ) ის, ვისაც უნდა სთხოვოთ საქონელი გ) დირექტორი	✓
-----------------	--	---

სამიზნე სუბიექტი	ა) ადამიანის მიზანი ბ) ის, ვინც საქმეს აკეთებს გ) ის, ვისთან თანამშრომლობაც გინდა	
საკვალიფიკაციო მონაცემები	ა) მისამართი და ტელეფონის ნომერი ბ) მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ორგანიზაცია გ) თანამშრომლების სია	
პოტენციური მიმწოდებელი	ა) ყველა, ვინც უკვე იყო მიმწოდებელი ბ) ყველა, ვინც არ ყოფილა მიმწოდებელი გ) ყველა, ვინც შეიძლება იყოს მიმწოდებელი	
მოთხოვნი პროდუქცია	ა) პროდუქცია, რომელიც ზოგს მოსწონს ბ) პროდუქცია, რომელიც არავის მოსწონს გ) პროდუქცია, რომელიც ბევრს მოსწონს	
ფართო ასორტიმენტი	ა) დიდი ზომის პროდუქცია ბ) სხვადასხვა სახის პროდუქცია გ) ბევრი პროდუქცია	

ა) წაიკითხეთ შპს „მინას“ დირექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაციის ტექსტი. ყურადღება მიაქციეთ მისაღმებისა და დამშვიდობების ფორმებს, შეჯამებასა და გადაბმებს:

მისაღმება	ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით, დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მე გახლავართ ბადრი გვასალია, შპს „მინას“ დირექტორი.
მიზანი	დღევანდელი შეხვედრის მიზანია, გაგაცნოთ ჩვენ მიერ შემოტანილი ახალი პროდუქციის ასორტიმენტი.
საჭიროება	მინის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია უამრავ სიახლეს გვთავაზობს.
პრობლემა	ეს საკითხი ძალიან აქტუალურია. მართლაც, ბევრმა ჩვენგანმა არ იცის, რომ უკვე არსებობს ისეთი პროდუქცია, რომელიც ძალიან გვჭირდება.
ძლიერი მხარეები	ჩვენი შპს დაგეხმარებათ, რომ იცხოვროთ ჯანსაღად და კომფორტულად. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული პროდუქცია დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან. ამრიგად, მათი გამოყენება ხელს შეუწყობს თქვენს ჯანმრთელობას.

სამომავლო გეგმები	სამომავლოდ საინტერესო აქტივობებს ვგეგმავთ. მუდმივად გავმართავთ გამოფენა-გაყიდვებს. ასევე, ვგეგმავთ უცხოელ ბიზნესპარტნიორებთან თანამშრომლობას. ისინი ჩვენს მომხმარებლებს თავიანთ პროდუქციას გააცნობენ. დაინტერესების შემთხვევაში, შპს „მინა“ უზრუნველყოფს ამ საქონლის ჩამოტანას ხელმისაწვდომ ფასად.
დამშვიდობება	კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მობრძანებისთვის. ახლა კი გეპატიჟებით გამოფენა-გაყიდვაზე.

ბ) შექმენით მსგავსი ტექსტი და წარუდგინეთ აუდიტორიას. გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები:

მოგესალმებით	განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ...
გისურვებთ წარმატებებს	ამრიგად, ჩვენ დაგეხმარებით...
გვინდა აღვნიშნოთ, რომ...	ჩვენი მიზანია...
ჩემი ამრით	კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!
მართლაც	

ა) წაიკითხეთ რეკომენდაცია:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით რომ ისარგებლოთ, საჭიროა:

- რეგისტრაციის განაცხადის შევსება
- მიმწოდებლის სტატუსის გააქტიურება
- პაროლის აღდგენა
- პროფილის ინფორმაციის შევსება/განახლება
- საკონტაქტო პირის მონაცემების შეტანა
- e-plan მოდულის დათვალიერება
- „რჩეული შესყიდვების“ განსაზღვრა
- შეთავაზების გაგზავნა
- საგარანტიო თანხის გადახდა/ელექტრონული გარანტიის წარდგენა

ბ) იმსჯელეთ, არის თუ არა მარტივი და ეფექტური ელექტრონული სისტემით სარგებლობა? პასუხი დაასაბუთეთ:

3.7. ფრჩხილებში მოცემული ზმნები ჩასვით სათანადო ფორმით:

1. ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ატვირთვა _____ (რეგულირება) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ.
2. e-plan მოდულში მონაცემები ჯერ არ ჩანს. ამრიგად, კრება ჯერ არ _____ (გამართვა).

3. პოტენციური მიმწოდებლების საკვალიფიკაციო მონაცემები თუ არ _____ (განხილვა), საქმიანობის სწორად დაგეგმვას ვერ შეძლებთ.
4. როდესაც საქონელი საწყობში _____ (განთავსება), უკვე შეიძლება მის რეალიზაციაზე ფიქრი.
5. ჩვენი ორგანიზაცია _____ (გაფართოება). მალე უფრო დიდი შენობა დაგვჭირდება.

3.8. ჩასვით საჭირო სიტყვები გამოთვებულ ადგილას:

სამიზნე	ხელმისაწვდომი
საკვალიფიკაციო	პოტენციური
ძვირადღირებული	

1. ახალი სავაჭრო ცენტრი ჩვენი _____ ბიზნესპარტნიორია.
2. მინის ნაწარმის რეალიზაციისთვის მთავარი _____ ჯგუფი რესტორნებია.
3. თუ ორგანიზაცია _____ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, ელექტრონულ შესყიდვებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.
4. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ _____ შეკვეთა მიიღო.
5. შპს „მინას“ მიერ შემოტანილი პროდუქცია გამოირჩევა _____ ფასით და მაღალი ხარისხით.

3.9. ტექსტის მიხედვით დაადასტურეთ ან უარყავით ცხრილში მოცემული ინფორმაცია:

1	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა მნიშვნელოვანი სიახლეა	✓
2	საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შეიძლება ატვირთონ წლიური გეგმები ელექტრონულ სისტემაში	
3	ელექტრონული სისტემით მხოლოდ შემსყიდველები და მიმწოდებლები სარგებლობენ	
4	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემას აქვს ძეგნის ფუნქცია	
5	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით სარგებლობისთვის აუცილებელია განაცხადის შევსება	
6	ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის დროს არ არის აუცილებელი საკონტაქტო პირის მითითება	

V თავი სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები

1. სატენდერო დოკუმენტაცია



1.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურს ბოლო დღეებში განსაკუთრებით დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს. თანამშრომლები **დასვენების ნაცვლად**, სამსახურში შაბათსაც მოვიდნენ. ბიუჯეტი წინა კვირაში დამტკიცებულა, შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაუყოვნებლივ შექმნილა **სატენდერო კომისია**, რომლის **თავმჯდომარედ** ბატონი ვაჟა დურგლიშვილი **დანიშნულა**.

ვაჟა დურგლიშვილის ხელმძღვანელობით კომისიას ერთი კვირის **განმავლობაში** შეუდგენია და დაუმტკიცებია **სატენდერო დოკუმენტაცია**, რომელშიც დეტალურად არის მოცემული:

- შესასყიდი საქონლისა თუ მომსახურების **აღწერილობა** და **მახასიათებლები**;
- საქონლის მიწოდების პირობები და ვადები;
- ანგარიშსწორების ვადები;
- ავანსად (წინასწარ) თანხის **ჩარიცხვის** საკითხი;
- ხელშეკრულების პირობის **შეუსრულებლობისათვის** გათვალისწინებული ჯარიმის ან **პირგასამტეხლოს** რაოდენობა.

ცხადია, სატენდერო დოკუმენტაციაში მიმწოდებელი ორგანიზაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც მიუთითებიათ. ბატონი ვაჟას ამრით, ახლა უკვე შეიძლება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში www.procurement.gov.ge-ზე. მას შემდეგ, რაც სატენდერო განცხადებას ექნება უნიკალური ნომერი, ის **ჩაითვლება** ოფიციალურად გამოქვეყნებულად.

ახლა შესყიდვების სამსახურს უფრო მეტი დრო და რესურსი სჭირდება თითოეული შესყიდვის განხორციელებისთვის, **რადგან** შესასყიდი საქონელი და მომსახურება მრავალფეროვანია.

რა თქმა უნდა, ეს კარგად იცის ბატონმა ვაჟამ, მაგრამ **მშვიდადაა**, რადგან ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს.

ახალი სიტყვები:			
რა? აღწერილობა მახასიათებელი ანგარიშსწორება ხელმძღვანელობა აპანსი ჩარიცხვა პირგასამტეხლო წლიური ბრუნვა ყაღალა	ვინ? თავმჯდომარე	როგორი? შესასყიდი შეუსრულებელი	როგორ? შესაბამისად
ზმნები: მტკიცდება იქმნება ინიშნება ითვლება წარდგება			



დაიმახსოვრეთ!

----- + ის განმავლობაში
(ნათ ბრ. +)

ფრაზები

აუანსად თანხის ჩარიცხვა
ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობა
გათვალისწინებული ჯარიმა
პირგასამტეხლოს რაოდენობა
ოფიციალურად
ჩაითვლება გამოქვეყნებულად
მშვიდადაა, რადგან დიდი გამოცდილება აქვს
სატენდერო კომისია
სატენდერო დოკუმენტაცია
ანგარიშსწორების ვადაში

ვაჟა დურგლიშვილის ხელმძღვანელობით კომისიას ერთი კვირის განმავლობაში შეუდგენია სატენდერო დოკუმენტაცია.

დაიმახსოვრეთ!



	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დანიშვნა	დაინიშნა	ინიშნება	დაინიშნება	დანიშნულა
დამტკიცება	დამტკიცდა	მტკიცდება	დამტკიცდება	დამტკიცებულა
შექმნა	შეიქმნა	იქმნება	შეიქმნება	შექმნილა
ჩათვლა	ჩაითვალა	ითვლება	ჩაითვლება	ჩათვლილა
წარდგენა	წარდგა	წარდგება	წარდგება	წარმდგარა

თანდებული - ნაცვლად; მაგივრად
(ნათ ბრ. +)

თანამშრომლები **დასვენების ნაცვლად**, სამსახურში შაბათსაც მოვიდნენ.

აქტიური გზნები	საწყისი	პასიური გზნები
ნიშნავს	დანიშვნა	ინიშნება
ამტკიცებს	დამტკიცება	მტკიცდება
ქმნის	შექმნა	იქმნება
თვლის	ჩათვლა	ითვლება
წარადგენს	წარდგენა	წარდგება



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დანიშვნა	დანიშნა	ნიშნავს	დანიშნავს	დაუნიშნავს
დამტკიცება	დაამტკიცა	ამტკიცებს	დაამტკიცებს	დაუმტკიცებია
შექმნა	შექმნა	ქმნის	შექმნის	შეუქმნია
ჩათვლა	ჩათვალა	თვლის	ჩათვლის	ჩაუთვლია
წარადგენა	წარადგინა	წარადგენს	წარადგენს	წარუდგენია



დააკვირდით!

აქტიური გზნა – პასიური გზნა
დაუნიშნავს მას ის – დანიშნულა ის
დაუმტკიცებია მას ის – დამტკიცებულა ის

1.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

- რა არის საჭირო დაგეგმილი შესყიდვების განხორციელებისთვის?
- როგორ მზადდება სატენდერო დოკუმენტაცია?
- კონკრეტულად რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაცია?
- რა შემთხვევაში ჩაითვლება ტენდერი ოფიციალურად გამოქვეყნებულად?
- რატომ არის მშვიდად სატენდერო კომისიის თავმჯდომარე?



1.3. მოისმინეთ და შეავსეთ დიალოგი:

- გიორგი, _____ განხორციელებას როდის იწყებთ?
- ბიუჯეტი _____ თუ არა, დაუყოვნებლივ დავიწყოთ საქმე.
- _____ თქვენ ამზადებთ?
- კი, რატომ მეკითხები?
- იცი რა მაინტერესებს? კარგად ვერ გავიგე, _____ მიმწოდებელს თანხას?
- ეს საკითხი ხელშეკრულების მიხედვით _____.
- ანუ შესაძლებელია?
- რა თქმა უნდა.
- დიდი მადლობა...

1.4.

ა) წაიკითხეთ განცხადება:

მომწოდებელთა საყურადღებოდ!

გთხოვთ, ტენდერში მონაწილეობის მისაღებად წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- გაქვთ თუ არა მსგავსი საქონლის მიწოდების გამოცდილება;
- როგორია თქვენი ორგანიზაციის წლიური ბრუნვა;
- ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ;

გაითვალისწინეთ, რომ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების გარეშე არცერთი მიმწოდებლის წინადადება არ განიხილება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახური

ბ) კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხეთ განცხადება:

- რა დანიშნულება აქვს ამ ტექსტს?
- ისაუბრეთ, თუ რატომ არის საჭირო განცხადებაში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენა.
- იპოვეთ ტექსტში განცხადებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფრაზები.

1.5. ა) დააკავშირეთ ფორმები:

წლიური	რაოდენობა
სატენდერო	პირობები
ავანსის	აღწერილობა
მიწოდების	დოკუმენტაცია
პირგასამტეხლოს	ბრუნვა
შესასყიდი საქონლის	ჩარიცხვა

ბ) დაწვრილდით და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- სახელმწიფო შესყიდვები
- ტენდერში მონაწილეობა
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა - procurement.gov.ge
- სატენდერო დოკუმენტაცია

1.6. შეცვალეთ გზნები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ხელშეკრულება **არეგულირებს** ბიზნესურთიერთობებს. ხელშეკრულებას **დაურეგულირებია** ბიზნესურთიერთობები.

1. სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მიერ **მტკიცდება** სატენდერო დოკუმენტაცია.
2. ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში წინასწარ **იგეგმება** საქონლისა და მოსახურების შესყიდვა.
3. შპს „თბილისი“ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციას **ამზადებს**.
4. სახელმწიფოს მიერ **ცხადდება** ტენდერი, რომელშიც მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია.
5. სასტუმრო „მერიოტში“ სატენდერო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრა **იმართება** ჟურნალისტებთან.

1.7. შეცვალეთ ზმნები ნიმუშის მიხედვით; გამოიყენეთ კონსტრუქცია: მოდი + II კავშირებით:

ნიმუში: ეს საკითხი ადმინისტრაციული წესით **რეგულირდება**.
მოდი, ეს საკითხი **დავარეგულიროთ** ადმინისტრაციული წესით.

1. კომისიის თვმჯდომარედ ბატონ ვაჟა დურგლიშვილს **ვამტკიცებთ**.
2. სატენდერო დოკუმენტაციას მოვამზადებთ და ტენდერს **გამოვაცხადებთ**.
3. შესასყიდი საქონლის სია ერთად **განვიხილოთ** და მერე გადავცეთ შესყიდვების სამსახურს.
4. თანხას ავანსად **ჩავრიცხავთ** შპს „თბილისის“ ანგარიშზე, რადგან ხელშეკრულების მიხედვით ამის გაკეთება შეგვიძლია.
5. მომწოდებლებთან შეხვედრას ორშაბათს **ვნიშნავთ**, რათა სატენდერო მოთხოვნები გავაცნოთ.
6. **უქმნით** ერთიან ელექტრონულ სისტემას, რომელშიც ყველა მიმწოდებლის მონაცემებს შევიტანთ.

1.8. დაფიქრდით და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

იშვიათად	დაუყოვნებლივ	ახლახან
ზოგჯერ	დეტალურად	წინასწარ
ხშირად	ყოველთვის	გონივრულად

1. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ატვირთული წლიური გეგმები _____ განიხილება მიმწოდებლების მიერ.
2. ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების ატვირთვის შემდეგ _____ იმართება შპს „მინას“ მესაკუთრეების საერთო კრება.
3. პროდუქციის მრავალფეროვანი ასორტიმენტი _____ პრობლემასაც უქმნის მიმწოდებელს.
4. როგორც ცნობილია, _____ დასრულდა სისტემაში მონაცემების შეტანა.
5. ჩვენს _____ შევდივართ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში სტუმრის სტატუსით და ყველაფერს ვნახულობთ.
6. ახალ ბიზნესპარტნიორებს _____ თუ არ შევხვდით, შეიძლება ხელშეკრულება ვეღარ გავაფორმოთ.
7. წლის ბიუჯეტი _____ უნდა დაიგეგმოს.
8. სატენდერო განცხადების შევსებისას მიმწოდებელმა _____ უნდა გაითვალისწინოს ყველა ხარჯი.

1.9. სიტყვებს შეურჩიეთ სწორი სინონიმური მნიშვნელობის ფორმები:

ავანსი	ა) ხელფასი ბ) თანხა გ) წინასწარ გადახდა
პირგასამტეხლო	ა) ხელფასის თანხა ბ) საჯარიმო თანხა გ) მომსახურების ღირებულება
ყადაღა	ა) აკრძალულია ქონების გაყიდვა ბ) აკრძალულია ქონების გამოყენება გ) აკრძალულია ქონების შენახვა
წლიური ბრუნვა	ა) წლის განმავლობაში მიღებული მოგება ბ) წლის განმავლობაში მიღებული ზარალი გ) წლის განმავლობაში შემოსული და გასული თანხის ერთობლიობა

1.10. ტექსტის მიხედვით იმჯელეთ დაგეგმილი შესყიდვების განხორციელების შესახებ და გამოიყენეთ ახალი სიტყვები და ფრაზები:

სატენდერო კომისია	წლიური ბრუნვა
ავანსად თანხის ჩარიცხვა	პირგასამტეხლო
ანგარიშსწორების ვადა	დამტკიცება
ყადაღა	თავმჯდომარე
დოკუმენტაცია	შესასყიდი.

2. მიმწოდებლები

2.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

სანდრო მეტრეველმა შპს „საქრემონტი“ თითქმის 20 წლის წინ შექმნა. თავიდან მასთან 50 კაცი **დასაქმდა**, ახლა კი სანდროს უწევს ათზე მეტი **ბრიგადისა** და 200-ზე მეტი თანამშრომლის ხელმძღვანელობა. ორგანიზაციის წლიური ბრუნვა ათეულობით მილიონი ლარია. შპს „საქრემონტში“ მუშაობა უკვე ბევრ დროს და ენერგიას მოითხოვს, ამიტომ სანდრომ ახალ **თანაშემწეს** სთხოვა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

- ბატონო სანდრო, როგორც ვიცი, ჩვენი შპს მთლიანად **აკმაყოფილებს** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.
- დიახ. ამიტომაც არის **დარეგისტრირებული** „საქრემონტი“ მიმწოდებლის სტატუსით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
- როგორი იქნება ჩემი დავალება?
- ყურადღება მიაქციეთ გადასახადების **რეგულარულად** და დროულად გადახდას. **დავალიანება** ხელს შეგვიშლის ტენდერში მონაწილეობის მიღებაში.

- გასაგებია.
- ასევე, აუცილებელია კონტროლი, რომ სამუშაო ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და, რაც მთავარია, ხარისხიანად შესრულდეს! თუ ასე არ მოხდა, ორგანიზაციას „შავ სიაში“ ჩაწერენ და ტენდერებს ერთი წლით **დავეშვითობებით**.
- ეს დაუშვებელია! ბატონო სანდრო, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს არ მოხდეს და უპირატესობა ჩვენი ორგანიზაციის შეთავაზებებს მიანიჭონ.
- გახსოვდეთ, ტენდერში გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე დაბალ ფასად უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას.



ახალი სიტყვები:			
რა? ბრიგადა დავალიანება	ვინ? თანაშემწე	როგორი? დარეგისტრირებული	როგორ? რეგულარულად ერთდროულად
ზმნები: საქმდება ემშვიდობება კეთდება ენიჭება აკმაყოფილებს			

ფრაზები
ბევრ დროს და ენერგიას მოითხოვს, ამიტომ
მთლიანად აკმაყოფილებს
ამიტომაც არის დარეგისტრირებული
ყურადღება მიაქცევთ
აუცილებელია კონტროლი
რაც მთავარია
ეს დაუშვებელია!
საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს
უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას
უპირატესობა... -ს მიანიჭონ
გახსოვდეთ



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დასაქმება	დასაქმდა	საქმდება	დასაქმდება	დასაქმებულა
კეთება	გაკეთდა	კეთდება	გაკეთდება	გაკეთებულა
დამშვიდობება	დამშვიდობა	ემშვიდობება	დამშვიდობება	დამშვიდობებია



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დაკმაყოფილება	დააკმაყოფილა	აკმაყოფილებს	დააკმაყოფილებს	დაუკმაყოფილებია
მინიჭება	მიენიჭა	ენიჭება	მიენიჭება	მინიჭებია

მოდი + II პავშირებითი

მოდი, გამოვაქვეყნოთ ცხრასაათიან „კურიერში“;
მოდი, შევადგინოთ; მოდი, განვათავსოთ.

2.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. ვის სთხოვა შპს „საქრემონტის“ ხელმძღვანელმა დახმარება და რატომ?
2. რა შემთხვევაში შეძლეს ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებას?
3. რატომ არის საჭირო გადასახადების დროულად გადახდა?
4. როგორ ორგანიზაციებს წერენ „შავ სიაში“?
5. ვინ შეიძლება იყოს ტენდერში გამარჯვებული?

2.3. დააკავშირეთ ზმნები შესაბამის სიტყვებთან:

ნიმუში: დაინიშნება შეხვედრა

დასაქმდება	ორგანიზაცია
დამტკიცდება	კოდი
შეიქმნება	მოთხოვნა
მიენიჭება	პროექტი
დარეგისტრირდება	კომისია
დაკმაყოფილდება	ხალხი

2.4. ა) დააკვირდით ნახატს და წაიკითხეთ წერილი:

კარგი - იაფი - სწრაფი

ძვირფასო შემსყიდველებო!

იაფი, ხარისხიანი და სწრაფი მომსახურება გნებავთ? გაითვალისწინეთ: დრო, ხარისხი და ფინანსური რესურსი ის სამი მოთხოვნაა, რომელთა **ერთდროულად** შესრულება შეუძლებელია. აუცილებლად დაზარალდება ერთ-ერთი მათგანი.

- კარგად და სწრაფად შესაძლებელია, მაგრამ ეს ძვირია;
- იაფად და სწრაფად ასევე შესაძლებელია, მაგრამ კარგად ვერ **გაკეთდება**;
- იაფად და კარგადაც შესაძლებელია, მაგრამ ეს სწრაფად არ გაკეთდება.

ჩვენ გვინდა გვყავდეს ბევრი შემსყიდველი, რომელთაც უნდათ სერვისის მიღება „კარგად“ და „სწრაფად“; უარეს შემთხვევაში – „იაფად“ და „კარგად“.

„იაფი“ და „სწრაფი“ სერვისის მსურველებს კი დასჭირდებათ მცირე ლექციის მოსმენა თემაზე, თუ რატომ არის შეუძლებელი იაფად და სწრაფად საქმის კარგად გაკეთება.

მიმწოდებლები

ბ) წერილის ტექსტის მიხედვით აღნიშნეთ სწორი (+) და არასწორი (-) დებულებები:

შემსყიდველებისათვის მნიშვნელოვანია სწრაფი მომსახურება და არა ხარისხი	
შემსყიდველისათვის მნიშვნელოვანი ყოველთვის ხარისხია და არა ფასი	
შემსყიდველისათვის მთავარია, ფასი იყოს დაბალი	
შემსყიდველს სჭირდება იაფი, სწრაფი და ხარისხიანი მომსახურება	
შემსყიდველმა იცის, რომ საქმე არასდროს გაკეთდება კარგად და სწრაფად	
საქმის იაფად და კარგად გაკეთებას დიდი დრო სჭირდება	
იაფად და სწრაფად საქმის გაკეთება საქმის უხარისხოდ გაკეთებას არ ნიშნავს	

გ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ წერილი და ისაუბრეთ თემაზე: იდეალური შემსყიდველი. გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები:

იაფი	ხარისხიანი	დამარაღება	გონივრული
სწრაფი	უხარისხო	შესაძლებელი	სწორი
ძვირი	გათვალისწინება	შეუძლებელი	მომსახურება

2.5. დააკავშირეთ სინონიმური წყვილები და შეადგინეთ წინადადებები:

ხარისხიანი	მისაღები
ხელსაყრელი	ავარიული
სარეზერვო	ახლოს მყოფი
დაზიანებული	კარგი
სტაბილური	მუდმივი
მიმდებარე	დამატებითი

2.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი ზმნები:

დასაქმებულა	შექმნილა	შესრულებულა
აშენებულა	დანიშნულა	

- ეს საგრანტო პროექტი ახლა არ _____. შპს „თბილისის“ თანამშრომლები მასზე უკვე დიდი ხანია მუშაობენ.
- სატენდერო ხელშეკრულების პირობები არ _____, ამიტომ კომპანია „შავ სიაში“ ჩაწერეს.
- ჟურნალისტებთან შეხვედრა _____ პრეზენტაციის შემდეგ.
- ეს შენობა ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ _____.
- შემოვლითი საავტომობილო გზის შეკეთებაზე რამდენიმე ადამიანი _____ სოფელ კონდოლიდან.

2.7. დააკავშირეთ ერთი და იმავე მნიშვნელობის ზმნები და განმარტეთ თითოეული. შეადგინეთ ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: - მოდი, გააკეთოს! - მოდი, განახორციელოს!

წარმოადგენს	აკეთებს
კონტროლდება	არის
ახორციელებს	ხშირად მოწმდება
ყიდულობს	მუშაობს
ფუნქციონირებს	ეძლევა
აკისრებს	ავალებს
ენიჭება	იძენს

2.8. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. ჩასვით გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვები საჭირო ფორმით. გაითვალისწინეთ: ორი სიტყვა ზედმეტია:

პირგასამტეხლო	თანაშემწე	მოთხოვნები
ტენდერი	საკონტაქტო პირი	პირობები
შეხვედრა	დავალიანება	ბრიგადა

შპს „საქრემონტის“ სამმა _____ ქალაქ ქუთაისში მთავარი მოედნის კეთილმოწყობა უნდა უზრუნველყოს. დირექტორის _____ უწევს სამუშაოების ხელმძღვანელობა. ის სამუშაოს დაწყებამდე დაუკავშირდა _____, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას წარმოადგენდა. _____ კიდევ ერთხელ განიხილეს ხელშეკრულების _____. ყველაფერი გაკეთდება, რომ შემსყიდველის _____ ხარისხიანად შესრულდეს და შპს „საქრემონტს“ _____ გადახდა არ დაეკისროს.

2.9. ტექსტის მიხედვით ისაუბრეთ მიმწოდებლების შესახებ და გამოიყენეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

ხარისხიანი მომსახურება	რეალიზაცია
სტაბილური	ანგარიშსწორების ვადები
ნაკისრი ვალდებულება	პირგასამტეხლო
საუკეთესო შეთავაზება	სერვისი

3. შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი

3.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

შპს „საქრემონტს“ თელავის მერიაში სარემონტო სამუშაოები ჯერ არ დაუსრულებია. ხელშეკრულების მიხედვით, კიდევ სამი თვე რჩება. რა თქმა უნდა, **განახლებულ** შენობაში ავეჯიც ახალია საჭირო. წლიურ გეგმაში შესყიდვების სავარაუდო ღირებულება სწორად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ამიტომაც ქალაქის მერის ბრძანებით დროულად **დაწყებულია** შესყიდვის **წინამოსამზადებელი** ეტაპი.

გამოცდილებამ დაადასტურა, რომ შესყიდვა წარმატებულია, თუ წინამოსამზადებელი ეტაპი გონივრულადაა ჩატარებული და ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი.

პირველ რიგში, განსაზღვრული უნდა იყოს, რა არის შესყიდვის ობიექტი და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ის. ამისათვის **სამეურნეო განყოფილების** თანამშრომლების მიერ ზუსტად **აღირიცხა** მერიის თითოეული ოთახისათვის საჭირო ავეჯი; დოკუმენტაციაში კი **დაწვრილებით** **მიუთითეს** შესასყიდი ნივთები: მათი **ფორმა**, ზომა, რაოდენობა, ფერი და მასალა.

შემდეგ ეტაპზე **ჩატარებულია** ბაზრის კვლევა. **სხვაგვარად** არ იქნებოდა ცნობილი შესყიდვის

ობიექტის სავარაუდო ღირებულება და, შესაბამისად, ვერც შესყიდვების წლიური ბიუჯეტი იქნებოდა ადეკვატური. მერიაში რამდენიმე წლის წინ **შექმნილა** შესყიდვების ძირითადი პროდუქტების ელექტრონული **კატალოგი**. მასში შეუტანიათ სხვადასხვა კომპანიის მიერ **შეთავაზებული** ფასები. ასევე, ინფორმაცია პოტენციურ მიმწოდებლებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით და ა. შ.

მათ არც web-based e-Market-ის მონაცემების შესწავლა **დაავიწყდათ**. ყოველივე ამის საფუძველზე შეუდგენიათ თითოეული შესასყიდი ობიექტის აღწერილობისა და საორიენტაციო ფასების ცხრილი და შესყიდვების სამსახურისთვის გადაუციათ.

რემონტი სადაცაა დასრულებული, ავეჯის შესყიდვაც კანონით დადგენილი ფორმით **განხორციელდება**. მერიაში ეჭვი არავის ეპარება, რომ სულ მალე არა მარტო ლამაზ, არამედ კომფორტულ გარემოში იმუშავებენ.

3.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ გადაწყვიტეს თელავის მერიაში ახალი ავეჯის შესყიდვა?
2. რას ნიშნავს „შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი“?
3. რისთვის არის საჭირო ბაზრის კვლევა?
4. რა დახმარებას უწევს მერიის თანამშრომლებს შესყიდვის ობიექტების ელექტრონული კატალოგი?
5. განმარტეთ გამოთქმა „საორიენტაციო ფასი“.

ახალი სიტყვები:		
რა? სამეურნეო განყოფილება ფორმა კატალოგი	როგორი? განახლებული განსაზღვრული წინამოსამზადებელი შეთავაზებული საორიენტაციო	როგორ? დანვრილებით სხვაგვარად
ზმნები: ინყება ირიცხება ეთითება ტარდება ხორციელდება ავიწყდება		

ფრაზები
გამოცდილებამ დაადასტურა, რომ
პირველ რიგში
ყოველივე ამის საფუძველზე
სადაცაა დასრულებული / სადაცაა დაიწყება
ეჭვი არავის ეპარება
მთელი ქვეყნის მასშტაბით
შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს
კატალოგში შეუტანიათ სხვადასხვა ფასი



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დაწყება	დაიწყო	იწყება	დაიწყება	დაწყებულა
აღრიცხვა	აღირიცხა	ირიცხება	აღირიცხება	აღრიცხულა
მითითება	მიეთითა	ეთითება	მიეთითება	მითითებულა
ჩატარება	ჩატარდა	ტარდება	ჩატარდება	ჩატარებულა
შექმნა	შეიქმნა	იქმნება	შეიქმნება	შექმნილა
განხორციელება	განხორციელდა	ხორციელდება	განხორციელდება	განხორციელებულა
დავიწყება	დაავიწყდა	ავიწყდება	დაავიწყდება	დავიწყებია

მეთქი ნაწილაკი (= მე ვთქვი)

ხომ გითხარი, ტენდერში მონაწილეობას ვიღებ-მეთქი.

თქო ნაწილაკი (= მან თქვა)

ბუღალტერს უთხარი, ანგარიში მოამზადე-თქო.



3.3. მოისმინეთ დიალოგები და დაასრულეთ წინადადებები:

ა)

- ჯერ ხომ _____ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ჩვენს მუნიციპალიტეტში?
 - როგორ არა. წინამოსამზადებელი სამუშაოებიც _____ რას ამბობ?
 - მე კი _____ იმ კვირაში ვფიქრობდი. ინფორმაციის მიწოდება აღარ შეიძლება?
 - არა. _____!
 - რატომ?
 - იმიტომ, რომ _____
- უკვე განსაზღვრულია და მასში ცვლილების შეტანა ახლა შეუძლებელია.

ბ)

- ხომ იცით, გზების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვის _____
_____?
- რამე პრობლემაა?
- პრობლემა ისაა, რომ შესაკეთებელი ობიექტები _____
_____ ძალიან შორს ყოფილა.
- მიმწოდებელი ვერ შეძლებს მომსახურებას?
- ერთი მიმწოდებელი ვადებს ვერ დაიცავს. ეს შეუძლებელია.
- მოდი, ტენდერი ორივე ობიექტზე ცალ-ცალკე გამოვაცხადოთ. _____
_____ გვეძლევა.
- მართალია, ასე აჯობებს.

გ)

- როგორც ვიცი, სატენდერო დოკუმენტაცია უკვე ოფიციალურად გამოქვეყნდა.
- დიახ, ასეა.
- შესასყიდი საქონლის აღწერილობა და მახასიათებლები _____
_____?
- რა თქმა უნდა.
- მოთხოვნებს _____?
- როგორ არა, თუმცა მაინც არის ერთი პრობლემა.
- რომელი?
- _____ ბოლო დღეს შეცვალეს მოთხოვნები.
- ამ შემთხვევაში ტენდერის _____?
- სამწუხაროდ, არა.

3.4. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული სიტყვები შესაბამისი ფორმით:

დახმარებისთვის	შესყიდვა	აღწერილობა
დაბალი	სატენდერო	გამოცდილება
მახასიათებლები	დოკუმენტაცია	

- გიორგი, შენ დიდი _____ გაქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში.
_____ მოვედი. რჩევა მინდა გთხოვო.
- რით შემიძლია გემსახურო?
- სამსახურში გვინდა 500-600 ლარიანი ნორმალური ტელეფონების _____.
- მერე რა პრობლემაა?
- ტენდერში გაიმარჯვებს ყველაზე _____ ფასი და მივიღებთ 40 ლარიან „ნოკიას“.

- კი, ყველაფერი შესაძლებელია...
- რა ჩაწერო _____ ?
- დეტალურად მიუთითე შესასყიდი საქონლის _____ და _____;
- დიდი მადლობა.

თანდებული მაგივრად / ნაცვლად
(ნათ ბრ. +)

ნორმალური ტელეფონის ნაცვლად უბრალო „ნოკია“ იყიდა.
ტენდერის მაგივრად საგრანტო კონკურსი ჩატარდა.

3.5. სათანადო ადგილას ჩასვით ფორმები მაგივრად/ნაცვლად, ხოლო სახელები ჩასვით შესაბამის ბრუნვაში:

ნიმუში: კოტე, წელს შენ დაწერე სატენდერო განაცხადი (ლევანი) _____.
კოტე, წელს შენ დაწერე სატენდერო განაცხადი ლევანის მაგივრად.

- ავთო, ხვალ დილით ექიმთან ვარ ჩაწერილი და იქნებ შენ წახვიდე (ბულალტერი) _____ სავაჭრო ცენტრში?
- კარგი, არ არის პრობლემა, მაგრამ მაშინ შენ აღრიცხე (ნინიკო) _____ თითოეულ კაბინეტში რისი შეძენა არის საჭირო. სამ საათზე კი (ჩვენი მენეჯერი) _____ ჟურნალისტებს შეხვდი.
- (მენეჯერი) _____ ჟურნალისტებს კი შეხვდები, მაგრამ რა საკითხზე უნდა ვისაუბრო?
- სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაზე.
- გასაგებია. შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს.

3.6. ჩასვით შესაბამისი ფორმები:

მიუხედავად იმისა, რომ... რადგან მიხედვით გამო განმავლობაში

1. სამი დღის _____ მუშაობდა კომისია სატენდერო დოკუმენტაციაზე.
2. პროექტის მენეჯერის განცხადების _____, რემონტი მალე დასრულდება.
3. _____ წინამოსამზადებელი სამუშაო უკვე დასრულდა, აუცილებელია მონაცემების კიდევ ერთხელ შემოწმება.
4. _____ ტენდერი ჯერ არ დასრულებულა, შესაძლებელია დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა.
5. საგადასახადო დავალიანების _____ ტენდერში მონაწილეობა ვერ მივიღეთ.

3.7. მოცემული ინფორმაციის მიხედვით ისაუბრეთ სახელმწიფო ტენდერების

შესახებ და გამოიყენეთ ფრაზები:

... მაგივრად/ნაცვლად	პირველ რიგში
მიუხედავად იმისა, რომ...	გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ...
მთლიანად აკმაყოფილებს	აგანსად თანხის ჩარიცხვა
დეტალური ინფორმაციის მიღება	გამოცდილება
დიდი ხანია დარეგისტრებულია განმავლობაში	

3.8. შეაერთეთ წინადადებები კავშირებით (რომელიც, სადაც, რადგან, იმიტომ რომ, რათა) ნიმუშს მიხედვით და შექმენით რთული წინადადებები:

ნიმუში: სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა ეფექტურია.
 სახელმწიფომ უკვე დაზოგა 400 მილიონი ლარი.
 სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა ეფექტურია, **რადგან**
 სახელმწიფომ უკვე დაზოგა 400 მილიონი ლარი.

1. მუნიციპალიტეტმა ორი ტენდერი უნდა გამოაცხადოს. შესაკეთებელი ობიექტები ერთმანეთისგან ძალიან შორსაა.
2. ხვალ დილით შენ უნდა ჩაატარო ბაზრის კვლევა. ავად ვარ.
3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსდა სატენდერო განცხადება. მას მიენიჭა უნიკალური ნომერი.
4. სანდრო მეტრეველი ქუთაისში ჩავიდა. მისმა შპს „საქრემონტმა“ შემოვლითი გზა უნდა შეაკეთოს.
5. შესასყიდი ობიექტების ელექტრონულ კატალოგს შევქმენით. ასე საორიენტაციო ფასების დადგენა ადვილი იქნება.

3.9. განმარტეთ შემდეგი ფრაზების მნიშვნელობა:

- თანხა აგანსად ჩაურიცხეს;
- მთლიანად აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს;
- აუცილებელია კონტროლი ...
- ეს დაუშვებელია!
- უპირატესობა ენიჭება...
- გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ...
- ეჭვი არავის ეპარება ...

1. გამარტივებული შესყიდვები

1.1. წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა რამდენიმე წლის წინ შექმნეს. პროექტი წარმატებული რომ **აღმოჩნდა**, მსოფლიო ბანკისა და **გაეროს** კვლევებსაც **დაუდასტურებია**; საერთაშორისო **ექსპერტების** აზრით, ელექტრონულ სისტემას **კორუფცია** თითქმის **დაუმარცხებია**. სახელმწიფომ უკვე ასობით მილიონი ლარი დაზოგა. გარდა ამისა, **ელექტრონული სისტემით სარგებლობა კომფორტულია არა მარტო შემსყიდველების, არამედ მიმწოდებლებისთვის**.

დროთა განმავლობაში **კანონმდებლობამ** მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო შექმნა ბიზნესურთიერთობებისთვის: თუკი ორგანიზაციას სჭირდება ისეთი **ერთგვაროვანი** ობიექტების შესყიდვა, რომელთა ღირებულება არ არის 5000 ლარზე მეტი, ამის გაკეთება **გამარტივებული** წესით შეუძლია. ამისათვის, პირველ რიგში, ორგანიზაციამ უნდა **შეატყობინოს ელექტრონული სისტემის სპეციალური მოდულის დახმარებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ**; გარდა ამისა, დაასაბუთოს **გამარტივებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობა**.

სააგენტო ამოწმებს და აფასებს მიღებულ დოკუმენტაციას, შემდეგ კი სამი სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას **გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის** ან თანხმობაზე უარის თქმის შესახებ.

თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სააგენტოდან თანხმობას მიიღებს, მაშინ შესაბამის უწყებასთან ხელშეკრულებასაც **გააფორმებს**. სააგენტო მომხმარებელს თანხმობას ელექტრონულად ატყობინებს. ეს ურთიერთობა **ამარცხებს** კორუფციას.

ახალი სიტყვები:	
რა? გაერო კორუფცია სარგებლობა კანონმდებლობა აუცილებლობა თანხმობა გაცემა	როგორი? ერთგვაროვანი გამარტივებული ექსპლუზიური
ვინ? ექსპერტი	
ზმნები: ადასტურებს ამარცხებს ატყობინებს ასაბუთებს აფასებს აგვარებს	

ფრაგმენტი
პროექტი წარმატებული აღმოჩნდა
შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა
შესყიდვის განხორციელებაზე უარის თქმა
ნუ ღელავთ
ყველაფერი მოგვარდება
ამარცხებს კორუფციას
ხელსაყრელი გარემო
თანხმობის გაცემა



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დადასტურება	დაადასტურა	ადასტურებს	დაადასტურებს	დაუდასტურებია
დამარცხება	დაამარცხა	ამარცხებს	დაამარცხებს	დაუდამარცხებია
შეტყობინება	შეატყობინა	ატყობინებს	შეატყობინებს	შეუტყობინებია
დასაბუთება	დაასაბუთა	ასაბუთებს	დაასაბუთებს	დაუსაბუთებია
შეფასება	შეაფასა	აფასებს	შეაფასებს	შეუფასებია
მოგვარება	მოაგვარა	აგვარებს	მოაგვარებს	მოუგვარებია

არა მართო არამედ

ელექტრონული სისტემით **სარგებლობა** კომფორტულია **არა მართო**
შემსყიდველების, **არამედ** მიმწოდებლებისთვის.

1.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

- რა შედეგი გამოიწვია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შექმნამ?
- რატომ ფიქრობენ, რომ პროექტი წარმატებულია?
- რა შემთხვევაში შეიძლება შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელება?
- რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სააგენტოს შემსყიდველმა, თუ გამარტივებული წესით სურს შესყიდვის განხორციელება?
- რისთვის სჭირდება შემსყიდველ ორგანიზაციას სააგენტოს თანხმობა?

1.3. მოყვანილი წინადადებები დაალაგეთ ტექსტში მოცემული თანმიმდევრობით:

- შემსყიდველმა უნდა დაასაბუთოს გამარტივებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობა.
- ორგანიზაციამ თავისი სურვილის შესახებ უნდა შეატყობინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

- ელექტრონული სისტემით სარგებლობა კომფორტულია როგორც შემსყიდველების, ისე მიმწოდებლებისთვის.
- ორგანიზაციას შეუძლია ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა გამატივებული წესით.
- კანონმდებლობამ მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო შექმნა ბიზნესურთიერთობისთვის.
- თანხმობის მიღების შემთხვევაში ორგანიზაციას შეუძლია ხელშეკრულების გაფორმება.




1.4. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და წინადადებებში გახაზეთ სწორი ფორმები:

1. საჭირო/ზედმეტი პროდუქტების სია უკვე ჩამოწერეს?
2. ყველაფერი გაუთვალისწინებია და გონივრულად/გამარტივებულად შეუფასებია თავისი საქონელი.
3. მის სუპერმარკეტს წლიური ბრუნვა ყველაზე ძლიერი/მაღალი აქვს ჩვენს მუნიციპალიტეტში.
- 4, ერთი საკითხი არ დაგვისაბუთებია /დაგვიზუსტებია.
5. რადგან ექსკლუზიური/კონკრეტული მიმწოდებელი შევარჩიეთ, მაშინ ხელშეკრულებაც გავაფორმოთ.

1.5. წრეებში ჩასვით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისათვის აუცილებელი ნაბიჯები:



1.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი ფორმები:

ექსპერტების აზრით	არა მართო... , არამედ
პირველ რიგში	ხელსაყრელი
ექსკლუზიური უფლება	

1. საახალწლო საჩუქრებისთვის თანხა _____ წლიურ გეგმაში უნდა გაითვალისწინონ.

2. ზოგიერთ ორგანიზაციას პროდუქტის მიწოდებაზე _____ აქვს მიღებული.
3. სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს _____ საქონლის მიწოდების დრო, _____ ანგარიშსწორების ვადებიც.
4. _____ გადასახადების რეგულარულად გადახდა აუცილებელია ბიზნესურთიერთობისთვის.
5. ამ ტენდერში გამარჯვება _____ შპს „ქართუსთვის“, რადგან ძვირადღირებულ შეკვეთას მიიღებს.

1.7. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: შესასყიდი ობიექტების სია **შეადგინეს;**
 შესასყიდი ობიექტების სია **ჯერ არ შეუდგენიათ.**

1. შემსყიდველმა დაასაბუთა გამარტივებული შესყიდვის აუცილებლობა.
2. ორგანიზაციამ შესყიდვების სააგენტოს შეატყობინა თავისი გადაწყვეტილების შესახებ.
3. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ბაზრის კვლევა.
4. კონკრეტული მიმწოდებელი შეარჩიეს და ხელშეკრულება გააფორმეს.
5. პროექტის წარმატება გაეროს კვლევებმა დაადასტურა.

1.8. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: ელექტრონული ტენდერი

დაგეგმილი	პროექტი
ელექტრონული	მოთხოვნა
ერთგვაროვანი	დარეგისტრირება
წარმატებული	ტენდერი
შეუსრულებელი	შესყიდვები
განაცხადის	ობიექტი

1. გამარტივებული შესყიდვის ერთ-ერთი ფორმა **ელექტრონული ტენდერია.**
2. თუ ორგანიზაციას სჭირდება _____ შესყიდვა და მათი ღირებულება 5000 ლარზე მეტი არ არის, შეუძლია ისარგებლოს გამარტივებული წესით.
3. საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მიხედვით, ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა _____.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მაგრამ _____
გამო, ორგანიზაციამ დიდი ჯარიმა გადაიხადა.
5. სატენდერო _____ დროულადაა საჭირო.
6. მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურს _____
განხორციელებისთვის ცოტა დრო აქვს.

1.9. ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ სახელმწიფო ტენდერების შესახებ და გამოიყენეთ ახალი სიტყვები და ფრაზები:

გამარტივებული შესყიდვები	კორუფცია	ხელშეკრულება
ღირებულება	შესყიდვების სააგენტო	ბიზნესურთიერთობა
ერთგვაროვანი	თანხმობის გაცემა	

2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

ცხოველთა თავშესაფარი ქუთაისში საშინელ მდგომარეობაშია - დანგრეულია ადმინისტრაციული შენობა, დაზიანებულია **ვოლიერები**, არასტანდარტულია **ვეტერინარული** ბლოკი, ერთადაა განთავსებული ათეულობით ძაღლი. აი, ამიტომაც **მოუთხოვიათ** მოქალაქეებს თავშესაფრის კეთილმოწყობა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დავალებით საკითხი **შეუსწავლია** სპეციალურ კომისიას, რომლის შემადგენლობაში კვალიფიციურ სპეციალისტებს **უმეშავიათ**. სწორედ ამ კომისიის კომპეტენციაა ობიექტის მდგომარეობის შეფასება და მისი რეაბილიტაციისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

კომისიამ მართლაც უმოკლეს ვადაში მოამზადა ცხოველთა თავშესაფრის რეაბილიტაციის პროექტის **ხარჯთაღრიცხვის** დოკუმენტაცია. რაკი თანხა 200 ათასზე მეტი არ იყო, ქუთაისის მერიამ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. გაიმარჯვა შპს „ქვეტირმა“. სატენდერო პირობების მიხედვით, თანამედროვე სტანდარტების მიხედვით უნდა მოეწყოს ვოლიერები. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო ცხოველთა **ვაქცინაცია**, არამედ მკურნალობაც.

მერიას მომსახურების საფასური - 89 990 ლარი - მთლიანად **გადაუხდია**, მაგრამ შედეგით კმაყოფილი არ **დარჩენილა**, რადგან შპს „ქვეტირმა“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები **სრულფასოვნად** არ შეასრულა: თავშესაფარში არ იყო **დაცული** ცხოველთა მოვლისა და კვების პირობები, ვოლიერები არ იყო **უზრუნველყოფილი** წყლითა და ელექტროენერგიით, ათეულობით ძაღლი ერთ პატარა ვოლიერში ერთად იყო განთავსებული. ამასთან, შპს-ს მფლობელს ავადმყოფი ცხოველები ქუჩაში **გაუშვია**.

ამ ფაქტის გამო შპს „ქვეტირმა“ სერიოზული **სანქციები** დააკისრეს; ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ კი მომსახურების შესყიდვის მიზნით ახალი ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მეტი ყურადღება უნდა **მიაქციონ** მომსახურების შესყიდვისა და მონიტორინგის საკითხს. **სხვაგვარად შეძენილი პროდუქტი ან მომსახურება არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც უნდა იყოს.**

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და შეურჩიეთ შესაბამისი სათაური:

- მოქალაქეების მოთხოვნა;
- თავშესაფრის რეაბილიტაცია;
- რატომ არის საჭირო მონიტორინგი?
- შპს „ქეტირი“ და ცხოველთა თავშესაფარი.

2.2. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. რატომ მოითხოვეს მოქალაქეებმა თავშესაფრის რეაბილიტაცია?
2. რატომ გამოაცხადა ქუთაისის მერიამ გამართივებული ელექტრონული ტენდერი?
3. რა ვალდებულება არ შეასრულა სრულფასოვნად შპს „ქეტირი“-მ?
4. რა არის საჭირო ტენდერის წარმატებით განხორციელებისთვის?

ახალი სიტყვები:		
რა? ცხოველი თავშესაფარი ვოლიერი ხარჯთაღრიცხვა ვაშცინაცია სტანდარტი დაცვა სანქცია მიღება-ჩაბარების აქტი	როგორი? ვეტერინარული უზრუნველყოფილი	როგორ? სრულფასოვნად ობიექტურად
გმნები: ითხოვს უშვებს იხდის ქმნის		

ფრაზები
კომისიამ უმოკლეს ვადაში მოამზადა
პროექტის ხარჯთაღრიცხვა
ნაკისრი ვალდებულება სრულფასოვნად არ შეასრულა
არ იყო დაცული ... (პირობები, მოთხოვნები და ა. შ.)
მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ
ობიექტურად შეაფასონ
ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია



დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოთხოვნა	მოითხოვდა	ითხოვს	მოითხოვს	მოუთხოვია
გაშვება	გაუშვა	უშვებს	გაუშვებს	გაუშვია
მიქცევა	მიაქცია	აქცევს	მიაქცევს	მიუქცევია
ქმნა	შექმნა	ქმნის	შექმნის	შეუქმნია

სხვაგვარად შეძენილი პროდუქტი ან მომსახურება არასოდეს იქნება
ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

ისეთი , როგორიც



2.3. მოისმინეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- სოფელ დიხაშხოდან მოსახლეობის _____ მივიღეთ.
- რა პრობლემა აქვთ?
- გზის _____ ითხოვენ.
- გასაგებია. ანუ _____ უნდა შევქმნათ.
- _____, კვალიფიციური სპეციალისტები შეარჩიეთ. დაე, _____ შეაფასონ შექმნილი მდგომარეობა.
- ყველაფერს _____ გააკეთებენ, _____ საჭიროა.
- გაითვალისწინეთ, დრო ძალიან _____.
- _____ ვადაში იქნება მზად დოკუმენტაცია.


ბ)

- ბატონო გივი, დაასრულა კომისიამ მუშაობა.
- ძალიან კარგი. საპროექტო და _____ მზადაა?
- დიახ. _____ 125 ათასი ლარი იქნება საჭირო.
- 125 ათასი? მაშინ _____ გამოვაცხადოთ?
- ასე აჯობებს. თანაც შეიძლება _____ ფასად შევისყიდოთ მომსახურება.
- მთავარია, _____ შეასრულონ სამუშაო.
- რა თქმა უნდა. საინტერესოა, რომელი კომპანია იქნება გამარჯვებული.
- მოდი, შედეგებს _____.
- დაველოდოთ.

გ)

- ხომ არ იცი, _____ მიიღო მონაწილეობა ტენდერში?
- მგონი, სამმა.
- _____ მომსახურებისთვის რამდენი მოითხოვა?
- 125 ათასის _____ 118 ათასი ლარი.
- _____ სამუშაოა. მაშინ სამ თვეში _____.
- როგორ არა, დაამთავრეს. _____ ზუსტად 80 დღეში გააფორმეს.

2.4. წრეებში ჩასვით გამართივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარებისთვის აუცილებელი ნაბიჯები:



2.5. დაუკავშირეთ ერთმანეთს სინონიმები:

ნიმუში: სწრაფად – უმოკლეს ვადაში

სწრაფად	ძალიან კარგად
ერთგვაროვანი	სშირი
სრულფასოვნად	უმოკლეს ვადაში
რეგულარული	მნიშვნელოვანი
აქტუალური	ერთი ტიპის
ექსკლუზიური	განსაკუთრებული

2.6.

ა) წიკითხეთ მიღება-ჩაბარების აქტის ტექსტი:

მიღება—ჩაბარების

აქტი

_____. 201____, ქ. თბილისი

მომსახურების გამწევი

მომსახურების მიმღები

შპს/სს „_____“

შპს/სს „_____“

საფუძველი: _____. 201____. მომსახურების
ხელშეკრულება N_____

წინამდებარე მიღება—ჩაბარების აქტით ხელისმომწერნი (მომსახურების გამწევი და მომსახურების მიმღები) ვადასტურებთ, რომ მომსახურების გამწევა ჩააბარა, ხოლო მომსახურების მიმღებმა ჩაიბარა _____. 201____. მომსახურების N_____ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება /მომსახურების ნაწილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში შეთანხმებული ხარისხით და მოცულობით და მხარეებს ერთმანეთის მიმართ შესრულებული სამუშაოს კუთხით არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ:

გაწეული მომსახურების სახე	მოცულობა	მომსახურების ფასი დღგ— გარეშე	მომსახურებაზე გადასახდელი დღგ	სულ მომსახურების ღირებულება

_____/დირექტორი/
შპს „_____“ (ს/ნ _____)
(მომსახურების გამწევი)

_____/დირექტორი/
შპს „_____“ (ს/ნ _____)
(მომსახურების მიმღები)

ბ) ტექსტის მიხედვით უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი ინფორმაცია:

ვითარების აღწერა	ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი
მიზეზი	
მიზანი	

გ) ტექსტის მიხედვით უჯრებში ჩაწერეთ ინფორმაციის შესაბამისი ენობრივი ფორმები:

ვითარების აღწერა	წინამდებარე მიღება—ჩაბარების აქტით ...
მიზეზი	
მიზანი	

2.7. აარჩიეთ საჭირო სიტყვები და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

სანქციები	ხარისხიანი	ობიექტური
მგონი	მოუთხოვია	არა მართო არამედ

1. კარგა ნაკლები ფასის შეთავაზება, მაგრამ მთავარია, სამუშაო _____ შესრულდეს.
2. სპეციალურ კომისიას _____ შეფასების ხელშეკრულების პირობით გათვალისწინებული მოთხოვნები.
3. _____ საპროექტო, _____ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციაც მზადაა.
4. _____, ამ ტენდერის გამარჯვებული შპს „ჯეობესთია“.
5. ექსპერტს დოკუმენტაციის შესწავლა _____.
6. კომპანიას სერიოზული _____ დააკისრეს.

2.8. შეუცვალეთ გმნას ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია დღეს იწყება.
ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია დღეს დაწყებულია.

1. შპს „ქეტირის“ დირექტორი ავადმყოფ ცხოველებს დიდ ყურადღებას აქცევს.
2. ქალაქის მერი თანამშრომლებს ვითარების შესასწავლად ობიექტზე უშვებს.
3. მოქალაქეთა განცხადებების შესწავლისთვის მერია სპეციალურ კომისიას ქმნის.
4. შესყიდვების სამსახური შესაძენი ობიექტების მონაცემებს ითხოვს.
5. მერია ჯერ არ ადასტურებს ხელშეკრულების შეუსრულებელ მოთხოვნებს.

2.9. დააკვირდით სურათებს და შეადარეთ ისინი. იმჯელეთ, რა შეიცვალა, რა ნაბიჯები გადაიდგა ვითარების გასაუმჯობესებლად. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ:



3. ელექტრონული ტენდერი

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ გამოყოფილ სიტყვებს:

წელს ხულოს მუნიციპალიტეტში **კურორტ** ბეშუმის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია **იგეგმება**. რაკი ამისთვის 920 ათასი ლარია გათვალისწინებული, ამიტომ ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

ტენდერით შპს „ჯეობესთიც“ **დაინტერესდა**. ინჟინრებს **დაევალა**თ და მათაც დეტალურად შეისწავლეს სატენდერო დოკუმენტაცია. მათი კომპეტენციაა იმ მინიმალური ფასის დადგენა, რომლის შეთავაზებაც შეიძლება შემსყიდველისთვის. სატენდერო დოკუმენტაციის პირობების **თანახმად**,

- ელექტრონულ ტენდერში მონაწილე კომპანიას ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს **შესრულებული ანალოგიური** ტიპის სამუშაოები (საერთო ღირებულება **არანაკლებ 1 000 000** ლარისა);
- სამუშაო უნდა დასრულდეს დაწყებიდან 180 **კალენდარულ** დღეში;
- საგარანტიო პერიოდი სამუშაოს დასრულებიდან 3 წელი **გაგრძელდება**;
- კომპანია ვალდებულია, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ექსპლუატაციის პროცესში **გამოვლენილი ხარვეზები**.

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

ეს მოთხოვნები მისაღები იყო შპს „ჯეობესთისთვის“. კომპანიის დირექტორმა გადაწყვიტა, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაო 890 000 ლარად შეასრულოს და შესაბამისი წინადადება დროულად შეიტანოს.

ტენდერის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობას კიდევ სამი ორგანიზაცია იღებდა. ტენდერში გაიმარჯვა შპს „გიო 96-მა“, რომელმაც შემსყიდველს ყველა კონკურენტზე ნაკლებ ფასად შესთავაზა სამუშაოების შესრულება. აქედან გამომდინარე, შპს „ჯეობესთმა“ აღნიშნულ ტენდერში გამარჯვება ვერ მოიპოვა.



ახალი სიტყვები:		
რა? კურორტი ხარვეზი დასრულება სარგებლობა	ვინ? კონკურენტი	როგორი? ძირითადი არანაკლები გამოვლენილი ანალოგიური კალენდარული შესრულებული
ზმნები: გრძელდება იგეგმება ევალება ირკვევა		

ფრაზები
რეაბილიტაცია იგეგმება
დაევალებათ, რომ დეტალურად შეესწავლათ
მინიმალური ფასის დადგენა
ანალოგიური ტიპის სამუშაოები
საგარანტიო პერიოდი უნდა გაგრძელდეს
გამოასწოროს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ხარვეზები
ტენდერის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ გაირკვა
სატენდერო დოკუმენტაციის პირობების თანახმად
ნაკლებ ფასად შესთავაზა
აქედან გამომდინარე
აღნიშნულ ტენდერში



დაიმახსოვრეთ!

პასიური ზმნები

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
გაგრძელება	გაგრძელდა	გრძელდება	გაგრძელდება	გაგრძელდება
დაგეგმვა	დაიგეგმა	იგეგმება	დაიგეგმება	დაგეგმილა
დავალება	დაევალა	ევალება	დაევალება	დავალებია
გარკვევა	გაირკვა	ირკვევა	გაირკვევა	გარკვეულა

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
აგრძელებს	გაგრძელება	გრძელდება
გეგმავს	დაგეგმვა	იგეგმება
ავალებს	დავალება	ევალება
არკვევს	გარკვევა	ირკვევა

იქნაბ + II პავშირებითი
იქნაბ გავაკეთოთ, იქნაბ მივიღოთ ...
იქნაბ ამ ტენდერში ჩვენს მივიღოთ მონაწილეობა...

ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

ინფორმაცია	სწორია	არასწორია	არ არის მოცემული ტექსტში
შპს „ჯეობესთის“ დირექტორი ყოველთვის ბეშუმში ისვენებს			
კომპანია არ არის ვალდებული, საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები			
სატენდერო დოკუმენტაციის პირობების თანახმად, სამუშაო უნდა დასრულდეს დაწყებიდან 180 კალენდარულ დღეში			
შპს „გიო 96“-ს შემსყიდველისთვის მომსახურება 850 00 ლარად შეუთავაზებია			
კურორტ ბეშუმის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის 920 ათასი ლარია გათვალისწინებული			
კურორტი ბეშუმში ახალციხის მუნიციპალიტეტშია			

3.2. დააკავშირეთ ანტონიმური წყვილები:

ნიმუში: დასრულებული – დაუმთავრებელი

ანალოგიური	აუცილებელი
საორიენტაციო	ზერელე
დაწვრილებით	დაუმთავრებელი
დასრულებული	განსხვავებული
დეტალური	ზუსტი
ზედმეტი	მოკლედ

3.3. შევცვალოთ ზმნები. გამოიყენეთ კონსტრუქცია „იქნებ + II კავშირებითი“:

ნიმუში: საგარანტიო პერიოდი მხოლოდ 1 წელი გრძელდება.
იქნებ საგარანტიო პერიოდი მხოლოდ 1 წელი **გაგრძელდეს**.

1. სატენდერო დოკუმენტაციაზე მუშაობა დღეს დავასრულეთ.
2. სამსახურში ყველამ ერთად განვიხილეთ ახალი შეთავაზება.
3. კანონმდებლობამ მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო შექმნა ბიზნესურთიერთობისთვის.
4. სააგენტომ სამი სამუშაო დღის ვადაში მიიღო გადაწყვეტილება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე.
5. ეს მოთხოვნები შეასრულა შპს „ჯეობესტის“ დირექტორმა.



3.4. ა) მოისმინეთ სარეკლამო განცხადება:

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ სარეკლამო განცხადება და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

კურორტი ბეშუმი ულამაზესია. ვერსად ნახავთ _____ ჯანსაღ გარემოს, _____
აქაა. ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დასაწყისამდე ბეშუმი უამრავ _____
_____. ათასობით _____ ჩამოდის _____ აჭარიდან,
_____ საქართველოს სხვა კუთხეებიდან.
აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას ბეშუმში _____
„შუამთობა“ იმართება. ამ დღეს კურორტზე _____ სტუმარია. _____

ცერემონიალის შემდეგ ეწეობა _____ გამოფენა-გაყიდვა;
იმართება _____ შეჯიბრებები.

თუ თქვენ _____ ადამიანი ბრძანდებით და _____ გაქვთ, იქნებ
_____ ჩვენი მომსახურებით; ყველაფერს უმოკლეს ხანში _____. გპირდებით,
ბეშუმში _____ გაატარებთ!

შპს „ბეშუმთრეველი“
საკონტაქტო პირი: გორა ხაბაში
ტელ.: 955 12 34 56

3.5. დააკვირდით სურათებს. იმსჯელეთ თემაზე: „ბეშუმი გუშინ, დღეს, ხვალ ...“. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები:



ულამაგასი, რააბილითაცია,
ინფრასტრუქტურა, ტანდარი,
მომსახურების შესყიდვა,
ლონისძიება, ხალხური რწვის
ნიმუშები, სკორტული შეჯიბრება,
მომსახურება, „შუამთობა“,
ჯანსაღი გარემო, ბევრი ტურისტი.

3.6. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ფორმით:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის ატვირთვის დრო აღარ _____ (გაგრძელება).
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კრება შემდეგი კვირისთვის _____ (დაგეგმვა).
3. ტენდერის პირობებით უკვე რამდენიმე შპს _____ (დაინტერესება).
4. შემსყიდველს მიმწოდებლისთვის გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება _____ (დავალება).
5. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ _____ (გარკვევა), ვინ არის ტენდერში გამარჯვებული.

3.7. ჩასვით საჭირო სიტყვები გამოთვებულ ადგილას შესაბამისი ფორმით:

ნაკისრი	კვალიფიციური	ხელსაყრელი
ვალდებულება	ძვირადღირებული	ობიექტური

1. ახალ სავაჭრო ცენტრში ხარისხიანი, მაგრამ _____ საქონელი აქვთ.
2. _____ ყოველთვის ზუსტად უნდა შესრულდეს, თორემ უამრავი ადამიანი დაზარალდება.
3. თუ ორგანიზაციას _____ ინჟინრები არ ჰყავს, მომსახურების მინიმალურ ღირებულებას ვერ დაადგენს.
4. კომპანიამ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო _____ შეაფასა.
5. შპს „ბეშუმთრეველის“ შემოთავაზება გამოირჩევა _____ ფასით და მაღალი ხარისხით..

3.8. ა) წაიკითხეთ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ანგარიში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ:

ანგარიში

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს დასრულდა კურორტ „ბეშუმის“ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ჩვენი კომპანიის მიერ ჩატარებულია შემდეგი ტიპის სამუშაოები:

1. შეკეთებულია არა მარტო ცენტრალური, არამედ შემოვლითი გზები;
2. შეკეთებული და შეღებილია დაზიანებული შენობები;
3. აღდგენილია აგარაკების ინტერიერი;
4. აშენებულია ახალი სავაჭრო ცენტრი.

ბ) შექმენით ანგარიში თქვენს ქალაქში/სოფელში ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ. გამოიყენეთ ზემოთ მოყვანილი ფორმები.

3.9. ნასწავლი ტექსტების მიხედვით ისაუბრეთ შესყიდვების ფორმების შესახებ. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები და გამოთქმები:

მათი კომპეტენციაა	მიმწოდებელი
გამარტივებული შესყიდვა	გამარტივებული ელექტრონული
წარმატებული პროექტი	ტენდერი
ელექტრონული ტენდერი	დეტალურად უნდა შეისწავლონ
შემსყიდველი	ხარისხიანი
მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ	მოთხოვნები
საგარანტიო პერიოდი	

შემაჯამებელი ტაპი II

1. წაიკითხეთ ტექსტი:

(1) კერძო კომპანიებს ხშირად აღუნიშნავთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ბევრი ხარვეზია. სწორედ ამიტომ საქართველოს პარლამენტში ელექტრონულ ტენდერებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უმსჯელიათ. დაიგეგმა საკანონმდებლო სიახლე. იგი არა მარტო უფრო კომფორტულ გარემოს შექმნის ბიზნესურთიერთობისთვის, არამედ უფრო ეფექტურად დაამარცხებს კორუფციას.

(2) კანონპროექტის მიხედვით, აღარ იარსებებს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და დარჩება მხოლოდ ელექტრონული ტენდერი. მისი გამოცხადების ვადები დამოკიდებული იქნება შესყიდვის ღირებულებაზე.

(3) როდესაც შემსყიდველი აცხადებს ტენდერს, მას მიმწოდებლის მიმართ აქვს კონკრეტული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების შეცვლის უფლება შემსყიდველს ყოველთვის აქვს. შეიძლება ვინმემ ეს მიზნობრივადაც გააკეთოს: რომელიმე კომპანიას მოელაპარაკოს და ბოლო დღეს შეცვალოს მოთხოვნები. რადგან სხვა კონკურენტები სწრაფად ვერ შეცვლიან დოკუმენტაციას, ამიტომ დარჩება მხოლოდ ერთი შემსყიდველი. რა თქმა უნდა, ტენდერში გამარჯვებული სწორედ ის იქნება.

(4) „ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში სატენდერო მოთხოვნების შეცვლის შემთხვევაში იცვლება ტენდერის ვადაც. მალე ჩვენს ქვეყანაშიც ისეთი წესი იქნება, როგორიც „ევროკავშირშია“. ვადა იმდენი დღით გაგრძელდება, რამდენიც იქნება გასული ტენდერის გამოცხადებიდან ცვლილების შეტანამდე.

(5) ზოგჯერ არ არის სრულფასოვნად დაცული მიმწოდებლის უფლებები. ახალი კანონის მიხედვით, მონაწილეს შეეძლება შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ასეთი საკითხის განხილვის საფასური იქნება არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებული კანონპროექტი პარლამენტის ბიუროს 16 იანვარს დაურეგისტრირებია.

2.1. შეარჩიეთ სწორი სათაური:

1. დავიცვათ მიმწოდებლის უფლებები;
2. ტენდერები;
3. საკანონმდებლო სიახლეები;
4. სახელმწიფო და კორუფციული გარიგებები.

2.2. მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორია, არ არის სწორი თუ არ არის მოცემული ტექსტში?

	სწორია	არ არის სწორი	არ არის მოცემული ტექსტში
კანონპროექტის მიხედვით, აღარ იარსებებს ელექტრონული ტენდერები			
კომპანიამ უნდა დაასაბუთოს გამარტივებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობა			
შემსყიდველს მომწოდებლის მიმართ ყოველთვის აქვს კონკრეტული მოთხოვნები			
„ევროკავშირის“ წევრ ქვეყნებში სატენდერო მოთხოვნების შეცვლის შემთხვევაში იცვლება ტენდერის ვადაც			
საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად განკარგვას კონტროლი სჭირდება			
ახალი კანონის მიხედვით, მონაწილეს შეეძლება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება			
სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება უფასო იქნება			

2.3. შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

(1)

1. სატენდერო ხელშეკრულების გაფორმების წესი
2. ბრძოლა კორუფციასთან
3. ელექტრონულ ტენდერებთან დაკავშირებული სიახლე

(2)

1. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის დადებითი მხარეები
2. ელექტრონული ტენდერის გამოცხადების ვადა
3. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ხარვეზები

(3)

1. შემსყიდველის უფლებები
2. შემსყიდველის პრობლემები
3. შემსყიდველის შეცდომები

(4)

1. ტენდერის ვადების რეგულირების წესი „ევროკავშირში“
2. ტენდერის ვადების რეგულირების წესი საქართველოში
3. სიახლე ტენდერის ვადების რეგულირებასთან დაკავშირებით


(5)

1. მიმწოდებლის უფლებების დაცვა
2. მიმწოდებლის პრობლემები
3. მიმწოდებლის შეცდომები

3. წაიკითხეთ დიალოგი და დაალაგეთ თანმიმდევრობით:

რისი გაკეთება იგეგმება ბეთლემის ქუჩაზე?

- არა, რადგან არსებობს შემოვლითი გზა, რომლის კეთილმოწყობას 10 დღეში დაასრულებს კონტრაქტორი კომპანია „GBC“.
- მობრძანდით. გისმენთ.
- ვერ გეტყვით. მონაწილეთა რაოდენობა მხოლოდ ტენდერის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.
- არაუმეტეს 3 თვისა სამუშაოს დაწყებიდან.
- როდის არის დაგეგმილი სამუშაოს დაწყება? პროექტი უკვე გაკეთებულია?
- მუშაობას ჯერ ვერ დაიწყებენ, რადგან ტენდერი არ დასრულებულა. უნდა დაველოდოთ, რომ გაიმარჯვოს რომელიმე კომპანიამ.
- ნახვამდის.
- რამდენი კომპანია იღებს მონაწილეობას ტენდერში?
- ბეთლემის ქუჩაზე გზა დაზიანდა. რამდენი დრო დასჭირდება მის რეაბილიტაციას?
- გამარჯობა, მე გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვარ. რამდენიმე კითხვა მაქვს თქვენთან.
- ამ ხნის განმავლობაში ადამიანებს გადაადგილების პრობლემა არ ექნებათ?
- დიდი მადლობა ინფორმაციისათვის.





4. მოისმინეთ დიალოგები და გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

სიახლე, გამარტივებული, ანალოგიური განაცხადი, ორეტაპიანი, მოთხოვნა, დაბალი ფასი, ცხადდება, კონკურენტი, აღარ ჩატარდება, ხარისხი, მხოლოდ, უკეთესი მომსახურება, გავაგრძელოთ.

1)

- მოდი, _____ ელექტრონულ ტენდერში მივიღოთ მონაწილეობა. შემსყიდველის ყველა _____ ვაკმაყოფილებთ.
- კიდევ _____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერები?
- ჯერჯერობით, კი.
- ბატონმა ოთარმა თქვა, რომ მალე _____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერები.
- საერთოდ აღარ ჩატარდება ელექტრონული ტენდერები?
- _____ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აღარ ჩატარდება.
- გასაგებია.

2)

- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ბევრ _____ გეგმავენ.
- მართლა? კონკრეტულად რა სიახლეებზეა საუბარი?
- თურმე, ელექტრონული ტენდერი _____ გახდება.
- ეს რას ნიშნავს?
- იმას, რომ უპირატესობა _____ გარდა, მაღალ ხარისხსაც მიენიჭება.
- _____ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ ტენდერში გამარჯვება ადვილი არ იქნება.
- მართალია. ადვილი არ იქნება და შემსყიდველი ბევრად _____ მიიღებს.

3)

- ავთო, მგონი, ჩვენს _____ მომსახურების მიწოდების ვადა ძალიან მცირეა.
- „დრო ფულია“!
- მართალია, მაგრამ თუ ვადას გავაგრძელებთ, უფრო მეტი _____ მიიღებს ტენდერში მონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ _____ მომსახურებას ბევრად ნაკლებ ფასად შევისყიდით.
- ეს ერთი და იგივეა. მოკლე დროში მეტი თანხა და მეტ დროში ნაკლები ფული.
- ხარისხი? მოკლე დროში მაღალი ხარისხით სამუშაო იშვიათად სრულდება.
- აი, ამაში კი ნამდვილად მართალი ხარ! _____ მომსახურების მიწოდების ვადა.



5. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

1)

- გიორგი, ცოტა დრო გაქვს? _____.
- რა გაინტერესებს?
- რას ნიშნავს „სატენდერო პირამიდა“?
- კომპანია „ცარიელი“ ხელებით მონაწილეობს ტენდერში და ყველაზე _____.
- მერე სამუშაოს როგორ შეასრულებს?
- მოიცა, აგისსნი. წინასწარ _____ და ამ ფულით მეორე ტენდერში მიიღებს მონაწილეობას. თუ გაიმარჯვებს, აქაც აიღებს თანხას და კიდევ ტენდერში _____.
- მერე სამუშაო?
- მიღებული თანხებით ცოტ-ცოტა საქმეს ყველგან აკეთებს, თუმცა არა _____.
- ასე როდემდე გაგრძელდება?
- სანამ არ „გაიჭედება“!

2)

- პარლამენტში ორრაუნდიან _____ უსაუბრიათ.
- კი, მეც გავიგე.
- ეს რას ნიშნავს?
- _____ ცალკე განიხილება, _____ ცალკე. შეფასების ეს სისტემა განსაკუთრებით _____ სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებშია.
- ჰო. იმიტომაც, რომ ტენდერი ყოველ 2-3 წელიწადში ცხადდება. _____ დაბალია და შესრულებული _____.

6. დაალაგეთ წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობით:

- ხელშეკრულების დადების შემდეგ კი ყველა მონაცემი საჯარო ხდება.
- სისტემა ისეა აწყობილი, რომ შემსყიდველი მხოლოდ ყველაზე დაბალფასიან შეთავაზებას ხედავს.
- მან „დახურული მონაცემებით“ ტენდერების ჩატარება დადებითად შეაფასა.
- თუ ეს ფასი ხელსაყრელი არაა, მაშინ სისტემა ავტომატურად გახსნის მეორე, ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადებას და ა.შ.
- მისი თქმით, კორუფციული რისკები შემცირდება, რადგან დაფარული იქნება გარკვეული ინფორმაცია.

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

- „ნეტგაზეთის“ კორესპონდენტი ესაუბრა შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს, ბატონ კოტე ინწკირველს.
- კოტე ინწკირველი თვლის, რომ ეს ცვლილება ამცირებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უკანონო გარიგების დადების შანსს.
- მაგალითად, სანამ ვაჭრობის პროცესი გაგრძელდება, არავის ეცოდინება შემსყიდველისა და პოტენციური მიმწოდებლების ვინაობა.

№6;№3;№5;№8;№2;№4;№1;№7.

7. წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; ისაუბრეთ სიტუაციებზე, გაააქტიურეთ თითოეული სიტყვა; შექმენით ტექსტი და დაარქვით სათაური:

1. _____ წარმატებული პროექტი, სახელმწიფო შესყიდვა, ელექტრონული სისტემა, შემსყიდველი, მიმწოდებელი, სარგებლობა, ბიზნესსურთიერთობა, თანხმობის გაცემა, თანხმობაზე უარის თქმა, შესყიდვების სააგენტო, ადასტურებს, ატყობინებს.	2. _____ გამართივებული ელექტრონული ტენდერი, ხარჯთაღრიცხვა, სტანდარტი, მიღება-ჩაბარების აქტი, სრულფასოვანი, ნაკისრი ვალდებულება, შესრულება, შეაფასონ, არანაკლებ, გრძელდება, დაიგეგმა, ნაკლებ ფასად შესთავაზა.
3. _____ სატენდერო დოკუმენტაცია, მოხოვნები, ავანსად თანხის ჩარიცხვა, მსგავსი საქონლის მიწოდება, წლიური ბრუნვა, ყადაღის არარსებობა, არეგულირებს, ხელშეკრულება, მრავალფეროვანი ასორტიმენტი, გავავრცოთ.	4. _____ მთლიანად აკმაყოფილებს, უპირატესობა მიანიჭონ, შეთავაზება, „იაფი, ხარისხიანი და სწრაფი მომსახურება“, ბევრი დრო, ხელსაყრელი, კონტროლი, ძვირადღირებული, პროცესი კანონით რეგულირდება, გამარჯვებული, ზოგავს, აქტუალური, მხარდაჭერა.

8. მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები; ან ახსენით სიტყვის მნიშვნელობა:

ნიმუში: უხარისხო = ცუდი $\neq$ ხარისხიანი

სინონიმი =	სიტყვა	ანტონიმი $\neq$
	დამოუკიდებელი	
	სტაბილური	
	აქტუალური	
	უხარისხო	
	საჯარო	
	რჩეული	
	შესასყიდი	
	ანალოგიური	
	ექსკლუზიური	
	ობიექტური	

9. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: 5 – ა

1. დეტალური	ა. შეთავაზება
2. პოტენციური	ბ. გარიგება
3. საგარანტიო	გ. გააქტიურება
4. საკონტაქტო	დ. ვალდებულება
5. საუკეთესო	ე. აღდგენა
6. ნაკისრი	ვ. პერიოდი
7. ტენდერის	ზ. პირი
8. სტაბილური	თ. მიმწოდებელი
9. წინამოსამზადებელი	ი. გეგმა
10. კორუფციული	კ. გამოცხადება
11. პაროლი	ლ. შემოსავალი
12. სტატუსი	მ. თანხა

1. ტენდერში შპს „რიონმა“ გაიმარჯვა, რადგან მას საუკეთესო შეთავაზება ჰქონდა.
2. მენეჯერმა შესასრულებელი სამუშაოების _____ წარმოადგინა.
3. წლიურ გეგმაში შესყიდვების სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრისთვის _____ სწორად უნდა ჩატარდეს.

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

4. პროექტის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება მხოლოდ ოფიციალურ _____ შეუძლია.
5. დახურულ ტენდერში დაფარულია არა მარტო შემსყიდველის, არამედ _____ ვინაობაც.
6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით სარგებლობისას მიმწოდებელი იხდის _____.
7. რეგისტრაციის განაცხადის შევსების შემდეგ საჭიროა მიმწოდებლის _____ და პროფილის ინფორმაციის განახლება.
8. თუ ორგანიზაცია სრულფასოვნად არ შეასრულებს _____ მას პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრება.
9. შემსყიდველს _____ დროს ყოველთვის აქვს მიმწოდებლის მიმართ კონკრეტული მოთხოვნები.
10. ბევრი კერძო ორგანიზაცია იღებს _____ სახელმწიფო შესყიდვების დახმარებით.
11. ფინანსთა სამინისტროში ფიქრობენ, რომ საკანონმდებლო სიახლე _____ დაამარცხებს.
12. ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესასვლელად საჭიროა ძველი _____ ან შეცვლა.

10. ჩასვით ჩარჩოში მოცემული სიტყვები შესაბამისი ფორმით საჭირო ადგილას:

ინფორმაცია	საგარანტიო
შექმნილი	ობიექტები
წინამოსამზადებელი	ბაზრის კვლევა

eMarket-ი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შესყიდვის _____ და მიმწოდებლების შესახებ _____ ელექტრონული კატალოგია. მისი მიზანია დაეხმაროს შემსყიდველ ორგანიზაციებს შესყიდვის _____ სამუშაოების ჩატარებისა და _____ პროცესში. კატალოგში არის _____ მიმწოდებლების, CPV კოდების, ფასების, _____ ვადისა და მიწოდების ადგილის შესახებ. eMarket-ის მონაცემების შევსება ხდება 3 თვეში ერთხელ.

ტესტი II

შუალედური ტესტი B1+ (შესყიდვები)

სახელი, გვარი _____

თარიღი _____

1. მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება:

(10 ქულა)

ა) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	სწორია	არასწორია
ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა უკვე იყიდა რამდენიმე ელექტრომობილი		
ანგარიშსწორებისთვის საჭირო თანხას ბათუმის მერია გადაიხდის		
სატენდერო წინადადებების მიღება ორ დღეში დასრულდება		
ბაღის შემოსავალი მიზნობრივად იხარჯება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის		
ბათუმის ბოტანიკური ბაღის ძირითადი შემოსავალი ვიზიტორების მომსახურების ღირებულებაა		

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. რა აქვს დაგეგმილი ა(ა)იპ — „ბათუმის ბოტანიკურ ბაღს“?

2. როგორ ფინანსდება ბათუმის ბოტანიკური ბაღი?

3. როგორია ელექტრომობილით მომსახურების ღირებულება ჯგუფის წევრისთვის? ინდივიდუალურად?

4. რომელი დამთვალეიერებლები სარგებლობენ ფასდაკლებით?

5. ვის შეუძლია გაეცნოს ბათუმის ბოტანიკური ბაღის შემოსავლისა და გასავლის შესახებ დეტალურ ინფორმაციას?

2. ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით:

(5 ქულა)

ნიმუში: სამუშაოს შესრულების ხარისხი ექსპერტების მიერ ფასდება (შეფასება).

1. მონიტორინგის სამსახური _____ სახსრების მიზნობრივად ხარჯვით (დაინტერესება).

2. პოტენციური კონკურენტების სია _____ (დავიწროვება).

3. ღონისძიება _____ USAID-ის მხარდაჭერით (გამართვა).

4. წელს რეგიონებში ბევრი ახალი ბიზნესპროექტი _____ (განხორციელება).

5. პირგასამტეხლოს რაოდენობა _____ (დაზუსტება) კომისიის მიერ.

3. შეავსეთ ტექსტი სათანადო სიტყვებითა და დაბოლოებით:

(10 ქულა)

კანონმდებლობა _____ მიხედვით, მცირე ბიზნესს _____ ათავისუფლებენ გადასახადების დიდი ნაწილისგან. ბიზნესი ითვლება _____, თუ მისი წლიური _____ 100 000 ლარზე ნაკლებია. 100 000 ლარი _____ მოგება დღეს შედარებით მარტივი მისაღწევია. ამრიგად, თუ კომპანიის წლიური ბრუნვა ოდნავ უფრო _____ იქნება, ვიდრე ეს კანონითაა განსაზღვრული, ბიზნესს აღარ _____ „მცირეს“ სტატუსი. შესაბამისად, ვეღარ ისარგებლებს ისეთი შეღავათით, _____ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში _____ კომპანია იხდის კანონით დადგენილ ყველა გადასახადს. ეს კი არა მარტო მცირე ბიზნესს _____, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვისაც არაა ხელსაყრელი.

4. ჩასვით წინადადებაში გმნა სათანადო ფორმით:

(5 ქულა)

ნიმუში: პროექტს ოფიციალურად მიენიჭა გამოცხადებულის სტატუსი (მინიჭება).

1. ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობა ჯარიმას _____ (გათვალისწინება).
2. შპს „რიონში“ უკვე 200 ადამიანი _____ (დასაქმება).
3. ხვალ მთელი ქვეყნის მასშტაბით _____ (გამართვა) საინტერესო ღონისძიებები.
4. ეკონომიკის მინისტრი დღეს _____ (დანიშვნა).
5. ბიუჯეტი სასწრაფოდ უნდა _____ (დამტკიცება).

5. დაასრულეთ წინადადებები:

(5 ქულა)

1. ქალაქის ახალ მერს მოქალაქეების ყველა მოთხოვნა უკვე _____.
2. გიორგის სატენდერო დოკუმენტაცია დეტალურად _____.
3. პროექტმა საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები უნდა _____.
4. სამინისტროს კურორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია _____.
5. კომპანიას ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება უნდა _____.

6. გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები:

(5 ქულა)

1. კომპანია ანალოგიური ტიპის სამუშაო ჯერ არ გაუკეთებია.

2. კანონმდებლობამ ბიზნესის განვითარება ხელსაყრელი გარემო შექმნეს.

3. ყველა ხარისხი მომსახურება ანიჭებს უპირატესობას.

4. სატენდერო კომისია თავმჯდომარე დიდი გამოცდილება აქვს.

5. ანგარიშსწორება დადგენილი ვადაზე უნდა განხორციელდეს.

7. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას:

(5 ქულა)

ნიმუში:	მონიტორინგი	რეაბილიტაცია	შემოწმება
დაწვრილებით		დეტალურად	სხვაგვარად
რეალიზება		განახლება	აღდგენა
ლიკვიდაცია		დანგრევა	დაზიანება
ქმნის		აღწერს	აკეთებს
სარგებლობა		თანხმობა	დადასტურება

8. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს:

(5 ქულა)

USAID-ის კვლევაში (1) აღნიშნულია, რომ სიახლეები ყოველთვის მარტივად გასაგები და მისაღები (2) არ არის. ეს კი კანონით გათვალისწინებული ჯარიმის (3) დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს. შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკისა, კომპანიების დამოკიდებულება (4) ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. აღნიშნული პრობლემის მიზეზი (5) საგადასახადო კოდექსის ხშირი შეცვლა, დაუზუსტებელი ჩანაწერები და გადასახადების რაოდენობაა.

ნიმუში: ლიბერალური - როგორია საგადასახადო პოლიტიკა?

- (1) _____
- (2) _____
- (3) _____
- (4) _____
- (5) _____

9. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ფორმით:

(5 ქულა)

მაგივრად	არსად	შესახებ	გამო	ირგვლივ
----------	-------	---------	------	---------

- 1) ბოტანიკური ბაღის _____ ელექტრომობილისთვის გზის გაკეთება იგეგმება.
- 2) დაწესებულებაში ბევრს მსჯელობენ ახალი სატენდერო წინადადების მნიშვნელობის _____.
- 3) განაცხადის _____ პროდუქციის ფასები კატალოგში შეუტანიათ.
- 4) პირგასამტეხლოს რაოდენობა _____ არის აღნიშნული.
- 5) დირექტორის ავადმყოფობის _____ პროექტის წინამოსამზადებელი სამუშაოები შეწყდა.

10. აფიქსების სა - ო, სა - ე, უ -; უ - ო; - იან დამატებით მიიღეთ ახალი სიტყვები და ჩასვით წინადადებებში:

(5 ქულა)

1. _____ კოდექსის გამარტივება ძალიან მნიშვნელოვანია (გადასახადი).
2. ფულის _____ სერიოზულ პროექტს ვერ განვახორციელებთ (დახარჯვა).
3. ვებგვერდზე _____ შესვლა შეუძლებელია (პაროლი).
4. „მცირე“ ბიზნესის _____ ორგანიზაცია საშემოსავლო გადასახადს არ იხდის (სტატუსი).
5. სანამ პროექტს დავწერთ, ჯერ _____ ჯგუფი უნდა შევარჩიოთ (მიზანი).

11. წაკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

(10 ქულა)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე ტარდება მალთაყვამში, სადაც ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები უნდა შეიქმნას. პროექტი ოქტომბრის ბოლოს დაწყებული და 8 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18 500 000 ლარი გამოუყვიათ. მალთაყვის განახლებული ბულვარი ისეთი უნდა იყოს, როგორც თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება. მართლაც, თუკი ტურისტებს ხარისხიან მომსახურებას შევთავაზებთ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტი სტუმარი მოვა.

როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზეა აღნიშნული, თურმე ქალაქ ფოთის თვითმმართველობის მიერ სექტემბერში ბულვარის კეთილმოწყობისთვის კიდევ ერთი ტენდერი გამოცხადებულა. მასში მონაწილეობა არა მარტო ქართულმა, არამედ უცხოურმა კომპანიებმაც მიიღეს. ხუთი კონკურენტიდან პირველ-მეორე ადგილზე თურქული კომპანია „AGCS Muhendislik Insaat Maden Nakliye Ticaret ve Sanayii LTD. STI” და თბილისში დარეგისტრირებული კომპანია შპს „ზიმო“ არიან, რადგან ორივეს 5 000 000 ლარი აქვს გამოყოფილი.

ახალი პროექტის ირგვლივ ქალაქში ბევრს მსჯელობენ. მოქალაქეებს იმედი აქვთ, რომ ბევრი რამ უფრო უკეთესად გაკეთდება, ვიდრე ახლა არის. მაგალითად, უნდათ, რომ ჩვეულებრივი ხეების ნაცვლად ბულვარში ბევრი დეკორატიული მცენარე იყოს.

ქალაქის მერის მაგივრად საფინანსო სამსახურის უფროსმა, ბატონმა თამაზ გაბედავამ მისცა ჟურნალისტებს ინტერვიუ ამ საკითხზე. მისი თქმით, ვინც ყველაზე ნაკლებ ფასად შესთავაზა მერიას მომსახურება, სწორედ მასთან იქნება დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციის პირობები. თუ კომპანია დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, გასაფორმებელი იქნება ხელშეკრულება და დაიწყება სამუშაოები. „პროექტი მომავალი ტურისტული სეზონისთვის გვინდა დამთავრდეს, ამიტომ თან მუნიციპალური განვითარების ფონდს ვთხოვეთ დაფინანსება, თან ბანკიდანაც ავიღეთ სესხი“, – თქვა ბატონმა თამაზმა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება ახალ ბულვარში განთავსებული ობიექტებით სარგებლობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მერიის წარმომადგენელმა უპასუხა: „იქნებ განმარტოთ, კონკრეტულად რა გაინტერესებთ? ჩვენ პრობლემას ვერსად ვხედავთ. ვაკეთებთ ჩვეულებრივ ბულვარს თანამედროვე ინფრასტრუქტურით. თქვენს მკითხველებს უთხარით, რომ ახალი ბულვარით შეუზღუდავად ისარგებლებს ყველა, ვისაც სურვილი ექნება-თქო“.

1) რა იგეგმება მალთაყვამში?

2) რისი იმედი აქვთ მოქალაქეებს?

3) ვისთან დაზუსტდება სატენდერო დოკუმენტაციის პირობები და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას შემდეგ ?

4) რა კეთდება იმისათვის, რომ პროექტი მალე დასრულდეს?

5) რას ფიქრობს თამაზ გაბედავა პროექტის ხელმისაწვდომობის შესახებ?

• ტექსტის მიხედვით, ტურისტული ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია:

- ა) დეკორატიული მცენარეების რაოდენობაზე;
- ბ) გზების კეთილმოწყობაზე;
- გ) თანამედროვე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე.

• მეოთხე აბზაცის მიხედვით:

- ა) პროექტი ვერ დასრულდება, თუ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან არ დაფინანსდება;
- ბ) ბანკიდან სესხის აღება არ არის საჭირო;
- გ) სასურველია, პროექტი ტურისტული სეზონის დაწყებამდე დასრულდეს.

• ამოიწერეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა / წინადადება ტექსტიდან:

1. _____
2. _____
3. _____

12. საზგასმული სიტყვები შეცვალეთ სინონიმური მნიშვნელობის ფორმებით:

(5 ქულა)

ნიმუში: მალთაყვის ბულვარში დაზიანებული შენობები შეაკეთეს (დანგრეული).

1. ბიზნესურთიერთობები სახელმწიფოს მიერ წესრიგდება (_____)
2. ვახტანგმა რჩეული დეკორატიული მცენარეები შეისყიდა (_____)
3. ჩვენი კომპანია ყოველთვის ახერხებს შემოტანილი საქონლის რეალიზაციას (_____)
4. ტენდერები რეგულარულად ცხადდება (_____)
5. ჩვენს ქუჩაზეც ზუსტად ასეთი ტიპის ნაგებობაა (_____)

13. გადაიყვანეთ მომავალ დროში:

(5 ქულა)

წელს გამოქვეყნდა საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. გამოკითხული კომპანიების დიდ ნაწილს მოსწონს, რომ საგადასახადო კანონმდებლობას ამარტივებენ. საგადასახადო კოდექსში ჩანაწერები ისეა დაზუსტებული, რომ მათი გაგება აღარაა ძნელი.

14. უპასუხეთ ანტონიმების გამოყენებით:

(5 ქულა)

1. ეს პროდუქცია ადგილობრივია? - არა, _____
2. თქვენ კომპანიაში ვაჭრობა საბითუმოა? - არა, _____
3. შპს „ბორჯომის“ მიერ შესყიდული მასალა უხარისხო ხომ არ არის? - არა, _____
4. ჩვენი მუნიციპალიტეტის ინტერიერი ისევე დაზიანებულია? - არა, უკვე _____
5. თქვენი კომპანიის წლიური ბრუნვა გაიზარდა? - არა, _____

15. დააკავშირეთ ერთმანეთთან:

(5 ქულა)

მიღება-ჩაბარების	ინტერვიუ
ცხოველთა	მიმწოდებელი
წლიური	სტატუსი
ექსკლუზიური	ვაქცინაცია
პოტენციური	ბრუნვა
სტუმრის	აქტი

16. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფრაზებით:

(5 ქულა)

1. შესყიდვების განხორციელება

2. უზრუნველყოფილია სააგენტოს მიერ

3. გათვალისწინებული ჯარიმა

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

4. უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას

5. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ...

17. დაწერეთ შემდეგი თემებიდან ერთ-ერთი:

(5 ქულა)

(ტექსტი უნდა იყოს არანაკლებ 60 სიტყვისა)

- სატენდერო სისტემა;
- სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგი.

პასუხები:

3. შეავსეთ ტექსტი სათანადო სიტყვებითა და დაბოლოებებით:

(10 ქულა)

კანონმდებლობის მიხედვით, მცირე ბიზნესს ათავისუფლებენ გადასახადების დიდი ნაწილისგან. ბიზნესი ითვლება მცირედ, თუ მისი წლიური შემოსავალი 100 000 ლარზე ნაკლებია. 100 000 ლარიანი მოგება დღეს შედარებით მარტივი მისაღწევია. ამრიგად, თუ კომპანიის წლიური ბრუნვა ოდნავ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ეს კანონითაა განსაზღვრული, ბიზნესს აღარ მიენიჭება „მცირეს“ სტატუსი. შესაბამისად, ვეღარ ისარგებლებს ისეთი შეღავათით, როგორიც ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში კომპანია იხდის კანონით დადგენილ ყველა გადასახადს. ეს კი არა მარტო მცირე ბიზნესის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვისაც არაა ხელსაყრელი.

მოსასმენი დიალოგები

ფინანსების სახელმძღვანელოს პირველი თავი

1.5. ა) მოისმინეთ დიალოგი:

- ნიკა, თანხა საჩუქრებისთვისაც გაითვალისწინე?
- რა თქმა უნდა, რა იცი, ვისთან წავალთ სტუმრად?
- ხანდახან ვიცით.
- მართალია, ზოგჯერ ვიცით, მაგრამ ყოველთვის არა. ახლობლების და მეგობრების დაბადების დღეები შეგვიძლია წინასწარ გავითვალისწინოთ. მაგალითად, მალე შენი მამიდაშვილის, ნინოს, დაბადების დღეა.
- კიდევ კარგი, რომ თქვი. უსაჩუქროდ ხომ ვერ მივალთ? მინდა სასიამოვნო სიურპრიზი გავუკეთო.
- უსაჩუქროდ რატომ მივალთ? კარგი საჩუქარი ვუყიდოთ.
- მართლა? რა?
- ჯერ ზუსტად არ ვიცი. ერთად შევარჩიოთ.
- როგორ ფიქრობ, ეს ხარჯი ჩვენი ოჯახის ბიუჯეტს ძალიან დააზარალებს? ჩვენ არც ისე დიდი შემოსავალი გვაქვს.
- არა მგონია. **თუ გონივრულად დავხარჯავთ, ფული ყველაფრისთვის საკმარისი იქნება, მომდევნო თვეში კი ჩვენს ბიუჯეტს ისევ შევავსებთ.**

3.6. ა) მოისმინეთ დიალოგი:

- სანდრო, გუშინ მართლა ისაუბრეს პარლამენტში ბიუჯეტის სეკვესტრის შესახებ?
- დიახ, გოგი. სამწუხაროდ, **მართლაც ასეა.**
- რა არის ამის მიზეზი?
- ხაზინას საკმარისი თანხით ვერ ავსებენ. **ხარჯებს კი ორჯერ ზრდიან.**
- ანუ საბიუჯეტო დეფიციტი გვაქვს?
- დიახ, ასეა.
- სასიამოვნო ცვლილებებს აღარ ველოდები. ბევრ პროგრამას ველარ დააფინანსებენ.
- ალბათ, ასე იქნება. თუმცა, ვფიქრობ, სეკვესტრი სოციალურ პროგრამებს არ დააზარალებს.
- იმედია, ასე იქნება. მაპატიე, ახლა უნდა წავიდე. ხუთზე შეხვედრა მაქვს.
- მეც უნდა წავიდე. ნახვამდის.

ფინანსების სახელმძღვანელოს მეორე თავი

1.6. ა) მოისმინეთ დიალოგი:

- გამარჯობა, კოტე!
- ოჰ, თამაზ გამარჯობა! **რამდენი ხანია არ გამოჩენილხარ!** ახლა სად ხარ?
- გაზეთ „რეზონანსის“ რეპორტიორი ვარ, საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებზე ვწერ ხოლმე.
- ყოჩაღ შენ! მე ასეთ უინტერესო საკითხზე ვერასოდეს ვიმუშავებ.
- აბა, შენ რაზე მოგწონს წერა?
- პოლიტიკოსებზე, სკანდალურ ისტორიებსა და ასეთ რამეებზე.
- **შენ წარმოიდგინე**, საბიუჯეტო პოლიტიკა არანაკლებ სკანდალური შეიძლება იყოს. ერთი ჩვენი ამერიკელი კოლეგა ამბობს, ბიუჯეტი ხელისუფლების მიზნების კრებულაა, რომელზეც თითოეული მიზნის ფასია აღნიშნული.
- **რა კარგი ნათქვამია.** მგონი, მართლაც ასეა!
- ნამდვილად ასეა და შენთან **დახმარებისთვის მოვედი...**
- მართლა? **რით შემიძლია დაგეხმარო?**
- ფინანსთა მინისტრის ბრძანებით შეუცვლიათ გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულა. გარდა ამისა, მიუღიათ მაღალმთიანობის კოეფიციენტი, რითაც უკვე შესაძლებელია მაღალმთიანი რეგიონებისათვის დახმარების გაწევა. რედაქტორმა ამ საკითხებზე სტატიის **დაწერა** დამავალა და სამინისტროში **ხომ არავის იცნობ**, ვისაც შეუძლია საჭირო კონსულტაციის **გაწევა**?
- **როგორ არა.** იქ ჩემი ბავშვობის მეგობარი მუშაობს, ნიკა. მას შენც იცნობ. სიამოვნებით დაგეხმარება.
- მართლა? ნიკას როგორ არ ვიცნობ. არ ვიცოდი, სამინისტროში თუ მუშაობდა. დიდი მადლობა. ხვალვე დავუკავშირდები.

ფინანსების სახელმძღვანელოს მესამე თავი

1.5. ა) მოისმინეთ დიალოგი:

- თეონა, შენ ისე კარგად ხატავ, ალბათ, სამხატვრო აკადემიაში გინდა ისწავლო.
- აკადემიაში ძალიან მინდა ჩაბარება, მაგრამ ეს რთულია. ჯერ, ალბათ, თოიძეში ვისწავლი.
- პროფესიულ სასწავლებელში?
- დიახ, თან იქ ძალიან საინტერესოა სწავლა. მაგალითად, მაინტერესებს მინანქარი. სამკაულების შექმნას სიამოვნებით ვისწავლი, რადგან ეს პროფესია მომწონს და თან დამატებითი შემოსავალიც მექნება.
- ყოჩაღ, რა ჭკვიანი გოგო ხარ! ასე საკუთარი სწავლის თანხაც და **ჯიბის ფულიც** გექნება.
- დიახ, მინდა, ოჯახს დავეხმარო.
- ეგ სასწავლებელი სადაა? მგონი, შორსაა ცენტრიდან.
- არა, ადრეც აქვე იყო, მაგრამ ძველი შენობის აუქციონზე გატანის შემდეგ სასწავლებელი აკადემიის შენობაში გადაიტანეს. ასე განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა.
- ოოო, ეს ძალიან კარგია! აკადემიის შენობაზე ლამაზი შენობა, მე მგონი, თბილისში არც არის!
- დიახ, მართლაც ძალიან ლამაზია. კულტურის სამინისტროს **მიერ** დადგენილია, რომ XIX საუკუნის არქიტექტურის საუკეთესო ძეგლია.
- აბა, წარმატებას გისურვებ.
- დიდი მადლობა.

2.5. ა) მოისმინეთ დიალოგები:

1.

- ქალბატონო ნანა, წლიური დეკლარაციისთვის **საჭირო დოკუმენტაცია** ხომ არ მოგიმზადებიათ?
- **ჯერ არ მომიმზადებია**, ჯერ არ შემიდგენია. ძალიან რთული გრაფიკით ვმუშაობდი, მაგრამ მაინც ვერ გავაკეთე. თინიკო ავად გახდა. დამხმარე არავინ მყავდა.
- ყურადღებით, არაფერი იყოს მერე პრობლემა. არ თქვან, **შემოსავლებს მალავსო**. კიდევ ბევრი დრო დაგჭირდებათ?
- სხვადასხვა მომსახურების **თანხის გადახდის** საჭირო საბუთებიც **გვინდა და მეტი არაფერი**.
- ძალიან კარგი. გმადლობთ.

2.

- ავთო, როგორაა ჩვენი **წლიური მოგების** საქმე?
- კარგად. გუშინ ვნახე **დოკუმენტაცია** და საერთო-სახელმწიფოებრივი **გადასახადის** შეტანის შემდეგ საკმარისი **თანხა გვექნება** ფინანსური აქტივებისთვის.
- წაიკითხე მინისტრის ახალი ბრძანება?
- რომელი?
- მოგების **გადასახადისაგან** კომპანიის **გათავისუფლების** შესახებ.
- არა, არ მინახავს. კომპანიებს გადასახადისაგან **ათავისუფლებენ**?
- კი, თუ ამ თანხას ორგანიზაციის **რეინვესტირებისთვის** გამოვიყენებთ.
- რა თქმა უნდა, რეინვესტირებისთვის **დავხარჯავთ**. ეს ყველასთვის **ხელსაყრელია!** როდის იმუშავებს კანონი?
- იანვრიდან.
- შესანიშნავია!

3.5.

- ა) მოისმინეთ დიალოგი და სწორი პასუხი აღნიშნეთ:
- გიორგი, გავიგე, ბათუმში ბინა გიყიდიათ. გილოცავ!
- დიდი მადლობა. კი, ვიყიდეთ, მაგრამ ყველა საბუთი ჯერ არ გავგიფორმებია.
- ეგ არაფერი, გააფორმებთ და ზაფხულში კარგად დაისვენებთ!
- ჩვენც მაგის იმედი გვაქვს. ნინოს ისეთი რთული სამუშაო აქვს, მინდა შვებულების პერიოდში მაინც ჰქონდეს კომფორტი.
- ჰო, სრულფასოვან დასვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ადამიანს სტრესული სამუშაო ხშირად აქვს.
- სამწუხაროდ, **ზედმეტად** ხშირად. ხომ იცი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს რამდენი პრობლემა აქვთ; ნინოს დახმარება მათ ძალიან სჭირდებათ.
- ნინო კარგი გოგოა. ჩემგან მოკითხვა გადაეცი.
- აუცილებლად.

3.9.

ა) მოისმინეთ დიალოგი:

- მოგესალმებით, რით შემოძლია დაგეხმაროთ?

- გამარჯობა. ახლახან მე და ჩემმა ქმარმა უძრავი ქონება ვიყიდეთ და მაინტერესებს, ქონების გადასახადი რამდენი იქნება?
- შეგიძლიათ მითხრათ, რამდენია თქვენი და თქვენი ოჯახის საერთო შემოსავალი?
- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ალბათ, 40 000 ლარზე ცოტა მეტია.
- ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გადაიხადოთ ქონების გადასახადი.
- რამდენი იქნება ეს თანხა?
- ეს თქვენი უძრავი ქონების საბაზრო ფასზეა დამოკიდებული. მოსაკრებლის ოდენობას ადგილობრივი თვითმმართველობა ადგენს. მუნიციპალიტეტში მიბრძანდით და იქ გეტყვიან.
- დიდი მადლობა!

ფინანსების სახელმძღვანელოს პირველი შემთხვევა

2. მოსასმენის სრული ვარიანტი: ინტერვიუ კულტურის სახლის დირექტორთან:

- მოგესალმებით, ბატონო ელდარ, გმადლობთ, რომ დღეს გაზეთ „ვერსიის“ სტუმარი ბრძანდებით.
- გამარჯობა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენთან სტუმრობა.
- ბატონო ელდარ, წინა კვირას ყველამ გავიგეთ ინფორმაცია, რომ თქვენს რაიონში ძლიერმა ქარმა დააზარალა კულტურის სახლის შენობა.
- დიახ, სამწუხაროდ, სიმართლეა, ეს ყველაფერი მართალია.
- როგორც ჩვენთვის ცნობილია, შემოდგომაზე ყოველთვის გაქვთ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.
- დიახ, ასეა. თვის ბოლოს ხალხური რეწვის ტრადიციული სახეობების გამოფენა-გაყიდვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა უკვე შეუძლებელია ამ ღონისძიების ჩატარება.
- ბატონო ელდარ, რის გაკეთებას გეგმავთ? რას ეტყვით თელაველებს და თელავის სტუმრებს?
- მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაუყოვნებლივ შექმნა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან ინჟინრები, იურისტები, ეკონომისტები და სხვა კომპეტენტური პირები. კომისიის დასკვნის საფუძველზე კი სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან გამოყოფს სპეციალურ ტრანსფერს. ეს თანხა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის იქნება საჭირო.
- როგორ ფიქრობთ, ამ თანხას მალე მიიღებთ?
- რა თქმა უნდა, კომისია უკვე მუშაობს, დასკვნას რამდენიმე დღეში მოამზადებენ, ხელისუფლებაც დროულად დაგვეხმარება.
- გამოფენა-გაყიდვის ღონისძიებასაც ჩაატარებთ?
- აუცილებლად ჩავატარებთ, მაგრამ თვის ბოლოს არა. ღონისძიების ჩატარების თარიღი მალე იქნება ცნობილი.
- დიდი მადლობა.
- ნახვამდის!

4. მოსმინეთ დიალოგები და გამოთოვეთ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

1)

- გამარჯობა, კოტე. შპს „თბილისის“ პატრონებთან არის საჭირო შეხვედრა. მათთვის ხელსაყრელი იდეა გვაქვს.
- კარგი, ბატონო დავით. დაუყოვნებლივ დაუკავშირდები.
- სტიქიამ ისინი ძალიან დააზარალა. როცა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს დავასრულებთ, დოკუმენტაციას გავაფორმებთ.
- კეთილი.

2)

- თამარ, ბუღალტერმა ფინანსური ანგარიშები დღესვე უნდა ნახოს. რისკების გამო ყველა ხარჯი წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ.
- თამარს ჯერ კონსულტაციები აქვს, შემდეგ კი ფინანსურ ანგარიშებს ნახავს.
- საგრანტო პროექტების შედგენაზეც ახლავს უნდა დავიწყოთ ფიქრი.
- იცით, ოთარს აქვს საინტერესო წინადადება ამ საკითხთან დაკავშირებით.
- უთხარი, შემოვიდეს ჩემთან.
- კარგი.

3)

- პარლამენტმა უკვე დაამტკიცა მომავალი წლის ბიუჯეტი?
- არა. ახლა უნდა იმსჯელონ.
- მგონი, საბინაში საკმაოდ რაოდენობის თანხაა და ბევრ სოციალურ პროგრამას დააფინანსებენ.
- დიახ, ექსპერტები ამბობენ, რომ წელს საბიუჯეტო პროფიციტი იქნება.
- ამას რა სჯობს.

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

4)

- ხომ არ იცით, მანქანები რატომ დადიან შემოვლითი გზით?
- **თურმე** ხიდია დაზიანებული.
- მერე?
- რაიონულ ცენტრში ვიყავით ჩასულები და გვითხრეს, ეს ცენტრალური ხელისუფლების **კომპეტენციაში** შედისო.
- იცით, ვის უნდა გავაგებინოთ ამ პრობლემის შესახებ?
- უკვე იციან, გავაგებინეთ. ჯერ ზარალს **აღრიცხავენ**, შემდეგ ბიუჯეტიდან კაპიტალურ **ტრანსფერს გამოყოფენ** და ხიდს შეაკეთებენ.
- ძალიან კარგი.

ფინანსების სახელმძღვანელოს პირველი ტესტი

1. „Check in Georgia“-ს პროექტთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფი ჟურნალისტებს სასტუმრო „რუმსში“ შეხვდა. მათი განმარტებით, „Check in Georgia“-ს დადებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე: თუ გაიზრდება ტურისტების რაოდენობა, შესაბამისად, გაიზრდება შემოსავალიც.

თურმე წელს პროექტის ფარგლებში ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდება. მათ შორის: საბავშვო ევროვიზია და ფესტივალი „ჯემ ფესტი“; გარდა ამისა, სპორტული ღონისძიებებიც უნდა ჩატარონ: ძიუდოს გრან-პრი, ევროპის ჩემპიონატი სუმოში და მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. შეიძლება დაგეგმონ მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატი რაგბში და ა.შ.

პროექტი ამ ეტაპზე მთლიანად დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მის განსახორციელებლად სარეზერვო ფონდიდან 29 მილიონი ლარი გამოუყვიათ.

ამერიკული როკ ჯგუფ „AEROSMITH“-ის კონცერტისთვის კი, რომელიც შეკვეთილში, „Black Sea Arena“-ს საკონცერტო დარბაზშია დაგეგმილი, საქართველოს ბიუჯეტიდან დამატებით 5,5 მილიონ ლარს დახარჯავენ. შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ მენეჯერმა თქვა, ამ თანხიდან 5 მილიონი ლარი არტისტების ანაზღაურებაა (გადასახადების ჩათვლით), ხოლო ნახევარი მილიონი ლარი კულტურული ღონისძიების ორგანიზებას სჭირდება.

ღონისძიებების ბიუჯეტს ერთი წლით ადრე ადგენენ. სპეციალური კომისია გეგმავს ხარჯებს. შემოსავლის და გასავლის ზუსტი აღრიცხვა აუცილებელია, რათა ფინანსური რისკები მინიმუმამდე შემცირდეს. პროექტს „Check in Georgia“ ყოველთვის კარგი მოგება აქვს, მაგრამ უკეთესი ექნება, თუ ფინანსებს უფრო გონივრულად გაანაწილებენ.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თქმით, „Check in Georgia“-ს ბიუჯეტი მომავალ წელს ალბათ შემცირდება, თუმცა ღონისძიებების მასშტაბი არ დაეწროვდება. უბრალოდ, სახსრებს მიზნობრივად დახარჯავენ და ღონისძიებებს კიდევ უფრო ეფექტიანად დაგეგმავენ. პროექტის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო ისევ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა იქნება. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მინისტრს განუმარტავს, რომ მომავალ წელს დაფინანსებაში მონაწილეობას მიიღებენ კერძო კომპანიები, გათვალისწინებული იქნება სარეკლამო პაკეტიც და საჭირო თანხებს, ანუ დაფინანსებას, ასე მოიზიდავენ.

ფინანსების სახელმძღვანელოს მეოთხე ტაქი

1.9. მოისმინეთ დიალოგები და შეაყვანეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

- ოთარ, ტენდერის შედეგები **ხომ არ გამოცხადდა?**
- კი, როგორ არა, გუშინ **გამოცხადდა**.
- მერე?
- გამარჯვებულები ვართ! ახლა **ხელშეკრულების** გაფორმება დარჩა და **დასრულდა** საქმე.
- ძალიან კარგი! ხომ იცი, თუ კარგად იქნება აწყობილი **ბიზნესსურთიერთობა, სტაბილურად** მივიღებთ **ძვირადღირებულ** შეკვეთებს.
- ბატონო გიორგი, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ!

ბ)

- ანზორ, ჩვენი კომპანიაა **ტენდერში** გამარჯვებული?
- დიახ, რა იყო?
- ხელშეკრულებაც **გააფორმე?**
- ჯერ არ **გამიფორმებია**, დაკავებული ვიყავი. იმ კვირაში გავაფორმებ.
- სამწუხაროდ, დავიანება არ შეიძლება! სააგენტოს **ვებგვერდზე წავიკითხე**, რომ ტენდერი შეწყვეტილია და ჩვენი კომპანია **„შავ სიაშია“**.
- ეს რას ნიშნავს?
- იმას, რომ ერთი წლით აკრძალული გვაქვს ტენდერში **მონაწილეობის** მიღება.

2. 7. მოისმინეთ დიალოგები და უბასუხეთ შეკითხვებს:

1. ა.

- მოგესალმებით, **სავაჭრო ცენტრი „საბაა“**?
- დიახ, გისმენთ.
- მე შპს „მინას“ წარმომადგენელი გახლავართ. ჩვენი ძირითადი საქმიანობა ჩინეთიდან სხვადასხვა **ასორტიმენტის მინის ნაწარმის იმპორტია**.
- რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?
- ხომ არ გინდათ ჩვენი საქონლის **საბითუმო ან საცალო** შესყიდვა?
- სამწუხაროდ, ჩვენ ძირითადად ავეჯს და ელექტროსაქონელს ვყიდით. სახელმწიფო შესყიდვებით ხომ არ **დაინტერესდებით**?
- ჩვენ მიერ **შემოტანილი** პროდუქციის უდიდესი ნაწილის **რეალიზაცია** სწორედ სახელმწიფო შესყიდვების სახით ხდება. გვინდა, რომ **ახალი ბიზნესპარტნიორები გვყავდეს**.
- წარმატებას გისურვებთ. ვფიქრობ, ჩვენს ქალაქში ბევრი სავაჭრო ცენტრი **ითანამშრომლებს** თქვენთან.
- გმადლობთ.

2. ა.

- მერაბ, გამარჯობა, ბადრი ვარ. ელექტრონულ სისტემაში უკვე აიტვირთა წლიური გეგმები?
- კი, 20-ში აიტვირთა.
- აუცილებლად ვნახავ. როდის ჩატარდება კრება?
- 23 ნოემბერს **შევიკრიბებით**.
- აუჰ, 23-ში არ შემიძლია. ჩინეთიდან საქონლის დიდი **პარტია ჩამოდის**. იქ უნდა ვიყო, თორემ მერე ყველაფერი ერთად იქნება **საწყობში** არეული. ეს კი საქმეს აზარალებს.
- 25 -ისთვის შეძლებ?
- როგორ არა, აუცილებლად შევძლებ. მოვალ და ერთად დავგეგმოთ მომავალი წლის საქმიანობა.
- აბა, დროებით.
- შეხვედრამდე.

ფინანსების სახელმძღვანელოს მეხუთე თავი

1.3. მოისმინეთ და შეავსეთ დიალოგი:

- გიორგი, **დაგეგმილი შესყიდვების** განხორციელებას როდის იწყებთ?
- ბიუჯეტი **დამტკიცდება** თუ არა, დაუყოვნებლივ დავიწყით საქმე.
- **სატენდერო დოკუმენტაციას** თქვენ ამზადებთ?
- კი, რატომ მეკითხები?
- იცი, რა მაინტერესებს? კარგად ვერ გავიგე, **ავანსად ვუხდით** მიმწოდებელს თანხას?
- ეს საკითხი ხელშეკრულების მიხედვით **რეგულირდება**.
- ანუ შესაძლებელია?
- **რა თქმა უნდა**.
- დიდი მადლობა...

3.3. მოისმინეთ დიალოგები და დაასრულეთ წინადადებები:

ა)

- ჯერ ხომ **არ დაგეგმილა** სახელმწიფო შეყიდვების განხორციელება ჩვენს მუნიციპალიტეტში?
- როგორ არა. წინამოსამზადებელი სამუშაოებიც **დასრულებულია უკვე**.
- რას ამბობ? მე კი **განაცხადის გადაცემას** იმ კვირაში ვფიქრობდი. ინფორმაციის მიწოდება აღარ შეიძლება?
- არა. **დაგვიანება დაუშვებელია!**
- რატომ?
- იმიტომ, რომ **შესყიდვების წლიური ბიუჯეტი** უკვე განსაზღვრულია და მასში ცვლილების შეტანა ახლა შეუძლებელია.

ბ)

- ხომ იცით, გზების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვის **განხორციელება რომ გვჭირდება?**
- რამე პრობლემა?
- პრობლემა ისაა, რომ შესაკეთებელი ობიექტები **ერთმანეთისგან თურმე** ძალიან შორს ყოფილა.
- მიმწოდებელი ვერ შეძლებს მომსახურებას?
- ერთი **მიმწოდებელი ვადებს** ვერ დაიცავს. ეს შეუძლებელია.
- მოდი, ტენდერი ორივე ობიექტზე ცალ-ცალკე გამოვაცხადოთ. **ამის უფლება კანონით** გვეძლევა.
- მართალია, **ასე აჯობებს**.

გ)

- როგორც ვიცი, **სატენდერო დოკუმენტაცია** უკვე ოფიციალურად გამოქვეყნდა.
- დიახ, ასეა.
- შესასყიდი საქონლის აღწერილობა და მახასიათებლები **ყურადღებით შეისწავლეთ?**
- რა თქმა უნდა.
- მოთხოვნებს **ვაკმაყოფილებთ?**
- როგორ არა, თუმცა მაინც არის ერთი პრობლემა.
- რომელი?
- **შემსყიდველმა შეიძლება** ბოლო დღეს შეცვალოს მოთხოვნები.
- ამ შემთხვევაში ტენდერის **ვადაც ხომ გაიზრდება?**
- სამწუხაროდ, არა.

ფინანსების სახელმძღვანელოს მეექვსე თავი

1.4. ა) მოისმინეთ დიალოგი:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში საახალწლო საჩუქრების შეძენაც გაუთვალისწინებიათ შესყიდვების წლიურ გეგმაში. თანხა 5000 ლარზე მეტი არ არის და თანაც ერთგვაროვანი ობიექტები უნდა იყიდონ. ამიტომაც შესყიდვების სამსახურს უფლება აქვს, საჩუქრები გამარტივებული წესით შეისყიდოს კონკრეტული მომწოდებლისაგან ტენდერის გამოცხადების გარეშე.

- ოთარ, საჭირო პროდუქტების სია უკვე ჩამოწერეს?
- როგორც ვიცი, უკვე სიაც ჩამოწერეს და ბაზრის კვლევაც ჩაატარეს.
- მერე? რომელი ორგანიზაცია გვთავაზობს ყველაზე ხელსაყრელ ფასს?
- რა თქმა უნდა, გიორგი გალდავას შპს „ეგრისი“. ჭკვიანი კაცია. ყველაფერი გაუთვალისწინებია და გონივრულად **შეუფასებია** თავისი საქონელი.
- ამიტომაც მის სუპერმარკეტს წლიური ბრუნვა ყველაზე მაღალი აქვს ჩვენს მუნიციპალიტეტში.
- მგონი, ერთი საკითხი არ დაგვიზუსტებია: ჩვენ რაც გვჭირდება, იმ ობიექტის მიწოდება ერთი პირის **ექსკლუზიური** უფლება ხომ არ არის?
- არა, უკვე ვიკითხეთ.
- კარგი. რადგან კონკრეტული მიმწოდებელი შევარჩიეთ, მაშინ ხელშეკრულების გაფორმებაზეც ვიფიქროთ? ცოტა დრო გვაქვს.
- ნუ ღელავთ, ყველაფერს **მოვაგვარებ**.

2.3. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

ა)

- სოფელ დიხაშხოდან მოსახლეობის ერთობლივი წერილი მივიღეთ.
- რა პრობლემა აქვთ?
- გზის აღდგენას ითხოვენ.
- გასაგებია. ანუ კომისია უნდა შევექმნათ.
- თუ შეიძლება, კვალიფიციური სპეციალისტები შევარჩიეთ. დაე, **ობიექტურად** შეაფასონ შექმნილი მდგომარეობა.
- ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც საჭიროა.
- გაითვალისწინეთ, დრო ძალიან ცოტა გვაქვს.
- უმოკლეს ვადაში იქნება მზად დოკუმენტაცია.

ბ)

- ბატონო გივი, დაასრულა კომისიამ მუშაობა.
- ძალიან კარგი. საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია მზადაა?
- დიახ. სავარაუდოდ, 125 ათასი ლარი იქნება საჭირო.
- 125 ათასი? მაშინ იქნებ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოვაცხადოთ?
- ასე აჯობებს. თანაც შეიძლება გაცილებით ნაკლებ ფასად შევისყიდოთ მომსახურება.
- მთავარია, ხარისხიანად შეასრულონ სამუშაო.
- რა თქმა უნდა. საინტერესოა, რომელი კომპანია იქნება გამარჯვებული.
- მოდი, შედეგებს დაველოდოთ.
- დაველოდოთ.

გ)

- ხომ არ იცი, რამდენმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა ტენდერში?
- მგონი, სამმა.

- გამარჯვებულმა მომსახურებისთვის რამდენი მოითხოვა?
- 125 ათასის ნაცვლად 118 ათასი ლარი.
- რთული სამუშაოა. იქნებ სამ თვეში ვერც დაამთავრონ.
- როგორ არა, დაამთავრეს. **მიღება-ჩაბარების** აქტი ზუსტად 80 დღეში გააფორმეს.

3.4. ა) მოისმინეთ სარეკლამო განცხადება .

კურორტი ბეშუმი ულამაზესია. ვერსად ნახავთ ისეთ ჯანსაღ გარემოს, **როგორიც** აქაა. ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის დასაწყისამდე ბეშუმი უამრავ **ღონისძიებას მასპინძლობს**. ათასობით **ტურისტი** ჩამოდის **არა მარტო** აჭარიდან, **არამედ** საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას ბეშუმში **ტრადიციული სახალხო დღესასწაული** – „შუამთობა“ იმართება. ამ დღეს კურორტზე **ყოველთვის უამრავი** სტუმარია. **ოფიციალური ცერემონიალის** შემდეგ ეწყობა **ხალხური რეწვის ნიმუშების** გამოფენა-გაყიდვა; იმართება **სპორტული** შეჯიბრებები.

თუ თქვენ **დაკავებული** ადამიანი ბრძანდებით და **ცოტა დრო** გაქვთ, **იქნებ ისარგებლოთ** ჩვენი მომსახურებით; ყველაფერს უმოკლეს ხანში დაგიგეგმავთ. გპირდებით, ბეშუმში **შესანიშნავ დროს** გაატარებთ!

შპს „ბეშუმთრეველი“

საკონტაქტო პირი: გოჩა ხაბაზი

ტელ.: 955 12 34 56

ფინანსების სახელმძღვანელოს მეორე შიშაგამოცემა

3. წაიკითხეთ დიალოგი და დაალაგეთ თანმიმდევრობით

- გამარჯობა, მე გავთქვი „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი ვარ. რამდენიმე კითხვა მაქვს თქვენთან.
- მობრძანდით. გისმენთ.
- ბეთლემის ქუჩაზე გზა დაზიანდა. რამდენი დრო დასჭირდება მის რეაბილიტაციას?
- არაუმეტეს 3 თვისა სამუშაოს დაწყებიდან.
- როდის არის დაგეგმილი სამუშაოს დაწყება? პროექტი უკვე გაცემებულია?
- მუშაობას ჯერ ვერ დაიწყებენ, რადგან ტენდერი არ დასრულებულა. უნდა დაველოდოთ, რომ გაიმარჯვოს რომელიმე კომპანიამ.
- რამდენი კომპანია იღებს მონაწილეობას ტენდერში?
- ვერ გეტყვით. მონაწილეთა რაოდენობა მხოლოდ ტენდერის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.
- ამ ხნის განმავლობაში ადამიანებს გადაადგილების პრობლემა არ ექნებათ?
- არა, რადგან არსებობს შემოვლითი გზა, რომლის კეთილმოწყობას 10 დღეში დაასრულებს კონტრაქტორი კომპანია „GBC“.
- დიდი მადლობა ინფორმაციისათვის.
- ნახვამდის.

4. მოისმინეთ დიალოგები და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

სიახლე, გამარტივებული, ანალოგიური, განაცხადი, ორეტაპიანი, მოთხოვნა, დაბალი ფასი, ცხადდება, კონკურენტი, აღარ ჩატარდება, ხარისხი, მხოლოდ, უკეთესი მომსახურება, გავაგრძელოთ.

1)

- მოდი, **გამარტივებულ** ელექტრონულ ტენდერში მივიღოთ მონაწილეობა. შემსყიდველის ყველა **მოთხოვნას** ვაკმაყოფილებთ.
- კიდევ **ცხადდება** გამარტივებული ელექტრონული ტენდერები?
- ჯერჯერობით, კი.
- ბატონმა ოთარმა თქვა, რომ მალე **აღარ ჩატარდება** გამარტივებული ელექტრონული ტენდერები.
- საერთოდ აღარ ჩატარდება ელექტრონული ტენდერები?
- **მხოლოდ** გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აღარ ჩატარდება.
- გასაგებია.

2)

- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ბევრ **სიახლეს** გეგმავენ.
- მართლა? კონკრეტულად რა სიახლეებზეა საუბარი?
- თურმე, ელექტრონული ტენდერი **ორეტაპიანი** გახდება.
- ეს რას ნიშნავს?
- იმას, რომ უპირატესობა **დაბალი ფასის** გარდა, მაღალ ხარისხსაც მიენიჭება.

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

- **ხარისხი** მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ ტენდერში გამარჯვება ადვილი არ იქნება.
 - მართალია. ადვილი არ იქნება და შემსყიდველი ბევრად უკეთეს მომსახურებას მიიღებს.
- 3)
- ავთო, მგონი, ჩვენს **განაცხადში** მომსახურების მიწოდების ვადა ძალიან მცირეა.
 - „დრო ფულია“!
 - მართალია, მაგრამ თუ ვადას გავაგრძელებთ, უფრო მეტი **კონკურენტი** მიიღებს ტენდერში მონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ **ანალოგიურ** მომსახურებას ბევრად ნაკლებ ფასად შევისყიდით.
 - ეს ერთი და იგივეა. მოკლე დროში მეტი თანხა და მეტ დროში ნაკლები ფული.
 - ხარისხი?! მოკლე დროში მაღალი ხარისხით სამუშაო იშვიათად სრულდება.
 - აი, ამაში კი ნამდვილად მართალი ხარ! **გავაგრძელოთ** მომსახურების მიწოდების ვადა.

5. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

1)

- გიორგი, ცოტა დრო გაქვს? **რალაც მინდა გკითხო.**
- რა გაინტერესებს?
- რას ნიშნავს „სატენდერო პირამიდა“?
- კომპანია „ცარიელი“ ხელებით მონაწილეობს ტენდერში და ყველაზე **დაბალი ფასით იმარჯვებს.**
- მერე სამუშაოს როგორ შეასრულებს?
- მოიცა, აგისხნი. წინასწარ **აიღებს თანხას** და ამ ფულით მეორე ტენდერში მიიღებს მონაწილეობას. თუ გამარჯვებს, აქაც აიღებს თანხას და კიდევ ტენდერში **მიიღებს მონაწილეობას.**
- მერე სამუშაო?
- მიღებული თანხებით ცოტ-ცოტა საქმეს ყველგან აკეთებს, თუმცა არა **სრულფასოვნად.**
- ასე როდემდე გაგრძელდება?
- სანამ არ „გაიჭედება“!

2)

- პარლამენტში ორრეზიდიან **ტენდერებზე** უსაუბრიათ.
- კი, მეც გავიგე.
- ეს რას ნიშნავს?
- **ფასი** ცალკე განიხილება, **ხარისხი** - ცალკე. შეფასების ეს სისტემა განსაკუთრებით **მნიშვნელოვანი** სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებშია.
- ჰო. იმიტომაც, რომ ტენდერი ყოველ 2-3 წელიწადში ცხადდება. **მასალის ხარისხიც** დაბალია და შესრულებული **სამუშაოსიც.**

ფინანსების სახელმძღვანელოს მეორე ტესტი

1. მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალები:

ბათუმის მერიის ინფორმაციით, ა(ა)იპ — „ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა“ გამარტივებული ტენდერით უნდა შეისყიდოს ელექტრომობილი. ტენდერის წინამოსამზადებელ პერიოდში დეტალურად განსაზღვრულა ელექტრომობილის აღწერილობა და მახასიათებლები. ანგარიშსწორებისათვის საჭირო თანხას ორგანიზაცია საკუთარი შემოსავლებიდან გადაიხდის.

სატენდერო თანხა 40 ათასი ლარია. შესთავაზებენ თუ არა ბოტანიკურ ბაღს ისეთ ელექტრომობილს, როგორიც მათ სჭირდებათ უფრო დაბალ ფასში, ტენდერის გამოცხადების შემდეგ გამოჩნდება. სატენდერო წინადადებების მიღება 20 მარტს დაიწყება და ორ დღეში დასრულდება. რა თქმა უნდა, საუკეთესო შემთავაზების შერჩევისა და მიმწოდებელთან ბიზნესურთიერთობის დამყარების პროცესი კანონით რეგულირდება.

ბოტანიკური ბაღი დაფინანსებას ბათუმის ბიუჯეტიდან იღებს. გარდა ამისა, ბაღს საკუთარი სტაბილური შემოსავალიც აქვს ვიზიტორების მომსახურების ღირებულების სახით. ბოტანიკური ბაღის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ბაღის ტერიტორიაზე ელექტრომობილით სარგებლობისთვის ტურისტები 5-5 ლარს გადაიხდიან. ელექტრომობილის ინდივიდუალური მომსახურების ღირებულება კი — 60 ლარია. ზოგადად, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დათვალიერების საფასური არის 8 ლარი. ფასდაკლებით სარგებლობენ სტუდენტები (2 ლარი) და სკოლის მოსწავლეები (1 ლარი). უფასოდ დათვალიერების უფლება კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და 10 წლამდე ასაკის ბავშვებს აქვთ.

ბოტანიკური ბაღის შემოსავალი ადმინისტრაციის მიერ მიზნობრივად იხარჯება ბაღის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის. შემოსავლისა და გასავლის შესახებ დეტალური ინფორმაცია საჯაროა და არა მარტო ბაღის თანამშრომლების, არამედ ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი.

დანართი

I თავი – ბიუჯეტი

ახალი სიტყვები:	
რა? ბიუჯეტი ხარჯი შემოსავალი სიუპრიზი ხაზინა ბრანტი გასაგალი პარლამენტი პროფიციტი სექვესტრი საცავი ერთობლიობა დაზოგვა შემცირება ფინანსური ანგარიში ფინანსური რისკები ფინანსური დოკუმენტი საგრანტო პროექტი ქვეყნის მართვა საბიუჯეტო დეფიციტი	როგორი? გონივრული დამატებითი
	როგორ? წინასწარ
ვინ? მინისტრი ბუღალტერი ფინანსთა მინისტრი	

ფრაგმენტი - I:

1.	ხარჯებს ითვალისწინებს
2.	სასიამოვნო სიურპრიზი
3.	წინასწარ შეადგენს ბიუჯეტს
4.	ძალიან დააზარალებს
5.	არა მგონია
6.	თუ გონივრულად დავხარჯავთ
7.	ბიუჯეტს ისევ შევავსებთ
8.	ხარჯებს ითვალისწინებს
9.	გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს
10.	ფინანსური ანგარიშების შემოწმება
11.	ბიუჯეტის გასაგავს შეადგენს საჭირო ნივთების ღირებულება
12.	ფულის დაზოგვა; დაზოგილი ფული
13.	ფინანსური რისკების აცილება
14.	დამატებითი შემოსავლების მოზიდვა
15.	საბიუჯეტო დეფიციტის საფრთხე
16.	ხელფასებს მოვეუმატებთ
17.	თუ ყველაფერი კარგად იქნება
18.	ფინანსური დოკუმენტების ანალიზი
19.	ამ ეტაპზე
20.	შემოსავლისა და გასავლის ზუსტი აღრიცხვა
21.	პარლამენტი ამტკიცებს
22.	ბიუჯეტს ადგენენ ერთი წლით
23.	კომისია გეგმავს ხარჯებს
24.	მართლაც ასეა
25.	ხარჯებს ზრდიან
26.	დეფიციტი გვაქვს

ზმნები - I:

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)
... ის მას		...ის მას / ...მან ის		...ის მას	უნდა ... მან ის
1.	ყიღვა	ყიღულობს ის მას	ყიღულობდა ის მას ყიღა მან ის	ყიღის ის მას	უნდა ყიღოს მან ის
2.	მსჯელობა	მსჯელობს ის	მსჯელობდა ის იმსჯელა მან	იმსჯელებს ის	უნდა იმსჯელოს მან
3.	გახსენება	იხსენებს ის მას	იხსენებდა ის მას გაიხსენა მან ის	გაიხსენებს ის მას	უნდა გაიხსენოს მან ის
4.	გათვალის- წინება	ითვალისწინებს ის მას	ითვალისწინებდა ის მას გაითვალისწინა მან ის	გაითვალის- წინებს ის მას	უნდა გაითვალისწინოს მან ის
5.	შექება	აქებს ის მას	აქებდა ის მას შეაქო მან ის	შეაქებს ის მას	უნდა შეაქოს მან ის
6.	შევსება	ავებს ის მას	ავებდა ის მას შეავსო მან ის	შეავსებს ის მას	უნდა შეავსოს მან ის
7.	შემცირება	ამცირებს ის მას	ამცირებდა ის მას შეამცირა მან ის	შეამცირებს ის მას	უნდა შეამციროს მან ის
8.	მოხერხება	ახერხებს ის მას	ახერხებდა ის მას მოახერხა მან ის	მოახერხებს ის მას	უნდა მოახერხოს მან ის
9.	დაზარალება	აზარალებს ის მას	აზარალებდა ის მას დააზარალა მან ის	დააზარალებს ის მას	უნდა დააზარალოს მან ის
10.	დაფასება	აფასებს ის მას	აფასებდა ის მას დააფასა მან ის	დააფასებს ის მას	უნდა დააფასოს მან ის
11.	დამატება	ამატებს ის მას მას	ამატებდა ის მას მას დაუმატა მან მას ის	დაუმატებს ის მას მას	უნდა დაუმატოს მან მას ის
12.	დამტკიცება	ამტკიცებს ის მას	ამტკიცებდა ის მას დაამტკიცა მან ის	დაამტკიცებს ის მას	უნდა დაამტკიცოს მან ის
13.	ჩატარება	ატარებს ის მას	ატარებდა ის მას ჩაატარა მან ის	ჩაატარებს ის მას	უნდა ჩაატაროს მან ის
14.	მომატება	უმატებს ის მას მას	უმატებდა ის მას მას მოუმატა მან მას ის	მოუმატებს ის მას მას	უნდა მოუმატოს მან მას ის
15.	დაზოგვა	ზოგავს ის მას	ზოგავდა ის მას დაზოგა მან ის	დაზოგავს ის მას	უნდა დაზოგოს მან ის
16.	დახარჯვა	ხარჯავს ის მას	ხარჯავდა ის მას დახარჯა მან ის	დახარჯავს ის მას	უნდა დახარჯოს მან ის
17.	მოზიდვა	იზიდავს ის მას	იზიდავდა ის მას მოიზიდა მან ის	მოიზიდავს ის მას	უნდა მოიზიდოს მან ის

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

18.	დაგეგმვა	გეგმა ^ვ ს ის მას	გეგმავდა ის მას დაგეგმა მან ის	დაგეგმავს ის მას	უნდა დაგეგმოს მან ის
19.	გადახდა	იხდი ^ს ის მას	იხდიდა ის მას გადაიხდა მან ის	გადაიხდის ის მას	უნდა გადაიხადოს მან ის
20.	გაზრდა	ზრდი ^ს ის მას	ზრდიდა ის მას გაზარდა მან ის	გაზრდის ის მას	უნდა გაზარდოს მან ის
21.	გამოსვლა	გამოდი ^ს ის	გამოდიოდა ის გამოვიდა ის	გამოვა ის	უნდა გამოვიდეს ის
22.	ჩამოწერა	ჩამოწერს ის მას	წერდა ის მას ჩამოწერა მან ის	ჩამოწერს ის მას	უნდა ჩამოწეროს მან ის
23.	შედგენა	ადგენ ^ს ის მას	ადგენდა ის მას შეადგინა მან ის	შეადგენს ის მას	უნდა შეადგინოს მან ის
24.	გადაწყვეტა	წყვეტ ^ს ის მას	წყვეტდა ის მას გადაწყვიტა მან ის	გადაწყვეტს ის მას	უნდა გადაწყვიტოს მან ის
25.	შერჩევა	არჩევ ^ს ის მას	არჩევდა ის მას შეარჩია მან ის	შეარჩევს ის მას	უნდა შეარჩიოს მან ის

II თავი – ტრანსფერები

ახალი სიტყვები:	
რა? ინტერვიუ უფლებამოსილება სახსრები მონიტორინგი დასუფთავება ტრანსფერი ხელისუფლება კოეფიციენტი აღმასრულებელი ხელისუფლება რაიონული ცენტრი საავტომობილო გზა პრიორიტეტი დაფინანსება პრემია უფლება გამჭვირვალობა რეაბილიტაცია კომპეტენცია თვითმმართველობა წყალდიდობა ვენახი სტიქია ლიკვიდაცია გარალი ნდობა ვინ? რედაქტორი კოლეგა	როგორი? საინფორმაციო სამსახური გათანაბრებითი ტრანსფერი კაპიტალური ტრანსფერი სპეციალური ტრანსფერი ადგილობრივი მიზნობრივი სკანდალური იგივე მიმდებარე შემოვლითი დაზიანებული დანგრეული წყალუხვი მოვარდნის კომპეტენტური სარეზერვო მრავალფეროვანი როგორ? დაუყოვნებლივ
ზმნები: ანაწილებს ფუნქციონირებს (შე)აკეთებს მსჯელობს შედის	

ფრაზები - II:

წინასწარ არც ის იცის... და არც ის...
რა კარგი ნათქვამია
რით შემიძლია გემსახურო?
ხომ არავის იცნობ
კორექტირება ხდება
საინფორმაციო სამსახური
თემასთან დაკავშირებით
უნდა ჩაწეროს ინტერვიუ
რამდენი ხანია არ გამოჩენილხარ!

შენ წარმოიდგინე
დახმარებისთვის მოვედი
რით შემიძლია დაგეხმარო?
ხომ არავის იცნობ
როგორ არა
ნამდვილად ასეა; მართლაც ასეა
სტატიის დაწერა
კონსულტაციის გაწევა
გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე
საფინანსო სამსახურის თანამშრომლის თქმით
საფინანსო სამსახურის თანამშრომლის განმარტებით
ბიუჯეტის პრიორიტეტი იქნება
(ამის) გამო უწევს
უფლება არ აქვთ
(ეს) ხელისუფლების კომპეტენციაა
აზრი გამოთქვა
კომპეტენციაში შედის
ფაქტობრივად, ეს ასეა
სტიქიით მიყენებული ზარალი
მოვარდნილმა წყალმა დააზიანა
შემოსავლის მთავარი წყაროა
დაუყოვნებლივ შექმნიან კომისიას
ლიკვიდაციისთვის არის განკუთვნილი
ითხოვენ ზარალის ანაზღაურებას
მდგომარეობის შესწავლის მიზნით
გადაუღებლად წვიმს
ძნელია დაკავშირება
ვაზის იშვიათი ჯიში
ინფრასტრუქტურის მოშლის გამო

შედის - შესული - შესვლა

იღებს - აღებული - აღება

აყენებს - მიყენებული - მიყენება

განმარტავს - განმარტებული - განმარტება

ანაზღაურებს - ანაზღაურებული - ანაზღაურება

ისმენს - მოსმენილი - მოსმენა

გამოყოფს - გამოყოფილი - გამოყოფა

ქმნის - შექმნილი - შექმნა

აღწერს - აღწერილი - აღწერა

ზმნები – II:

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ჭნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
	... ის მას	...ის მას / ...მან ის	...ის მას	უნდა ... მან ის	ჯერ არ... მას ის თურმე... მას ის	
1.	განაწილება	ანაწილებს ის მას	ანაწილებდა ის მას განაწილა მან ის	გაანაწილებს ის მას	უნდა გაანაწილოს მან ის	გაუნაწილებია მას ის
2.	შეკეთება	აკეთებს ის მას	აკეთებდა ის მას შეაკეთა მან ის	შეაკეთებს ის მას	უნდა შეაკეთოს მან ის	შეუკეთებია მას ის
3.	მსჯელობა	მსჯელობს ის	მსჯელობდა ის იმსჯელა მან	იმსჯელებს ის	უნდა იმსჯელოს მან	უმსჯელია მას
4.	გამოთვლა	თვლის ის მას	თვლიდა ის მას გამოთვალა მან ის	გამოთვლის ის მას	უნდა გამოთ- ვალს მან ის	გამოუთვლია მას ის
5	შესვლა	შედის ის	შედიოდა ის შევიდა ის	შევა ის	უნდა შევიდეს ის	შესულა ის

III თავი – საბიუჯეტო შემოსულობები

ახალი სიტყვები:		
რა? რენვა თემა ხალიჩა მინანქარი ქონება კერამიკა ხე ლითონი ნაკვეთი ქსოვა საჯარო რეესტრი ამონაწერი საგადასახადო კოდექსი საშემოსავლო გადასახადი ინსპექცია საქონელი დეკლარაცია წლიური მოგება კაპიტალდაბანდება კმაყოფილება აგარაკი ქონება მოსაკრებელი ინტერიერი საბაზრო ფასი დახმარება კეთილმოწყობა	როგორი? საერთო აგარიული ხელსაყრელი ყოფილი დაგუსტებული საბოლოო არასამთავრობო სრულფასოვანი უძრავი ხარისხიანი	ზმნები: განმარტავს აღრიცხავს აღგენს შემოაქვს ათავისუფლებს ასახავს ხარჯავს ფარავს მალავს აფორმებს აკისრებს ეუბნება არტყამს გოგავს ხაზავს ღებავს
	როგორ? პერიოდულად შესანიშნავად ნაცვლად მნიშვნელოვნად გედმეტად მსგავსად	როდის? ახლახან
ვინ? დამფუძნებელი მესაკუთრე		

ფრაზები – III:

ხალხური რეწვის ტრადიციულ სახეობებს
აუქციონზე გაიტანა
საწყისი ღირებულება
აუქციონის პირობით დადგენილ ვადაში
შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს
ხელსაყრელია ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის
ჯიბის ფულიც გექნება
საბოლოო ფასი
ახალი შენობის ნაცვლად
მოსე თოიძის სახელობის
წარმატებას გისურვებ!
საშემოსავლო გადასახადი
კომუნალური გადასახადი
მოგების გადასახადი
საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო კოდექსი
წლიური დეკლარაცია
ფინანსური აღრიცხვა
წლიური მოგება
ერთ-ერთი ძირითადი წყაროა
თანხა შედის ბიუჯეტში
შესული ცვლილებების მიხედვით
შესანიშნავი სიახლეა
დამხმარე არავინ მყავდა
შემოსავლებს მალავს

ზმნები – III:

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
	... ის მას		...ის მას / ...მან ის	...ის მას	უნდა ... მან ის	ჯერ არ... მას ის თურმე... მას ის
1.	განმარ- ტება	განმარტავს ის მას	განმარტავდა ის მას განმარტა მან ის	განმარტავს ის მას	უნდა განმარტოს მან ის	განუმარტავს მას ის
2.	აღრიცხვა	აღრიცხავს ის მას	აღრიცხავდა ის მას აღრიცხა მან ის	აღრიცხავს ის მას	უნდა აღრიცხოს მან ის	აღურიცხავს მას ის
3.	ასახვა	ასახავს ის მას	ასახავდა ის მას ასახა მან ის	ასახავს ის მას	უნდა ასახოს მან ის	აუსახავს მას ის
4.	ხარჯვა	ხარჯავს ის მას	ხარჯავდა ის მას დახარჯა მან ის	დახარჯავს ის მას	უნდა დახარჯოს მან ის	დაუხარჯავს მას ის
5.	დაფარვა	ფარავს ის მას	ფარავდა ის მას დაფარა მან ის	დაფარავს ის მას	უნდა დაფაროს მან ის	დაუფარავს მას ის
6.	დამალვა	მალავს ის მას	მალავდა ის მას დამალა მან ის	დამალავს ის მას	უნდა დამალოს მან ის	დაუმალავს მას ის
7.	დამოგვა	მოგავს ის მას	მოგავდა ის მას დამოგა მან ის	დამოგავს ის მას	უნდა დამოგოს მან ის	დამოგავს მას ის
8.	ხაზვა	ხაზავს ის მას	ხაზავდა ის მას დახაზა მან ის	დახაზავს ის მას	უნდა დახაზოს მან ის	დაუხაზავს მას ის
9.	ღებვა	ღებავს ის მას	ღებავდა ის მას შეღება მან ის	შეღებავს ის მას	უნდა შეღებოს მან ის	შეუღებავს მას ის
10.	დარტყმა	არტყამს ის მას	არტყამდა ის მას დარტყა მან მას (ის)	დაარტყამს ის მას	უნდა დაარტყას მან მას	დაურტყამს მას ის
11.	დაკისრება	აკისრებს ის მას	აკისრებდა ის მას მას დააკისრა მან მას ის	დააკისრებს ის მას მას	უნდა დააკისროს მან მას ის	დაუკისრებია მას ის
12.	გათავისუ- ფლება	ათავისუფლებს ის მას	ათავისუფლებდა ის მას გათავისუფლა მან ის	გათავისუფ- ლებს ის მას	უნდა გაათავი- სუფლოს მან ის	გათავისუფ- ლებია მას ის
13.	გაფორმება	აფორმებს ის მას	აფორმებდა ის მას გააფორმა მან ის	გააფორმებს ის მას	უნდა გააფორ- მოს მან ის	გაუფორმებია მას ის
14.	დადგენა	ადგენს ის მას	ადგენდა ის მას დაადგინა მან ის	დაადგენს ის მას	უნდა დაადგი- ნოს მან ის	დაუდგენია მას ის
15.	თქმა	უბნება ის მას მას	უბნებოდა ის მას მას უთხრა მან მას ის	უტყვის ის მას მას	უნდა უთხრას მან მას ის	უთქვამს მას ის
16.	შემოტანა	მოაქვს ის მას	მოჰქონდა ის მას მოიტანა მან ის	მოიტანს ის მას	უნდა მოიტანოს მან ის	მოუტანია მას ის

IV თავი – სახელმწიფო შესყიდვები

ახალი სიტყვები:		
რა? შესყიდვა სააგენტო კოორდინაცია ტენდერის გამოცხადება შეთავაზება ბიჯნუსურთიერთობა ვალდებულება განხორციელება სია სიახლე მონაწილეობა განთავსება სტატუსი ძეგნა ასორტიმენტი მინის ნაწარმი რეალიზაცია ბიჯნუსკარტნიორი თანამშრომლობა გადაწყვეტილება მონაცემი პარტია საწყობი იმპორტი სუბიექტი პაროლი აღდგენა პროფილი მოღული გარანტია ველი მოთხოვნა რეალიზება სურვილი	როგორი? სამშენებლო დამოუკიდებელი სტაბილური ძვირადღირებული უხარისხო ნაკისრი აქტუალური აპრძალული საკანონმდებლო შენწყვეტილი საბიუჯეტო ერთიანი საჯარო განთავსებული უზრუნველყოფილი საბითუმო საცალო შემოტანილი სავაჭრო არეული პოტენციური საკვალიფიკაციო სამიგნე საგარანტიო რჩეული არანაირი	ზმნები: ხდება რეგულირდება მყარდება ცხადდება ფასდება ვინროვდება ფართოვდება სრულდება იმართება იტვირთება-ტვირთავს იხილება - იხილავს იკრიბება - კრებს თავსდება - ათავსებს ინტერესდება - აინტერესებს
	როგორ? მიზნობრივად თანმიმდევრულად დეტალურად	
ვინ? მიმწოდებელი შემსყიდველი საკონტაქტო პირი მომხმარებელი		

ფრაგმენტი - IV:

საჭირო ხდება
საქონლის შესყიდვა
ხარჯი გათვალისწინებულია
პროცესი კანონით რეგულირდება
სახსრების მიზნობრივად დახარჯვა
იქ, სადაც კარგი კონტროლია.
დახარჯვას კონტროლი სჭირდება
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
სააგენტო დამოუკიდებელი სსიპ-ია
მონიტორინგს უწევს
ტენდერის გამოცხადება
შესყიდვების განხორციელება
საუკეთესო შეთავაზება
მიმწოდებელსა და სახელმწიფოს შორის
მყარდება ბიზნესურთიერთობა
აკრძალულია აქვს
მონაწილეობის მიღება ...+ში
დროულად არ სრულდება
ნაკისრი ვალდებულება
ვერსად მიდის
თავისი კომპეტენციის ფარგლებში
ღონისძიება იმართება USAID-ის მხარდაჭერით
ერთიანი ელექტრონული სისტემა
სამომავლო საქმიანობის
ეფექტურად დაგეგმვის საშუალება
შესყიდვების წლიური გეგმა
უნდა ატვირთოს
არაუგვიანეს ოცი ნომბრისა
ინფორმაცია საჯაროა

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სისტემის ფუნქციონირება
უზრუნველყოფილია სააგენტოს მიერ
არსად არ ხდება ასე
სტუმრის სტატუსით შესვლა
ბიზნესპარტნიორების შეძენა
შესყიდვების სახით
მონაცემების ატვირთვის შემდეგ
პოტენციური მიმწოდებლების შესაძლებლობები
ფასდება მათი საკვალიფიკაციო მონაცემები
კონკურენტების სია ხან ვიწროვდება, ხან კი ფართოვდება
ინფორმაციის ზოგი ველი დავიწროვდება
როგორც თქვენთვის ცნობილია
არის ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა?
ასორტიმენტი მუდმივად ფართოვდება
პრობლემას გვიქმნის
შევარჩიოთ სამიზნე სუბიექტები
ყველაფერს ერთად ვინ იყიდის?
სხვა გამოსავალი არ გვაქვს

ზმნები – IV:

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის ... ის მას	...ის / ... ის მას ...მან ის	...ის / ...ის მას	უნდა ... ის უნდა ... მან ის	ჯერ არ... ის/მას ის თურმე... ის/მას ის
1.	მოხდენა	ხდება ის	ხდებოდა ის მოხდა ის	მოხდება ის	უნდა მოხდეს ის	მოჰხდარა ის
2.	რეგულირება	რეგული- რდება ის	რეგულირდე- ბოდა ის დარეგულირდა ის	დარეგული- რდება ის	უნდა დარეგუ- ლირდეს ის	დარეგულირებულა ის
3.	დამყარება	მყარდება ის	მყარდებოდა ის დამყარდა ის	დამყარდება ის	უნდა დამყარდეს ის	დამყარებულა ის
4.	გამოცხადება	ცხადდება ის	ცხადდებოდა ის გამოცხადდა ის	გამოცხა- დდება ის	უნდა გამოც- ხადდეს ის	გამოცხადებულა ის
5.	დასრულება	სრულდება ის	სრულდებოდა ის დასრულდა ის	დასრულდება ის	უნდა დასრულდეს ის	დასრულებულა ის
6.	დაინტერესება	ინტერესდება ის	ინტერესდებოდა ის დაინტერესდა ის	დაინტერე- სდება ის	უნდა დაინტერესდეს ის	დაინტერესებულა ის
7.	განთავსება	თავსდება ის	თავსდებოდა ის განთავსდა ის	განთავსდება ის	უნდა განთავსდეს ის	განთავსებულა ის
8.	შეფასება	ფასდება ის	ფასდებოდა ის შეფასდა ის	შეფასდება ის	უნდა შეფასდეს ის	შეფასებულა ის
9.	დავიწროება	ვიწროვდება ის	ვიწროვდე- ბოდა ის დავიწროვდა ის	დავიწროვ- დება ის	უნდა დავიწროვდეს ის	დავიწროებულა ის
10.	გაფართოება	ფართოვდება ის	ფართოვდებოდა ის გაფართოვდა ის	გაფარ- თოვდება ის	უნდა გაფართოვდეს ის	გაფართოებულა ის
11.	გამართვა	იმართება ის	იმართებოდა ის გაიმართა ის	გაიმართება ის	უნდა გაიმართოს ის	გამართულა ის
12.	განხილვა	იხილება ის	განხილდებოდა ის განიხილა ის	განხილდება ის	განხილული უნ დაიყოს ის განხილოს (მან) ის	განხილულა ის
13.	შეკრება	იკრიბება ის	იკრიბებოდა ის შეიკრიბა ის	შეიკრიბება ის	უნდა შეიკრიბოს ის	შეკრიბილა ის

14.	ტვირთვა	იტვირთება ის	იტვირთებოდა ის დაიტვირთა ის	დაიტვირთება ის	უნდა დაიტვი- რთოს ის	დატვირთულა ის
15.	განხილვა	იხილავს ის მას	იხილავდა ის მას განიხილა მან ის	განიხილავს ის მას	უნდა განიხილოს მან ის	განუხილავს მას ის
16.	ატვირთვა	ტვირთავს ის მას	ტვირთავდა ის მას ატვირთა მან ის	ატვირთავს ის მას	უნდა ატვირთოს მან ის	აუტვირთავს მას ის
17.	შეკრება	კრებს ის მას	კრებდა ის მას შეკრიბა მან ის	შეკრებს ის მას	უნდა შეკრიბოს მან ის	შეუკრებია მას ის
18.	დაინტერესება	აინტერესებს ის მას	აინტერესებდა ის მას დააინტერესა მან ის	დააინტე- რესებს ის მას	უნდა დააინტე- რესოს მან ის	დაუინტერესებია მას ის
19.	განთავსება	განათავსებს ის მას	განათავსებდა ის მას განათავსა მან ის	განათავსებს ის მას	უნდა განა- თავსოს მან ის	განუთავსებია მას ის

V თავი – სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები

ახალი სიტყვები:		
რა? აღწერილობა მახასიათებელი ანგარიშსწორება ხელმძღვანელობა ავანსი ჩარიცხვა ბრიგადა დავალიანება პირგასამტეხლო წლიური ბრუნვა ყადაღა სამეურნეო განყოფილება ფორმა კატალოგი	როგორი? შესასყიდი შეუსრულებელი დარეგისტრირებული განახლებული განსაზღვრული წინამოსამზადებელი შეთავაზებული საორიენტაციო	ზმნები: მტკიცდება იქმნება ინიშნება ითვლება წარმოდგება საქმდება ემშვიდობება კეთდება ენიჭება აკმაყოფილებს იწყება ირიცხება ეთითება ტარდება ხორციელდება ავიწყდება
	როგორ? შესაბამისად რეგულარულად ერთდროულად დანვრილებით სხვაგვარად	
ვინ? თავმჯდომარე თანაშემწე		

ფრაზები -V:

ავანსად თანხის ჩარიცხვა
ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობა
გათვალისწინებული ჯარიმა
პირგასამტეხლოს რაოდენობა
ოფიციალურად
ჩაითვლება გამოქვეყნებულად
მშვიდადაა, რადგან დიდი გამოცდილება აქვს
სატენდერო კომისია
სატენდერო დოკუმენტაცია
ანგარიშსწორების ვადაში
ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ამიტომ
მთლიანად აკმაყოფილებს
ამიტომაც არის დარეგისტრირებული
ყურადღება მიაქცევით
აუცილებელია კონტროლი
რაც მთავარია
ეს დაუშვებელია!
საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს
უზრუნველყოფს ხარისხიან მომსახურებას
უპირატესობა... -ს მიანიჭონ
გახსოვდეთ
გამოცდილებამ დაადასტურა, რომ
პირველ რიგში
ყოველივე ამის საფუძველზე
სადაცაა დასრულებული / სადაცაა დაიწყება
ეჭვი არავის ეპარება
მთელი ქვეყნის მასშტაბით
შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს
კატალოგში შეუტანიათ სხვადასხვა ფასი

ზმნები -V:

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
	... ის	... ის მას	...ის / ... ის მას	...ის / ...ის	უნდა ... ის	ჯერ არ... ის/მას ის
	... ის მას	მან ის	მას	მას	უნდა ... მან ის	თურმე... ის/მას ის
1.	მტკიცება	მტკიცდება ის	მტკიცდებოდა ის დამტკიცდა ის	დამტკიცდება ის	უნდა დამტკიცდეს ის	დამტკიცებულა ის
2.	დასაქმება	საქმდება ის	საქმდებოდა ის დასაქმდა ის	დასაქმდება ის	უნდა დასაქმდეს ის	დასაქმებულა ის
3.	გაკეთება	კეთდება ის	კეთდებოდა ის გაკეთდა ის	გაკეთდება ის	უნდა გაკეთდეს ის	გაკეთებულა ის
4.	ჩატარება	ტარდება ის	ტარდებოდა ის ჩატარდა ის	ჩატარდება ის	უნდა ჩატარდეს ის	ჩატარებულა ის
5.	განხორ- ცილება	ხორციელდება ის	ხორციელდებოდა ის განხორციელდა ის	განხორცი- ელდება ის	უნდა განხორციელდეს ის	განხორციელებულა ის
6.	შექმნა	იქმნება ის	იქმნებოდა ის შექმნილა ის	შეიქმნება ის	უნდა შეიქმნას ის	შექმნილა ის
7.	დანიშვნა	ინიშნება ის	ინიშნებოდა ის დანიშნა ის	დანიშნება ის	უნდა დანიშნოს ის	დანიშნულა ის
8.	დაწყება	იწყება ის	იწყებოდა ის დაიწყო ის	დაიწყება ის	უნდა დაიწყოს ის	დაწყებულა ის
9.	ჩარიცხვა	ირიცხება ის	ირიცხებოდა ის ჩაირიცხა ის	ჩაირიცხება ის	უნდა ჩაირიცხოს ის	ჩარიცხულა ის
10.	ჩათვლა	ითვლება ის	ითვლებოდა ის ჩათვალა ის	ჩაითვლება ის	უნდა ჩაითვალოს ის	ჩათვლილა ის
11.	წარდგენა	წარდგება ის	წარდგებოდა ის წარდგა ის	წარდგება ის	უნდა წარდგეს ის	წარმდგარა ის
12.	დაკმაყო- ფილება	აკმაყოფილებს ის მას	აკმაყოფილებდა ის მას დააკმაყოფილა მან ის	დააკმაყო- ფილებს ის მას	უნდა დააკმაყოფილოს მან ის	დაკმაყოფილებულა ის

13.	დამშვი- დობება	ემშვიდობება ის მას	ემშვიდობებოდა ის მას დამშვიდობა ის მას	დამშვი- დობება ის მას	უნდა დამშვიდობოს ის მას	დამშვიდობებია ის მას
14.	მითითება	ეთითება ის მას	ეთითებოდა ის მას მიეთითა ის მას	მიეთითება ის მას	უნდა მიეთითოს ის მას	მიითითებია ის მას
15.	დავიწყება	ავიწყდება ის მას	ავიწყდებოდა ის მას დაავიწყდა ის მას	დაავიწყდება ის მას	უნდა დაავიწყდეს ის მას	დავიწყებია ის მას
16.	მინიჭება	ენიჭება ის მას	ენიჭებოდა ის მას მიენიჭა ის მას	მიენიჭება ის მას	უნდა მიენიჭოს ის მას	მინიჭებია ის მას

VI თავი – შესყიდვების ფორმები

ახალი სიტყვები:		
რა? გაერო კორუფცია სარგებლობა კანონმდებლობა აუცილებლობა თანხმობა გაცემა ცხოველი თავშესაფარი ვოლიერი ხარჯთაღრიცხვა ვაშცინაცია სტანდარტი ვაშცინაცია დაცვა სანაწიბა მიღება-ჩაბარების აქტი კურორტი ხარვეზი დასრულება	როგორი? ერთგვაროვანი გამართივებული ექსკლუზიური ვეტერინარული უზრუნველყოფილი ძირითადი არანაკლები გამოვლენილი ანალოგიური კალენდარული შესრულებული	ზმნები: აღასტურებს ამარცხებს ატყობინებს ასაბუთებს აფასებს აგვარებს ითხოვს უშვებს იხდის ქმნის გრძელდება იგეგმება ევალება ირკვევა
	როგორ? სრულფასოვნად ობიექტურად	
ვინ? ექსპერტი კონკურენტი		

ფრეზები -VI:

პროექტი წარმატებული აღმოჩნდა
შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა
შესყიდვის განხორციელებაზე უარის თქმა
ნუ ღელავთ
ყველაფერი მოგვარდება
ამარცხებს კორუფციას
ხელსაყრელი გარემო
თანხმობის გაცემა
კომისიამ უმოკლეს ვადაში მოამზადა
პროექტის ხარჯთაღრიცხვა
ნაკისრი ვალდებულება სრულფასოვნად არ შეასრულა
არ იყო დაცული ... (პირობები, მოთხოვნები და ა. შ.)
მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ
ობიექტურად შეაფასონ
ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია
რეაბილიტაცია იგეგმება
დაევალოთ, რომ დეტალურად შეესწავლოთ
მინიმალური ფასის დადგენა
ანალოგიური ტიპის სამუშაოები
საგარანტიო პერიოდი უნდა გაგრძელდეს
გამოასწოროს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ხარვეზები
ტენდერის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ გაირკვა
სატენდერო დოკუმენტაციის პირობების თანახმად
ნაკლებ ფასად შესთავაზა
აქედან გამომდინარე
აღნიშნულ ტენდერში

ზმნები –VI:

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
	... ის	... ის მას	...ის / ... ის მას	...ის / ...ის მას	უნდა ... ის	ჯერ არ... ის/მას ის
	... ის მას	...მან ის	...მან ის	...მან ის	უნდა ... მან ის	თურმე... ის/მას ის
1.	დადასტუ- რება	ადასტურებს ის მას	ადასტურებდა ის მას დაადასტურა მან ის	დაადასტურებს ის მას	უნდა დაადასტუროს მან ის	დაუდასტურებია მას ის
2.	დამარცხება	ამარცხებს ის მას	ამარცხებდა ის მას დაამარცხა მან ის	დაამარცხებს ის მას	უნდა დაამარცხოს მან ის	დაუდამარცხებია მას ის
3.	შეტყო- ბინება	ატყობინებს ის მას	ატყობინებდა ის მას მას შეატყობინა მან მას ის	შეატყობინებს ის მას მას	უნდა შეატყობინოს მან მას ის	შეუტყობინებია მას ის
4.	დასაბუთება	ასაბუთებს ის მას	ასაბუთებდა ის მას დაასაბუთა მან ის	დაასაბუთებს ის მას	უნდა დაასაბუთოს მან ის	დაუასაბუთებია მას ის
5.	შეფასება	აფასებს ის მას	აფასებდა ის მას შეაფასა მან ის	შეაფასებს ის მას	უნდა შეაფასოს მან ის	შეუფასებია მას ის
6.	მოგვარება	ავგარებს ის მას	ავგარებდა ის მას მოავგარა მან ის	მოავგარებს ის მას	უნდა მოავგაროს მან ის	მოუგვარებია მას ის
7.	მოთხოვნა	ითხოვს ის მას	ითხოვდა ის მას მოითხოვა მან ის	მოითხოვს ის მას	უნდა მოითხოვოს მან ის	მოუთხოვია მას ის
8.	გაშვება	უშვებს ის მას	უშვებდა ის მას გაუშვა მან ის	გაუშვებს ის მას	უნდა გაუშვას მან ის	გაუშვია მას ის
9.	გადახდა	იხდის ის მას	იხდიდა ის მას გადაიხდა მან ის	გადაიხდის ის მას	უნდა გადაიხადოს მან ის	გადაუხდია მას ის
10.	შექმნა	ქმნის ის მას	ქმნიდა ის მას შექმნა მან ის	შექმნის ის მას	უნდა შექმნას მან ის	შეუქმნია მას ის
11.	გაგრძე- ლება	გრძელდება ის	გრძელდებოდა ის გაგრძელდა ის	გაგრძელდება ის	უნდა გაგრძელდეს ის	გაგრძელდებულა ის

12.	დაგეგმვა	იგეგმება ის	იგეგმებოდა ის დაიგეგმა ის	დაიგეგმება ის	უნდა დაიგეგმოს ის	დაგეგმილა ის
13.	დავალება	ევალება ის მას	ევალებოდა ის მას დაევალა ის მას	დაევალება ის მას	უნდა დაევალოს ის მას	დავალებია ის მას
14.	გარკვევა	ირკვევა ის	ირკვეოდა ის გაირკვა ის	გაირკვევა ის	უნდა გაირკვეს ის	გარკვეულა ის

ბრამატიკა

I თავი

ბრამატიკა - ახალი გზების - მომავალი დრო
პირობითი წინადადება - კავშირი - თუ; თუ გააკეთებ - მოვალ
წარსული დროის მიმღეობა - ულ; გაკეთებულ
თანდებული: გარდა

II თავი

ბრამატიკა - ახალი გზები - I თურმეობითი + ჯერ არ
კავშირი: ანუ
კონსტრუქცია - მინდა შენობის შესყიდვა (მინდა+...+ნათ. ბრ. + სახელმწიფო)
თანდებული - (...+ნათ. ბრ. +) მიმართ
სხვათა სიტყვის -ო (მე -3 პირი)
კონსტრუქცია II კავშირებითი - უნდა გააკეთო (ვიმეორებთ)

III თავი

ბრამატიკა - ახალი გზების - მომავალი დრო (ალბათ + მომავალ დროსთან)
და I თურმეობითი (ისევ I ჯგუფის გზები (გარდამავალი...—ავ და —ამ
თემისწინაინებიც) + თურმე თანდებული - (... ნათ.ბრ.+) მიხედვით/მიერ
კონსტრუქცია II კავშირებითი - მინდა გააკეთო; შეიძლება (ვიმეორებთ)
დამოკიდებული წინადადება - კავშირი: რომელიც - მიცემითსა და მოთხოვნიტში
უარყოფითი მიმღეობა: უ - გაუკეთებელი

IV თავი

ბრამატიკა - ახალი გზების - მომავალი დრო (კეთდება-გაკეთდება)(ვნებითი
გვარის გზები)
დამოკიდებული წინადადება - კავშირი: სადაც
უარყოფითი გზები - არსად, ნურსად, ვერსად...
მომავალი დროის მიმღეობა: სა - გასაკეთებელი
კავშირები: თან...თან...
თანდებული - (...+ნათ. ბრ. +) გარშემო, ირგვლივ
ჩართულის მნიშვნელობით - მართლაც, ამრიგად

V თავი

ბრამატიკა - ახალი გზების - I თურმეობითი ვნებითი გვარი (კეთდება-გაკეთებულა);
თანდებული - (...+ნათ. ბრ. +) მაგივრად, ნაცვლად
მაქვემდებარებელი კავშირი - რადგან
პროცესის გამომხატველი -შეხვედრის განმავლობაში (...+ნათ. ბრ. +)/
დროის გამომხატველი - ხუთისთვის... (სიტყვა+ნათ. ბრ. +თვის)
სხვათა სიტყვის -მეთქი/-თქო
კონსტრუქცია II კავშირებითი - მოდი გააკეთოთ

VI თავი

ბრამატიკა- ახალი გზების - I თურმეობითი - გამიკეთებია
მოქმედებების განცალკევება - კავშირები: არა მართო ეს, არამედ...
კავშირები - ისეთი როგორც
კონსტრუქცია II კავშირებითი - იქნებ გააკეთოთ

